საქართველოს საერთაშორისო იმიჯი სავალუტო ფონდის რეკომენდაციებზეა დამოკიდებული A2

ვინ გადასცა საბჭოთა კავშირს ატომური ბომბის საიდუმლო A5

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 22 მაისი, 2003 წელი. №138 (350) ფასი 50 თეთრი

საბედისწერო ვიქტორინა ნატო-ში

ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში, საქართველოს დელეგაციას კიდევ ერთხელ და, ალბათ უკვე საბოლოოდ მოუწევს იმ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, რომლებიც, ორი კვირის წინ, ალიანსის თავდაცვის დაგეგმარებისა და ოპერაციების დეპარტამენტის წარმომადგენლების ვიზიტის დროს თბილისში ღიად დარჩა. საქმე ეხება პარპ-ის (ნატო-ს პარტნიორობისა და მიმოხილვის პროცესი) ვალდებულებათა შესრულებას.

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება" სპეციალურად "24 საათისთვის" ბრიუსელიდან

სკეპტიკოსების წინასწარმეტყველება, თითქოს ნატო-ს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს ერაყის კონფლიქტის შემდეგ ღრმა კრიზისი ემუქრება, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში სასაცილოდაც არ ჰყოფნით. ნატო-ს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ალიანსი შემდგომშიც გააგრძელებს გაფართოებას და

გაგრძელება A3 გვერდზე

პროექტი „თქვენი აფხაზეთი" - ვირტუალური გზა აფხაზეთისკენ

სოფო ბუკია

ქართველი ფსიქოლოგები და კონფლიქტოლოგები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გაზეთ "24 საათის" მხარდაჭერით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების გზების საძიებლად, ახალი პროექტის ორგანიზების ინიციატივით გამოდიან.

თორნიკე ბერიშვილი და პაატა ზაქარეიშვილი დარწმუნებულნი არიან, რომ ვირტუალური დიალოგი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში თავის წვლილს შეიტანს.

ირინა ლოგუაშვილის ფოტო

"აფხაზებთან ურთიერთობა სრულიად გაწყვეტილია, ქართველებმა და აფხაზებმა ვერ გამოვნახეთ რეალურ სამყაროში ადგილი, სადაც ჩვენს პრობლემებზე დავილაპარაკებთ. მოდით, კონფლიქტის მოგვარება ვირტუალური სამყაროს მეშვეობით ვცადოთ," – განაცხადა "24 საათის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ახალი პროექტის კოორდინატორმა თორნიკე ბერიშვილმა.

"თქვენი აფხაზეთი" ახალი ინიციატივაა და, როგორც ამ პროექტის მესვეურები აცხადებენ, მისი მთავარი მიზანი ისეთი საზოგადოებრივი აზრის შექმნაა, რაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას შეუწყობს ხელს.

გაგრძელება A2 გვერდზე

"პორტუ" უეფას თასის მფლობელია

კახა ფაჩუაშვილი

"სელტიკი" 2:3 "პორტუ"

ჰენრიკ ლარსონმა გუშინ ევროპის საკლუბო ტურნირებში თავისი მე-200 და 201-ე გოლები გაიტანა. "ეს მატჩი ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები," - განაცხადა ლარსონმა. ალბათ, იმ გოლებს გულისხმობდა შვედი ფორვარდი, რომელიც "პორტუს" მეკარე ვიტორ ბაიას კი გაუტანა, მაგრამ "სელტიკს" გამარჯვებაში მაინც ვერ დაეხმარა.

სევილიის "ესტადიო ოლიმპიკოს" ირგვლივ დაახლოებით 60 ათასმა შოტლანდიელმა მოიყარა თავი. ქალაქი "სელტიკის" თეთრ-მწვანე ფერებით აჭრელდა. ხუმრობა როდია, გლაზგოური კლუბი 1967 წლის შემდეგ პირველად გავიდა ევროპული თასის ფინალში და ევროპულ ჯილდოს მოწყურებული საბრძოლველად განეწყო. "სელტიკის" მწვრთნელ მარტინ ო'ნილს თუ დავუჯერებთ, ამ გამარჯვებას გლაზგოურ კლუბს ისტორია თხოვდა.

გაგრძელება B4 გვერდზე

"პორტუ" გამარჯვებას ზეიმობს.

REUTERS

მსოფლიო ტერორი - აშშ წინასაგანგაშო მდგომარეობას აცხადებს

ლევან ღირსიაშვილი

მსოფლიოში ტერორიზმის საფრთხე ყოველდღიურად იზრდება. შესაბამისად, დასავლეთის ქვეყნები, პირველ რიგში, აშშ უსაფრთხოების ზომებს აძლიერებენ. გუშინ, შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა საუდის არაბეთში თავიანთი საკონსულოების და საელჩოების მუშაობა შეაჩერეს. ამის მიზეზად ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაცია იქცა, რომლის თანახმადაც, საუდის არაბეთში მოსალოდნელი ახალი ტერორისტული აქტის სამიზნე სწორედ ამერიკული და ბრიტანული დიპლომატიური კორპუსი იქნებოდა. მათ მაგალითს გუშინვე იტალიამ და გერმანიამაც მიბაძა. საერთაშორისო ტერორიზმი აშშ-სთან ერთად ევროპასაც ემუქრება.

ერ-რიადში აშშ-ს საელჩოს და ჯედასა და დაჰრანში საკონსულოების მუშაობა, მინიმუმ, კვირის ბოლომდე მაინც არ განახლდება. ოფიციალური

გაგრძელება A5 გვერდზე

საგზაო ფონდი - გზების აღდგენის საშუალება თუ პრეზიდენტის „გაჭირვების ტალკვესი"

სოფიკო ოხანაშვილი

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, უფრო და უფრო აქტუალური ხდება არჩევნებისთვის თანხების მოზიდვის საკითხი. კომპეტენტური პირების თქმით, სარჩევნო ყუდაბა სხვადასხვა წყაროებით ივსება; მათ შორისაა ბიზნესის მიერ გაღებული ხარკი, ურჩი გადამხდელებიდან სხვადასხვა მეთოდებით ამოღებული თანხები, თუ საარჩევნო სიაში ჩასმისთვის სავალდებულო შენატანი. მას შემდეგ, რაც ოპერისა და ბალეტის თეატრში პრეზიდენტი წინასაარჩევნოდ შექმნილ საზოგადოებას "მეგზევეთა კავშირს" შეხვდა, სადაც საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბორის სარალიძემ ედუარდ შევარდნაძეს კიდევ ერთხელ აღუთქვა მხარდაჭერა, პარლამენტში ხმამაღლა ალაპარაკდნენ უკვე დიდი ხნის წინ გაკეთებულ დასკვნაზე - საგზაო ფონდის ფინანსური რესურსები საარჩევნოდ "ირაზმება".

გაგრძელება A4 გვერდზე

რუსეთი კბილების ღრჭენას არ აპირებს - გვამშვიდებს ზატულინი

ლენა მიქაძე

ხვალიდან, 23 მაისის ჩათვლით, თბილისში საქართველოს და რუსეთის ფედერაციას შორის ევროპული უშიშროების სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრებენ. საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეები გუშინ მხოლოდ პატარა შესავლით შემოიფარგლნენ. რუსული და ქართული მხარის წარმომადგენლებს შორის სამდღიანი დიალოგის ინიციატორები ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი, მედია ასოციაცია "kamera lucida" და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი არიან. კონფერენციას გაუძღვება ბულგარეთში, რუმინეთსა და სამხრეთ კავკასიაში ფრიდრიხ ნიუმანის პროექტების დირექტორი ვოლფგანგ იონი.

კონფერენცია საკმაოდ საინტერესო და პოლიტიკური მღელვარებით გაჯერებული რომ იქნება, ამას მონაწილეთა, საქართველოსა და რუსეთის მხრიდან მოწვეული სტუმრების სიაც ადასტურებს. აქ არიან: საქართველოსადმი ლიბერალური პოზიციის მქონე სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იური შეკოჩიხინი; "მოსკოვსკიე ნოვოსტის" მთავარი რედაქტორის მოადგილე მიხაილ შეველიოვი; შუაზღვისპირეთისა და შავი ზღვის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ალა იაზიკოვა. მათ გვერდით კი სახეები, რომელთაც, რბილად რომ ვთქვათ, საქართველოსადმი ლიბერალურად განწყობილს ვერ დაარქმევთ.

გაგრძელება A3 გვერდზე

როცა ამნისტია წმინდა წყლის პოლიტიკაა

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

პრეზიდენტი პუტინი, წინასაარჩევნო პერიოდში, ჩეჩნეთში პოლიტიკურ დარეგულირებას ამნისტიის გამოცხადებით მეტ დამაჯერებლობას სძენს. მაგრამ, რუსი პოლიტიკოსების დიდი ნაწილისთვის სავსებით ცხადია, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემუშავებული და რუსეთის პარლამენტის მიერ სამივე წაკითხვით მიღებული ამნისტიის პროექტი იმ ხალხისათვის არ დაწერილა, ვინც ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარებას უნდა დათანხმდეს.

უნდა იქვას, რომ ამნისტიის იდეა პუტინს მოსკოველ მუსულმანთა სულიერმა ლიდერმა უკარნახა. ჩეჩნეთში ჩატარებული საეჭვო რეფერენდუმის შემდეგ, კრემლის ადმინისტრაციამ მომავალი ამნისტიის ტექსტი გამოაცხო. მეორე მოსკოველმა ჩეჩენმა პარლამენტარმა ასლანბეკ ასლახანოვმა პრეზიდენტს შესთავაზა ამნისტიის ალტერნატიული ვარიანტი, რომლის თანახმადაც, მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი ბოევიკების შემორიგებაც იყო ნავარაუდევი.

პრეზიდენტი პუტინი, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ წინადადებას არ დათანხმდა და ასლახანოვისეული ვარიანტი უკუაგდო. სამაგიეროდ, ჩეჩნეთის ადმინისტრაციის უფროსმა კადიროვმა კრემლის ვარიანტს მხარი დაუჭირა და ჩეჩნეთში პოლიტიკური პროცესის დაწყება იწინასწარმეტყველა.

გაგრძელება A8 გვერდზე

პოლიტიკა

საარჩევნო კოდექსი ხელუხლებელია

საარჩევნო კოდექსი ცვლილებებს გუშინაც გადაურჩა. იმის მიუხედავად, რომ ორი დღის მანძილზე დეპუტატებმა არაერთხელ დააპირეს კოდექსის განხილვა, გუშინდელი სხდომაც ისე მიიწურა, რომ კანონი ხელუხლებელი დარჩა.

A3

ეკონომიკა

შესაძლოა, დენის ტარიფი კვლავ გაიზარდოს

გუშინ მუშაობის ვადა ამოეწურა "ეი-ი-ეს თელასისა" და საქართველოს მთავრობის ე.წ. "შემთანხმებელ კომისიას", რომელსაც მთავრობასა და "ეი-ი-ესს" შორის წარმოშობილი უთანხმოებები უნდა განეხილა.

A4

უცხოეთი

ტაჯიკეთში რუსული სამხედრო ბაზა იქმნება

მას შემდეგ, რაც რუსეთმა ყირგიზეთში ახალი სამხედრო-საჰაერო ბაზა გახსნა, იგივეს გაკეთებას ტაჯიკეთშიც აპირებს.

A5

საზოგადოება

ოფთალმოლოგები ჩივიან

ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ს/კ ინსტიტუტების შარშანდელი შერწყმის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლებული ოფთალმოლოგების ერთი ნაწილი სამსახურში აღდგენას ითხოვს და სასამართლოში ჩივის.
ამასთან დაკავშირებით, გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა.

A6

სამართალი

ატიპური პნევმონიის ძებნაში არალეგალებს წააწყდნენ

შესაძლოა, იმერელმა სამართალდამცველებმა ატიპური პნევმონიის ვირუსის ძებნაში საქართველოში არალეგალების შემოსვლის მარშრუტი გამოავლინონ.

A7

ეკონომიკა

ხვალ, 23 მაისს **"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის"** ძირითადი საექსპორტო მილსადენის მშენებლობა საზეიმოდ დაიწყება ნავთობსადენის მარშრუტის თეთრწყაროს რაიონის მონაკვეთზე.

ამინდი

თბილისი	27
ქუთაისი	29
თბილისი	27
ქუთაისი	29
ბათუმი	24
სოხუმი	27
ფოთი	27
თელავი	26
ზუგდიდი	29
გორი	24
ახმეტა	26
ჭიათურა	27
გაბრა	26
სამტრედია	28

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1550
ევრო	2.4569
გირვანქა სტერლინგი	3.4909
რუბლი	0.0698

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მერიდიანი

B2 რევიუ B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

მოკლედ

თბილისი. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბეჟუაშვილმა პარლამენტს სარატიფიკაციოდ წარუდგინა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტს შორის შესყიდვისა და მომსახურების შესახებ შეთანხმების პროექტი“. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირა. ხელშეკრულების რატიფიცირება პლენარულ სხდომაზე კენჭისყრის პროცედურებისას მოხდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე 30 მაისს სანკტ-პეტერბურგში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრება და დსთ-ს წევრი რამდენიმე ქვეყნის მეთაურთან ერთად სანკტ-პეტერბურგის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას მიერ გაკეთებულ განცხადებას აფხაზეთში საერთაშორისო ტერორისტთა საწვრთნელი ბანაკების არსებობის შესახებ მკაცრი გამოხმაურებები მოჰყვა სოხუმში.

"ეს არის მტკნარი სიცრუე, გამონაგონი და პროვოკაციული მცდელობა იმისა, რომ ყურადღება პანკისის ხეობიდან აფხაზეთზე გადაიტანონ. ამასთანავე, ყველამ იცის, რომ სწორედ პანკისის ხეობაა საერთაშორისო ტერორიზმის ბუდე", - აცხადებს სეპარატისტთა უშიშროების სამსახურის პირველი მოადგილე ნუგზარ სამსონია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ლიბერალური პარტიის თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი ბათუმში ასლან აბაშიძეს ოთხჯერ შეხვდა. სხვადასხვა საკითხებთან ერთად, შეხვედრების თემატიკა პოლიტიკურიც იყო. შავიშვილი აცხადებს, რომ „აღორძინების“ მიერ აღიარებული პრინციპია, არ გააფორმოს ბლოკი არც ერთ პარტიასთან . ამდენად, ასეთი ალიანსის გაფორმება "ლიბერალებთანაც" გამორიცხულია. შავიშვილი, აგრეთვე, გამორიცხავს თავის მეგობრებთან ერთად „აღორძინების“ სიაში მოხვედრას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ავთანდილ იოსელიანის ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე რამდენიმე კრიმინალური დაჯგუფება მოქმედებს და არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ წევრებიც იყვნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენასთან დაკავშირებით მაისის ბოლოსთვის, სოჭის შეთანხმების საფუძველზე შექმნილი საქართველოსა და რუსეთის სამუშაო ჯგუფების შეხვედრა გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სხვადასხვა ფაკულტეტების თავისუფალი ჯგუფი 11 კურსანტის შემადგენლობით, “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ნატოს პროგრამით გათვალისწინებულ “კოოფერეითივ ბესთ ეფორთ - 2003” სომხეთში, 16-27 ივნისს დაგეგმილ სწავლებებში მიიღებს მონაწილეობას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ერევანი. აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის საკითხს, რუსეთის, საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტები სანკტ-პეტერბურგში, მაისის ბოლოს დაგეგმილ შეხვედრაზე განიხილავენ, - იტყობინება საინფორმაციო სააგენტო მედიამაქსი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმი მზადაა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის რეგულარული არმიის ქვედანაყოფი განალაგოს, - განუცხადა პრაიმ-ნიუსს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ.

მისი თქმით, ასეთ შემთხვევაში, აფხაზეთის მოსახლეობაც მშვიდად იქნებოდა და ახალი სამუშაო ადგილებიც გაჩნდებოდა. **პრაიმ-ნიუსი**

ვენსიონერები და ქართული ჩაი - დავალებები ფინანსთა სამინისტროს

თამარ ხორბალაძე

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ პენსიონერები გაიხსენა. **“არა იმიტომ, რომ პენსიონერები მომავალი ამომრჩევლები არიან, არამედ იმიტომ, რომ ადამიანების ბედი მაწუხებს,”** - ასე თქვა.

ისიც აღნიშნა, რომ პენსიონერებს სახელმწიფო მიზერულ თანხებს აძლევს და თუ ამ თანხის გადახდაც ვერ მოხერხდა, **“მაშინ დამთავრდება ყველაფერი... უფრო სწორად, კი არ დამთავრდება, ზოგიერთებს სკამების დატოვება მოუწევთ... შესაძლოა, თავად პრეზიდენტსაც კი!”**

მთავრობის გუშინდელი სხდომა საკმაოდ უინტერესოდ წარიმართა.

პრეზიდენტმა არ ისურვა რჩეულიშვილის თავის გატეხის ისტორიის, ანუ ამ თემაზე პროკურორის მოსმენა, რადგან ამაზე საუბარი მთავრობის სხდომაზე, თურმე, **“უხერხულია”.**

თუმცა, შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე გენპროკურორს სთხოვა, რომ ამ ინციდენტის თაობაზე პარლამენტის წინაშე მოხსენებით წარდგეს **“და გააგებინოს პარლამენტარებს - ვინ რას წარმოადგენს, ვის შეუძლია ხულიგნობა და ვის - არა”.**

სხვათა შორის, გუშინდელი სხდომის დასრულებისთანავე გენერალურმა პროკურორმა ჟურნალისტებს აუხსნა, **“ვინ რას წარმოადგენს”,** განაცხადა, რომ შერაზადაშვილი განსაკუთრებით აქტიურობდა და, ისიც თქვა, რომ რჩეულიშვილს თავი მაჭავარიანმა გაუტეხა.

ედუარდ შევარდნაძემ გუშინ არც მარიამ ცაცანაშვილს მისცა საშუალება, იმ ჩინოვნიკთა სახელები დაესახელებინა, რომლებიც საქმეს თავს ვერ ართმევენ და რომელთა გამოც მთავრობა და პარლამენტი საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე დადებულ პირობებს, სხვადასხვა კანონპროექტების მიღების თაობაზე, ვერ ასრულებს. ამ ინფორმაციის მომზადება პრეზიდენტმა თავის საპარლამენტო მდივანს მთავრობის მომავალი სხდომისთვის სთხოვა.

მირიან გოგიაშვილმა პრეზიდენტისგან დავალებებთან ერთად შენიშვნებიც მიიღო.

გუშინდელ სხდომაზე, საბიუჯეტო ცვლილებებთან დაკავშირებით, საკუთარი დარგის დაფინანსების შემცირებაზე პრეტენზიების გამოთქმის საშუალება არც მინისტრებს მისცემიათ. სამაგიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის შესრულების თემა მთავრობის სხდომაზე არ განხილულა, მთელი სხდომის განმავლობაში პრეზიდენტი, სხვადასხვა მოტივით, ფინანსთა სამინისტროს მისამართით პრეტენზიებს გამოთქვამდა, თუმცა მირიან გოგიაშვილის წინააღმდეგ გალაშქრების მთავარ საბაბად ჩაის აღორძინებისთვის განსახორციელებელი სამუშაოების დაფინანსება იქცა.

"მაისის ჩაი ყველაზე მაღალი ხარისხისაა და მის დაკარგვას ვერ შევეგუები", – განაცხადა პრეზიდენტმა და ძველი დრო გაიხსენა, აი ის, მთელი რუსული ბაზარი ქართულ ჩაის რომ ჰქონდა დაპყრობილი.

ედუარდ შევარდნაძემ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო პროგრამის სასწრაფოდ დაფინანსება მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს დაავალა, აიღოს კრედიტი ამ პროგრამისათვის ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი გარანტიით. საუბარია ჩაის სახელმწიფო პროგრამაზე, რომლისთვისაც ბიუჯეტში 3 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

უკვე სხდომის შემდეგ, სახელმწიფო მინისტრთან შეკრებილმა მთავრობის წევრებმა ამ საკითხზე იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ ამ ჯერზე კრედიტის აღება თავიდან აიცილონ.

სახელმწიფო მინისტრს საპენსიო საკითხების მოწესრიგებისთვის კოორდინაციის გაწევაც დაევალა.

საქართველოს საერთაშორისო იმიჯი სავალუტო ფონდის რეკომენდაციებზეა დამოკიდებული

სოფო კვინტრაძე

თბილისში გრძელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ჯეროენ კრემერსის ვიზიტი. გუშინ მან ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაცნობა ეროვნული ბანკიდან დაიწყო. კრემერსმა მოისმინა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის ინფორმაცია ბანკის საქმიანობისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმდინარეობის შესახებ; გაეცნო, აგრეთვე, საკანონმდებლო ბაზასაც. კრემერსს ეროვნული ბანკის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამს. მანაგაძის მტკიცებით, სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს არც ფონდის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ უსაუბრია, თუმცა, მანაგაძეს მიაჩნია, რომ კარგი იქნება, თუ კრემერსი დაინახავს ქვეყნის ხელისუფლების მიერ ვალდებულებების შესრულებას, რადგან მან სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოზე საქართველოს ინტერესები უნდა დაიცვას.

თავად კრემერსმა კი პრესასთან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ იგი სავალუტო ფონდში საქართველოს ინტერესებს იცავს და ამიტომ სურს, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას კარგად გაეცნოს. ეროვნული ბანკიდან ჯეროენ კრემერსმა არასამთავრობო ორგანიზაციებში გადაინაცვლა. იგი საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელს ექსპერტ ნიკო ორველაშვილს შეხვდა. როგორც ორველაშვილმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, შეხვედრაზე სტუმარმა მოისმინა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებები სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე. საუბარი მხოლოდ ნაწილობრივ შეეხო ახალ საგადასახადო კოდექსს, რომლის ერთ-ერთი ავტორი ნიკო ორველაშვილი გახლავთ.

ჯეროენ კრემერსი შეხვდა ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრს გიორგი გაჩეჩილაძეს და ფინანსთა მინისტრს მირიან გოგიაშვილს. ეკონომიკის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე კრემერსი ფონდის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობას შეეხო და განაცხადა, რომ თუ პარიზის კლუბში საქართველოს საკითხი დადებითად არ გადაწყდება, ეს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე ძალიან უარყოფითად იმოქმედებს. მირიან გოგიაშვილმა სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. ფინანსთა მინისტრმა ისიც განაცხადა, რომ მთავრობა თებერვლის მისიის დროს დატოვებული ერთ-ერთი რეკომენდაციის შესრულებას შეუდგა, რაც ხარჯების 113 მილიონი ლარით შემცირებას ითვალისწინებს. როგორც ცნობილია, ჯერჯერობით ფინანსთა სამინისტრომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 55 მილიონი ლარით შემცირება გადაწყვიტა. ფინანსთა მინისტრმა და სსფ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებზეც ისაუბრეს. გოგიაშვილის განცხადებით, უახლოეს დღეებში პარლამენტში “მრეწველების” ახალი საგადასახადო კოდექსისა და ფინანსთა სამინისტროს ცვლილებების პაკეტის შეჯერებული ვარიანტი შევა.

მოგვიანებით, ჯეროენ კრემერსი სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა. კრემერსმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მთავრობა დარჩენილ დროში შეძლებს ვალდებულებების შესრულებას და ქვეყანას პარიზის კლუბში პრობლემები აღარ შეექმნება.

პროექტი „თქვენი აფხაზეთი“ - ვირტუალური გზა აფხაზეთისკენ

პირველი გვერდიდან

“ქართველები უნდა გავიზარდოთ, სხვაგვარად უნდა შევხედოთ ამ ჩვენთვის მტკივნეულ პრობლემას. ჩვენი მთავარი მიზანი ქართულ საზოგადოებაზე ზემოქმედებაა, აფხაზურზე ვერც ვიმოქმედებთ და არც არის საჭირო, რადგან უკეთესი იქნება, თუ აფხაზები არ გაიზრდებიან, ერთ ადგილზე გაიყინებიან, მათი ამ მხრივ განვითარება ჩვენთვის სასარგებლო არ იქნება,” – ამბობს პროექტის მთავარი ექსპერტი, პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი.

“თქვენი აფხაზეთის” ფარგლებში სამენოვანი ქართულ-ინგლისურ-რუსული ინტერნეტ-საიტი შეიქმნება, სადაც თავს მოიყრის ნებისმიერი ინფორმაცია აფხაზეთიდან და აფხაზეთის შესახებ. საიტი მიებმება “რუსთავი 2”-ის ვებგვერდს. იმოქმედებს პირდაპირი კავშირი - ე.წ. “ჩატი”, სადაც ქართველებთან ერთად აფხაზებსაც შეეძლებათ საკუთარი აზრის გამოთქმა. ჩატარდება თემატური ინტერნეტ-კონფერენციები.

“ეს იქნება რეალური კონფლიქტის ვირტუალურად მოგვარების მცდელობა, რაც შეიძლება, საკმაოდ ეფექტური იყოს. საზოგადოება გააქტიურდება, გათვითცნობიერდება, შეიქმნება ერთიანი საინფორმაციო ბანკი, რაც ანალიზისა და თანმიმდევრული გარჩევის საშუალებას მოგვცემს,” – აცხადებენ პროექტის ავტორები.

პროექტი ასევე გულისხმობს ე.წ. საქმიანი თამაშების პრინციპების გამოყენებით, მუდმივ, რეგულარულ მუშაობას. ყოველ კვირას ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან, პოლიტიკოსებთან, კულტურისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან სხვადასხვა სახისა და თემატიკის შეხვედრები ჩატარდება.

როგორც პროექტის ავტორები გვპირდებიან, ამ შეხვედრებზე არ იქნება პათეტიკური ტონი, რომელიც აფხაზეთის თემაზე გამართულ შეხვედრებს ხშირად გასდევს ხოლმე. ისაუბრებენ მხოლოდ კონკრეტულ საკითხებზე, ყველა მსურველი საკუთარ კონკრეტულ მოსაზრებას დააფიქსირებს.

ქართული და აფხაზური მხარის ერთ მაგიდასთან დასმის და “ტკბილი” საუბრის ილუზია “თქვენი აფხაზეთის” ორგანიზატორებს არ აწუხებთ, თუმცა ფიქრობენ, რომ მიუკერძოებელი, ნეიტრალური ინიციატივით და ვირტუალური სამყაროს დახმარებით, ამ მხრივ გარკვეული ძვრები შესაძლებელია.

“ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა უთქმელობაა, სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს. ზედაპირზე უნდა ამოვიდეს სიმართლე, აფხაზეთის საკითხს ყოველგვარი საბურველი უნდა მოვაცილოთ, მხოლოდ ამ გზით შეიძლება რაიმეს მივაღწიოთ,” – ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.

პროექტის ხორცშესხმაში, რამდენიმე კერძო პირთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციებიც მონაწილეობენ. არასამთავრობო ორგანიზაცია “XXI საუკუნე” პროექტს ტექნიკურ უზრუნველყოფას, კომპიუტერებს ჰპირდება, “სტრასბურგის ჯგუფი” ახალ პროექტს თარჯიმნებით უზრუნველყოფს. საინფორმაციო მხარდაჭერას საკუთარ თავზე გაზეთი “24 საათი” იღებს.

პირველი შეხვედრა მომავალ შაბათს კულტურის წარმომადგენლებთან იგეგმება. მომდევნო კვირას აფხაზეთის საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაციები ისაუბრებენ, შემდეგ კი პროექტის ავტორები უცხოელ ექსპერტებს მოუყრიან თავს.

მიუხედავად ცხელი საარჩევნო ზაფხულისა, “თქვენი აფხაზეთის” ორგანიზატორები პოლიტიკოსებს აფხაზეთის თემით მანიპულირებისა და ხელის მოთბობის საშუალებას არ მისცემენ. **“არ გამოვრიცხავთ, რომ ზოგმა, შეიძლება, ჩვენი ტრიბუნა საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს. მაგრამ ჩვენი ფუნქციაც იმაშია, რომ ეს არ დავუშვათ, ჩვენთან მხოლოდ კონკრეტული საუბრები იქნება,”** – აცხადებს თორნიკე ბერიშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ “თქვენი აფხაზეთის” ტრიბუნას აფხაზებიც გამოიყენებენ.

შარაძე სოროსის წინააღმდეგ

გუშინ პარლამენტარმა გურამ შარაძემ სოროსის ფონდს შეუტია. შარაძის მტკიცებით, ამ ფონდმა ინტერნეტით გაავრცელა საქართველოს რუკა, სადაც **აფხაზეთი ჩამოჭრილია** და იგი გამოცხადებულია ცალკე სახელმწიფოდ. “**ამაზე მეტი რაღა უნდა გააკეთოს სოროსის ფონდმა, აფხაზეთი ხომ საქართველოს ჩამოაჭრა,”** – აღშფოთებას ვერ მალავდა გურამ შარაძე, რომელმაც საზოგადოებას ამცნო, რომ საფრანგეთის სასამართლომ ჯორჯ სოროსი და მისი ფონდი **"თაღლითად და ავანტიურისტად სცნო". "რვა წელია, სოროსის ფონდის ანტიქართულ საქმიანობას ვებრძვი, მაგრამ საკუთარ სიმართლეში ვერავინ დავარწმუნე,"** - წუხდა დეპუტატი. თუმცა, დეპუტატთა ნაწილმა მას არც ამ განცხადების შემდეგ დაუჯერა. მეტიც: ზოგმა დეპუტატმა სოროსის ფონდი გურამ შარაძის შემოტევებისაგან დაიცვა კიდეც. ასე, მაგალითად, "დემოკრატმა" გიორგი ბარამიძემ განაცხადა, რომ ხშირ შემთხვევაში სოროსის ფონდი **"ისეთ მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებს, რომელსაც საქართველოს მთავრობა თავს ვერ ართმევს".**

"24 საათი"

გოჩიაევს მხოლოდ ქართველები დააკავებენ

როგორც უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ნიკა ლალიაშვილი აცხადებს, ამჟამად ტარდება ღონისძიებები ჩეჩენი ანჩიმეზ გოჩიაევის ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით. გოჩიაევი რუსეთში საცხოვრებელი კორპუსების აფეთქებაშია ეჭვმიტანილი და პანკისის ხეობაში მისი ყოფნა თავად უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამაც არ გამორიცხა.

„გოჩიაევის დაკავება მხოლოდ ქართველი სამართალდამცავების ოპერაცია იქნება და არა ერთობლივი, რუსულ-ქართული, რაზეც მოსკოვი ოცნებობს. ჩვენ ანჩიმეზ გოჩიაევს სპეცოპერაციით გავანეიტრალებთ; სწორედ ასეთი ოპერაციის შედეგად დავაკავეთ გოჩიაევის ჯგუფის წევრი დეკუშევი, რომელიც ურეკში იმალებოდა“, — აცხადებს ნიკა ლალიაშვილი.

მედია-ნიუსი

არძინბას ხელისუფლება ევროკომისიის ელჩს თბილისთან შუამდგომლობას სთხოვს

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა გუშინ სოხუმში შეხვდა საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის ელჩს ტორდენ ჰოლცს. შეხვედრაზე განიხილეს აფხაზეთში არსებული ეკონომიკური სიტუაცია და სოჭში მიღწეული შედეგების რეალიზაციის საკითხები. გადაწყდა, რომ ევროკავშირი აფხაზეთს 2 მილიონი ევროთი დაეხმარება. ელჩთან შეხვედრისას სეპარატისტთა სახალხო კრების (ე.წ. პარლამენტის) სპიკერმა ნუგზარ აშუბამ განაცხადა, რომ აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის ჯერ კიდევ მოქმედი სანქციები. აშუბამ ელჩს სთხოვა, საქართველოს ხელისუფლების წინაშე გამოვიდეს ინიციატივით, მოიხსნას აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადა. აშუბას თქმით, ეკონომიკური სანქციების გაუქმება კარგ ფონს შექმნის ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების აღსადგენად.

მედია-ნიუსი

საქართველოს ანტიკორუფციულმა საბჭომ ფუნქციონირება შეწყვიტა

ექვს თვეზე მეტია, ის შენობის გარეშეა დარჩენილი. დალუქულია საბჭოს ქონება და მის მიერ მოკვლეული მასალები. საბჭოს წევრი გივი თარგამაძე ამაში საქართველოს პრეზიდენტის დაინტერესებას ხედავს. თარგამაძის თქმით, შენობის დატოვებამდე ერთი თვით ადრე პრეზიდენტმა შევარდნაძემ საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანა მოისურვა. "ცვლილებების მიხედვით, საბჭოს ფუნქციები მცირდებოდა, ძირითადი დატვირთვა საბჭოს ბიუროზე გადადიოდა. ბიუროს, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტს უნდა გაეკონტროლებინა, ნახევრად საგამოძიებო ფუნქცია უნდა მინიჭებოდა. შევარდნაძეს ამით არჩევნების წინ საკუთარი სადამსჯელო ორგანოს შექმნა სურდა, რასაც ჩვენ არ დავეთანხმეთ," - განაცხადა თარგამაძემ. საბჭოს მიერ შენობის დატოვების ოფიციალურ მიზეზად სახელდება ფართის იჯარის გადახდაში შექმნილი ფინანსური პრობლემები. საბჭოს დებულების თანახმად, ახლოვდება მისი წევრების ერთი მესამედის როტაციის დრო. თარგამაძე ვარაუდობს, რომ შევარდნაძე როტაციის დროს საბჭოდან მისთვის მიუღებელ წევრებს მოიშორებს და მერე საბჭოსთვის შენობასაც გამონახავს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ამერიკის ელჩი ABC-ის ინფორმაციაზე პირველ კომენტარს აკეთებს

ბელა მახარაძე



პანკისში არიან მცირე რაოდენობით ტერორისტები. "საქართველოს სხვა რაიონებში ტერორისტების არსებობის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ,"- აცხადებს ამერიკის ელჩი. ლადო ხარებავა/ფოტო

გუშინ "აღორძინების" ოფისს ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ მაილსი ესტუმრა. შეხვედრა, რომელიც დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა, დახურულ კარს მიღმა გაიმართა. როგორც "აღორძინების" წევრებმა ჟურნალისტებს განუმარტეს, სურვილი, შეხვედრას ჟურნალისტების გარეშე ჩაევლო, თავად მაილსს გამოუთქვამს.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ ორივე მხარე კმაყოფილი ჩანდა. ამერიკის ელჩმა შეხვედრასთან დაკავშირებით მცირე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში, მსოფლიოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დაძაბული მდგომარეობა არ არის. მისთვის გაურკვეველია, რის საფუძველზე გააკეთა კომპანია ABC-მ ტერორისტებთან დაკავშირებით განცხადება.

რიჩარდ მაილსი არ მალავს, რომ ის ერთობ დაინტერესებულია საქართველოში მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებით და ყველაფერს ცდილობს, რათა საქართველოში არჩევნები მაქსიმალურად დემოკრატიულად ჩატარდეს. "**ჩვენ ვთანამშრომლობთ საქართველოს ხელისუფლებასთან, ასევე - პოლიტიკურ პარტიებთან, ვეხმარებით სახელმწიფოს ამომრჩეველთა სიების კომპიუტერიზაციაში, რათა იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს,**" – ამბობს მაილსი. იგი აფხაზეთში ტერორისტული დაჯგუფებების არსებობას უარყოფს, მაგრამ ადასტურებს, რომ პანკისში არიან მცირე რაოდენობით ტერორისტები. "**საქართველოს სხვა რაიონებში ტერორისტების არსებობის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ,**"- აცხადებს ამერიკის ელჩი. მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ძალაუფლება აღადგინა, პანკისის ხეობაში, მაილსის ინფორმაციით, ტერორისტების რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია.

მაილსს "აღორძინებასთან" ოფიციალური შეხვედრა გუშინდლამდე არ ჰქონია. ის, ზოგადად, შეხვედრით კმაყოფილია და ამბობს: "**მათ საქართველოში საკუთარი ამომრჩეველი ჰყავთ, მე მაინტერესებდა მათი აზრი სხვადასხვა საკითხებზე, მინდოდა გავცნობოდი და შევხვედროდი მათ.**"

შეხვედრის შემდეგ კომენტარები თავად "აღორძინების" ლიდერებმაც გააკეთეს. ჯემალ გოგიტიძე ამერიკის ელჩის სტუმრობით კმაყოფილია და ამბობს, რომ მაილსი დაინტერესებულია, საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს. გოგიტიძემ ელჩს წინა არჩევნების დროს მომხდარი დარღვევები ზოგადად გააცნო და ამჟამინდელი პრობლემებიც გაუზიარა. "**ჩვენ რიჩარდ მაილსს იმ დარღვევების შესახებ ვესაუბრეთ, რომელსაც ხელისუფლება ოპოზიციური პარტიებისა და, კერძოდ, ჩვენი პარტიის მიმართ ახორციელებს, მაგრამ ხელისუფლებისგან დუმილი ნიშნავს, რომ იგივე მოვლენები მომავალშიც შესაძლებელია გაგრძელდეს**", - ამბობს გოგიტიძე. ის იმედს იტოვებს, რომ ამერიკის ელჩი საქართველოში არსებული ვითარების შესახებ სათანადო ინფორმაციას გაავრცელებს.

"აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ცოტნე ბაკურიამ განაცხადა, რომ დღეს ისინი ელოდებიან ევროპის საბჭოს წარმომადგენელს საქართველოში, ორშაბათს კი "აღორძინებას" ეუთო-ს წარმომადგენლები ესტუმრებიან.

საარჩევნო კოდექსი ხელუხლებელია

დავით ბეჟუაშვილსაც ვერავინ ახლებს ხელს

საარჩევნო კოდექსი ცვლილებებს გუშინაც გადაურჩა. იმის მიუხედავად, რომ ორი დღის მანძილზე დეპუტატებმა არაერთხელ დააპირეს კოდექსის განხილვა, გუშინდელი სხდომაც ისე მიიწურა, რომ კანონი ხელუხლებელი დარჩა. ამის მიზეზი კი კვლავ პოზიციათა შეუჯერებლობაა. მართალია, შესვენებაზე დეპუტატებმა კვლავ კონსულტაციები გამართეს, მაგრამ, უშედეგოდ. ასე რომ, საარჩევნო კოდექსზე მსჯელობა კვლავ გადაიდო. სამაგიეროდ, პარლამენტარებმა ორი საქმე მაინც გააკეთეს – დავით ბეჟუაშვილი გენპროკურატურას "საჯივჯგნად არ მიუგდეს" და მცხეთის მაჟორიტარი, სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის ყოფილი უფროსი სამსახურებრივად დააწინაურეს – მან ცხინვალის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარალმენტო კომისიის თავმჯდომარის ვაკანტური სავარძელი დაიკავა. მანამდე ამ პოსტს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ელდარ შენგელაია ფლობდა, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ თანამდებობა ნებაყოფლობით დატოვა.

თამარ მჭედლიშვილი

პარლამენტი დავით ბეჟუაშვილს იმუნიტეტს რომ არ მოუხსნიდა და გენპროკურატურას მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებას არ მისცემდა, ეს თავიდანვე ნათელი იყო. რამდენიმე კვირის წინ დეპუტატებმა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე თავისი კოლეგა ერთსულოვნად დაიცვეს. ასე რომ, ორი დღის წინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამართული დებატები და გენერალური პროკურორის გამოსვლა ბეჟუაშვილისთვის მხოლოდ ფორმალურ საშიშროებას თუ წარმოადგენდა, რადგან თავისი კოლეგების განწყობა შესანიშნავად იცოდა. იგი საკმაოდ მშვიდად იგერიებდა პროკურორის ბრალდებებს და ამტკიცებდა, რომ მის მიერ "**ენერგოსფერო-ში გადადგმული ყველა ნაბიჯი აბსოლუტურად გამართლებული და კანონიერი იყო**".

დეპუტატებმა, რაღა თქმა უნდა, დავით ბეჟუაშვილს დაუჯერეს. თავისი დამოკიდებულება კი კენჭისყრით გამოხატეს. საკუთარ კოლეგას მხოლოდ ოცმა დეპუტატმა "უმტრო". 59-მა კი მისი უდანაშაულობა აღიარა და გენპროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე, როგორც იტყვიან, "ხელმოცარული დატოვა".

არადა, დეპუტატ დავით ბეჟუაშვილის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება საკმაოდ სერიოზულია: გენპროკურატურა "საქგაზის" ყოფილ ხელმძღვანელს ბუნებრივ აირზე საფასურის ხელოვნურად გაზრდაში, მილიონ 400 ათასი ლარის მითვისებასა და სხვა არანაკლებ მძიმე კანონდარღვევებში ადანაშაულებს. ამის მიუხედავად, გუშინ დეპუტატებმა თავის კოლეგას ნდობა მაინც გამოუცხადეს და მის უდანაშაულობაზე ისაუბრეს. თავად ბეჟუაშვილმა კი კენჭისყრის დასრულების შემდგომ კოლეგების მისამართით მადლობის სიტყვები არ დაიშურა და მთლად გულნატკენი არც გენერალური პროკურატურა დატოვა. მან პირობა დადო, რომ "**გამოძიებას ყველანაირად მიეხმარება და მათთან ერთად ჭეშმარიტების დადგენას შეეცდება**". ასე რომ, გუშინდელმა დღემ დავით ბეჟუაშვილს მშიდად ყოფნის რამდენიმეთვიანი გარანტია მისცა, რადგან ამ მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე მას სისხლის სამართლებრივი დევნა აღარ ემუქრება.

გუშინდელი დღე საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა მცხეთის მაჟორიტარისთვისაც. 129 პარლამენტარმა ბადრი ხატიძე ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩია. პარლამენტის მეხუთე ვიცე-სპიკერმა, ქართველ სოციალისტთა ბელადმა ვახტანგ რჩეულიშვილმა მას პირველი დავალებაც კი მისცა.

საქმე ის გახლავთ, რომ რჩეულიშვილს "გაერთიანებული დემოკრატები" თავს არ ანებებენ. ამჯერად, მას თავად თელაველებმა უმტყუნეს (საგულისხმოა, რომ რჩეულიშვილი წარმოშობით სწორედ თელავიდანაა) და გაავრცელეს წერილი, რომლითაც რჩეულიშვილი ათას ცოდვაში დაადანაშაულეს. რჩეულიშვილმა ხატიძეს ამ წერილის შესწავლა მოსთხოვა. ამ წერილის თანახმად, რჩეულიშვილი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის სტატუსს საკუთარი ბიზნესისთვის იყენებს. თავდაპირველად რჩეულიშვილს სასამართლოში ჩივილი დაუპირებია, მაგრამ შემდეგ, რატომღაც, გადაუფიქრებია. გუშინ კი მან კომისიის ახალ თავმჯდომარეს ამ ბრალდებების შესწავლისაკენ მოუწოდა და იქვე მოსთხოვა, რომ კომისიას, სიმართლის დადგენის მიზნით, პროკურატურისა და უშიშროებისთვის მიემართა, რათა რჩეულიშვილს შელახული ღირსების აღდგენის საშუალება მისცემოდა.

დღის მეორე ნახევარი დეპუტატებმა "უკანონო შემოსავლების ლეგალიზების აღკვეთის შესახებ" კანონპროექტს დაუთმეს და მისი მუხლობრივად განხილვა დაიწყეს. დღეს დილიდან კი ისინი, ალბათ, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანას შეეცდებიან.

საბედისწერო ვიქტორინა ნატო-ში

პირველი გვერდიდან

ბრიუსელში ამ დროშებს შორის საქართველოსიც რომ აფრიალდეს, ჩვენს ხელისუფლებას მრავალი რამის შეცვლა მოუწევს. მანამდე კი, პასუხგასაცემია მთავარი შეკითხვა: რატომ გვიანდება აღებული ვალდებულებების შესრულება.

მისი კარი ღია იქნება ყველა სახელმწიფოსთვის, რომელიც გაიზიარებს საერთო დემოკრატიულ ფასეულობებს და გარდაქმნის შეიარაღებულ ძალებს. ეს შანსი, ცხადია, ყველაზე მეტად ალიანსის პარტნიორ ქვეყნებს აქვთ. აქედან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის მესიჯი, "**რომ ნატო-ს ისევე სჭირდება საქართველო, როგორც საქართველოს - ნატო**", სრულიადაც არ არის აზრს მოკლებული და ბრიუსელში ბევრ მოხელეს ნახავთ, ვინც იმავე აზრს, ოღონდ სხვაგვარი ფორმით, ჩამოაყალიბებს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო, რომელიც ევროპული უსაფრთხოების თვალსაზრისით მგრძნობიარე რეგიონში შედის, ამისთვის რაიმე შეღავათებს მიიღებს.

ალიანსის ხელმძღვანელობას აინტერესებს, რამდენად არის საქართველო არჩეული კურსის ერთგული და რამდენად ძალუძს მის ხელისუფლებას, ადეკვატურად უპასუხოს დროის მოთხოვნებს. ამ მზაობას ალიანსში ბევრი მაჩვენებლით აფასებენ და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შექმნილი ვითარება ერთადერთი კრიტერიუმი არ არის.

როგორც ნატო-ში საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლები აცხადებენ, სხვადასხვა დელეგაციების მიმართ ალიანსის შტაბ-ბინაში სხვადასხვა პრეტენზია არსებობს: საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტის წევრებს არაერთხელ აგრძნობინეს, რომ დემოკრატიული ფასეულობების ერთგულმა და ალიანსში გაწევრიანებაზე მეოცნებე სახელმწიფომ, დროა, მოაგვაროს ბასილ მკალვიშვილისა და რელიგიური შეუწყნარებლობის პრობლემა; ჩაატაროს დემოკრატიული არჩევნები და მეტი დრო მოანდომოს არა პოლიტიკურ კინკლაობას, არამედ შიდა კონფლიქტების მოგვარებას.

და მაინც, ყველაზე მეტი შეკითხვა ალიანსს საქართველოს თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროების მიმართ აქვს. ცხადია, რატომაც: პირველმა, ჯერ კიდევ 1999 წელს აირჩია პარტნიორობის 29 მიზანი და არც ერთი არ მიუყვანია ბოლომდე. მეორე უწყება კი არ ასრულებს საკუთარი შეიარაღებული ძალების წინაშე სახელმწიფო ბიუჯეტით დაკისრებულ მოვალეობებს. თანაც ორივე უწყების ხელმძღვანელებს მიდრეკილება აქვთ პროპაგანდისკენ, რაც თბილისში ნატო-ს დაგეგმარების დეპარტამენტის წარმომადგენლების ვიზიტის დროსაც გამოჩნდა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ განაცხადა, რომ "**ალიანსის წარმომადგენლები კმაყოფილი არიან შეიარაღებულ ძალებში გატარებული რეფორმებით და შეკითხვები მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს მიმართ აქვთ.**" საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თავის მხრივ, დარწმუნებულია, რომ თავდაცვის სფეროს დაფინანსება პრიორიტეტულია და იგი ყველა ვალდებულებას პირნათლად ასრულებს.

ეს უწყებათშორისი გაუგებრობა, რასაც, რატომღაც, ოლიმპიური სიმშვიდით ადევნებს თვალს საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, შეუმჩნეველი არ დარჩათ ნატო-ში, სადაც 22 მაისს, საქართველოს დელეგაციის წევრებს 19+1-ის ფორმატით კიდევ ერთხელ მოუწევთ დაგროვილ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. როგორც წინასწარი ინფორმაციით ირკვევა, თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული სამმართველოს უფროსს, გენერალ ვლადიმერ იმნაძეს და ფინანსათა სამინისტროს წარმომადგენელ ზურაბ მიმინოშვილს წინ მეტად რთული "ვიქტორინა" ელოდებათ.

პირველს მოუწევს განმარტოს, თუ რატომ ვერ შესრულდა პარტნიორობის 29 მიზანი. ამ უნიათობის მხოლოდ და მხოლოდ ფინანსების სიმცირით ახსნა კი ძალზე გაჭირდება. აი, სავარაუდო შეკითხვათა მოკლე ჩამონათვალი:

რა ბედი ელოდება "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებულ ბატალიონებს?

რატომ მოხვდა ამ პროგრამაში გვარდიული ბატალიონი, იმ სტრუქტურისა, რომლის მთავარი ფუნქცია მობილიზაციის განხორციელებაა?

რატომ ინახავს საქართველო მოიერიშე თვითმფრინავებს(საქართველოს ერთ-ერთ უწყებაში ნატო-ელი ექსპერტებისთვის უთქვამთ, რომ სუ-25-ების მთავარი დანიშნულება პრეზიდენტის საჰაერო ესკორტიაო), თუკი არ არსებობს ამ სახეობის ჯარების განვითარების გეგმა და პილოტებს არ შეუძლიათ იფრინონ 150 საათი წელიწადში, რასაც ნატო-ს სტანდარტებით დადგენილი ნორმა ითვალისწინებს?

ნატო-ს ექსპერტებისთვის ასევე ბოლომდე გასაგები არ არის სწრაფი რეაგირების ძალების დანიშნულება და მის სტრუქტურაში შემავალი კადრირებული ნაწილები; განმარტებას მოითხოვს სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის ცალ-ცალკე არსებობის აუცილებლობა;

ცალკე საკითხია, ინგლისური ენის შესწავლის საკითხი, ვინაიდან, მიუხედავად თავდაცვის უწყებაში არსებული ენობრივი მომზადების ცენტრებისა, ფაქტობრივად, უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა ვერ ფლობს ინგლისურ ენას და, არაერთი დაპირების მიუხედავად, ეს გარემოება არ წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს მათი სამსახურებრივი დაწინაურების დროს;

დაბოლოს, 19+1-ის ფორმატის დროს საქართველოს სამხედრო დელეგაციის წევრებს აუცილებლად მოუწევთ განმარტონ, თუ რას ნიშნავს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ფუნქციონალური გამიჯვნა, როდესაც ბევრი მახასიათებლის მიხედვით, მთელი შეიარაღებული ძალების მართვა ერთი პიროვნების, თავდაცვის მინისტრის მიერ ხორციელდება.

ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, არ იქნება იოლი არც ბრიუსელში მყოფი სამხედრო დელეგაციისთვის, არც თავდაცვის მინისტრისთვის და არც იმ ადამიანისთვის, ვინც ქვეყნის სახელით, საქართველოში უზენაეს გადაწყვეტილებებს იღებს.

"რუსეთი კბილების ღრჭენას არ აპირებს" - გვამშვიდებს ზატულინი

პირველი გვერდიდან

მაგალითად, დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინ ზატულინი; ეკონომიკური და სოციალური რეფორმების ფონდის ვიცე-პრეზიდენტი, პოლიტოლოგი ანდრონიკ მიგრანიანი და ა.შ. ჩვენი მხრიდან მათ უმასპინძლებენ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები და ექსპერტები: რუსეთში ჩვენი ელჩი ზურაბ აბაშიძე; ვიცე-სპიკერები - გიგი წერეთელი, ვახტანგ რჩეულიშვილი, ელდარ შენგელაია, ვახტანგ ყოლბაია; საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე; საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად მუკბანიანი; დეპუტატები - ზურაბ ჟვანია, გიორგი ბარამიძე და ა.შ.

"**საქართველო-რუსეთს შორის დიალოგის გააქტიურებაა საჭირო. აუცილებელია ხშირი შეხვედრები იმ კვანძის გასახსნელად, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობის მხრივ არსებობს. ამ კონფერენციის ძირითადი მიზანი სწორედ ეს არის. გვსურვებთ წარმატებას, მაგარ ნერვებს და კეთილმოსურნეობას**", - სამი დღის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა დაგეგმილი დებატების სიცხარეზე მიანიშნებდა საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილიც.

"**ჩვენ შეიძლება ვერ მოგაწოდოთ ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების რეცეპტი, მაგრამ შგვიძლია გაგიზიაროთ დიდოგის გამოცდილება**", - ამგვარად აფასებდა კონფერენციის მიზანსა და საკუთარ მისიას ვოლფგანგ იონი.

რუსეთის წარმომადგენელ, სხდომის პოტენციურ მთავარ გმირებს კონფერენციის "უვერტიურის" დიდად არ უაქტიურიათ. თუმცა, ჟურნალისტებთან საუბრისას ისინი ევროპული უშიშროების ჭრილში საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე თავის შეხედულებებს, ტრადიციულად, არ მალავდნენ. მაგალითად, მიგრანიანის აზრით, "**პრობლემა ის კი არ არის, თუ რაში არ ემთხვევა საქართველოსა და რუსეთის შეხედულებები, არამედ ის, თუ რაში დაემთხვევა საქართველო-ამერიკის შეხედულებები**".

"**ჩვენში ინტერესთა სფეროების სხვადასხვა გაგება არსებობს. ჩვენ პარტნიორებად გერმანიასა და საფრანგეთს მივიჩნევთ, თქვენ - ამერიკას... საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც სსრკ-დან გამოსვლის სურვილი გამოთქვა. კონსტიტუციად 1921 წლის კონსტიტუცია აღადგინა, რომელიც სხვა ეროვნებების დაცვას ვერ უზრუნველყოფდა. რუსეთი არასოდეს ყოფილა საქართველოში არსებულ კონფლიქტებში ჩათრეული. იგი ოფიციალურად შუამავლის როლს ასრულებს. საქართველოს იმედგაცრუება რუსეთისადმი სწორედ იმით არის განპირობებული, რომ საქართველოს წარმომადგენლები ცდილობდნენ და სურდათ, რუსეთი აფხაზეთის იძულებით დასაბრუნებლად გამოეყენებინათ. მაგრამ რუსეთმა საერთაშორისო დონეზე მიღებული შეთანხმებების დაცვა გადაწყვიტა**"... - ეს უკვე ზატულინის მოსაზრებაა. თუმცა, როგორც იგი გუშინ გვამშვიდებდა, ყველაფრის მიუხედავად, "**რუსეთი საქართველოსთვის კბილების ღრჭენას არ აპირებს**". საქართველოსადმი ასეთი დამოკიდებულების სისწორე ნაწილობრივ, ალბათ, ამ სამდღიანი კონფერენციითაც შეიძლება გაირკვეს.

მონიტორინგი

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 21 მაისისათვის

მილიონ ლარებში

დასახელება	ექვსი თვის პროგნოზი	შესრულება	%	20 მაისი
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	529.80	322.95	61%	3.20
ცენტალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	385.09	229.29	60%	2.05
საგადასახადო შემოსავლები	310.64	194.06	62%	2.02
სოციალური ფონდი	116.81	80.09	69%	1.05
საგზაო ფონდი	24.05	13.70	57%	0.10
დეფიციტის დაფინანსება	118.66	81.23	68%	0.00

სახაზინო ვალდებულებათა განთავსება

თარიღი: 14.05.03

აუქციონის N	20
ემისიის ვადა	126 დღე
ემისიის ოდენობა	5,000,000
მოთხოვნა	9,584,100
დისკონტის პროცენტი	45.86%
ბიუჯეტის შემოსავალი	4,316,576
დასაფარი თანხა	5,000,000
ბალანსი	-683,424

სს "დავითა, ვარშალომიძე, წოლაიდელი და პარტნიორები" საბარათლებრივი, საფინანსო და გადასახადების კონსულტაციები

- საბუღალტრო მომსახურების და საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური ანალიზის და საინვესტიციო პროექტის შედგენა
- გადასახადების კანონმდებლობის საფინანსო და საბანკო საკითხებზე და წარმომადგენლობის საბუღალტრო ორგანიზაციის შესახებ
- გადასახადების კანონმდებლობის საფინანსო საკითხებზე

www.dvnk.ge

კომპანია **"გაერთიანებული გლობალური ტექნოლოგიები"** აცხადებს კონკურსს მარკეტინგის განყოფილების უფროსის პოზიციის დასაკავებლად

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი ეკონომიკური განათლება მარკეტინგის განხრით (მაგისტრის ხარისხი მარკეტინგში);
- მარკეტინგის სფეროში მენეჯერად მუშაობის მინიმუმ 2 ან 3 წლის გამოცდილება;
- ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა.

დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის დოკუმენტები:

- განაცხადი (მოგეწოდებათ UGT-ის ოფისში);
- ფოტოსურათი;
- დიპლომის ასლი.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 17 ა, UGT

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 30 მაისი.

„ბრითიშ მედიტერენიანი" წარსულის გაკვეთილებზე სწავლობს

ნინო ნარჩემაშვილი

"ვიდრე ბრიტანული ავიაკომპანია "ბრითიშ მედიტერენიანი" საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილებას მიიღებს, აუცილებელია რიგი საკითხების, მათ შორის - საგადასახადო დავის მოგვარება, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული უარყოფითი შედეგები. ბრიტანეთის საელჩოში მიმდინარეობს მუშაობა ახალი სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც შესაძლებელს გახდის ლონდონსა და თბილისს შორის ფრენის აღდგენას," – აღნიშნავს პრესისათვის გავრცელებულ განცხადებაში ბრიტანეთის ელჩი საქართველოში დებორა ჯონსი. მისი განცხადებით, ბრიტანული ავიაკომპანიის საჰაერო მიმოსვლის შეჩერებამ პრობლემა შეუქმნა მგზავრებს. დაზარალდა როგორც საქართველოს ეკონომიკა და პრესტიჟი, ასევე "ბრითიშ მედიტერენიანის" ბიზნესი და რეპუტაცია. მისივე თქმით, თუ ავიაკომპანიას საქართველოში დაბრუნება მოუწევს, მისი ხელმძღვანელობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ხელშეკრულება საჰაერო მიმოსვლის შესახებ სრულფასოვნად და ყველა პუნქტის დაცვით განხორციელდება. ბრიტანეთის ელჩს იმედი აქვს, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია ყოველივე ამას გაითვალისწინებს და დროულად გასცემს საჰაერო მიმოსვლის ნებართვას.

დებორა ჯონსი თბილისსა და ლონდონს შორის ფრენის აღსადგენად ახალი სტრუქტურის შექმნაზე საუბრობს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

აღნიშნული ახალი სტრუქტურის პირველი ნაწილი ბრიტანეთსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას და საქართველოს პარლამენტის მიერ მის რატიფიკაციას ითვალისწინებს. ამ საკითხის დეტალები სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძისა და დებორა ჯონსის 19 მაისის შეხვედრაზეც იქნა განხილული.

რაც შეეხება ხელშეკრულებას ბრიტანეთსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ძირითადი საკითხები უკვე შეჯერებულია და უახლოეს დღეებში დოკუმენტი რატიფიკაციისათვის საქართველოს პარლამენტს გადაეცემა; რის შემდეგაც სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია გადაწყვეტს, გასცეს თუ არა ფრენის ნებართვა.

შეგახსენებთ, რომ, ჯერჯერობით, არ დასრულებულა საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტსა და ბრიტანულ ავიაკომპანიას შორის დავა, რომელიც 13 მილიონი ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანებას ეხება. საქართველოს ხელისუფლებასთან ამაო მოლაპარაკებებით დაღლილი ბრიტანეთის ელჩი მიიჩნევს, რომ საქართველოს მოსახლეობა გაგებით ეკიდება აღნიშნულ მოვლენებს და ესმის, თუ რა არასასურველი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ქართული ბაზრიდან ისეთი კომპანიის გაძევებას, როგორიც "ბრითიშ მედიტერენიანი" გახლავთ.

შესაძლოა, დენის ტარიფი კვლავ გაიზარდოს

მაია ურუშაძე

გუშინ მუშაობის ვადა ამოეწურა "ეი-ი-ეს თელასისა" და საქართველოს მთავრობის ე.წ. "შემთანხმებელ კომისიას", რომელსაც მთავრობასა და "ეი-ი-ესს" შორის წარმოშობილი უთანხმოებები უნდა განეხილა. "ვთანხმდებით იმაზე, რომ ვერაფერზე ვერ ვთანხმდებით. "ეი-ი-ესი" ნამდვილად არ არის ბედნიერი "თელასში" ინვესტიციის ჩადებით," – იმეორებს "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი იგნასიო ირიბარენი. ერთ დროს სტრატეგიულ ინვესტორად მიჩნეულ ამერიკულ კომპანიას საქართველოს მთავრობასთან რამდენიმე პრეტენზია აქვს.

გუშინ კომპანიამ შეაჩერა ელექტროენერგიის მიწოდებაზე დაწესებული გრაფიკების მოქმედება, ამიტომ უმრიცხველო უბნები დენს დღეიდან თავისუფლად მიიღებენ – ამისათვის კი ელექტროენერგიაზე დაწესებული ყოველთვიური გადასახადის პირნათლად გადახდა იქნება საჭირო.

„ეი-ი-ეს თელასი" სემეკ-ში განცხადების შეტანას გეგმავს და ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდას ითხოვს. **„ჩვენ გვსურს მოსახლეობამ იცოდეს, რომ ტარიფის ზრდა მთავრობის მიერ შეცვლილი კანონმდებლობიდან მომდინარეობს. როდესაც მთავრობა "თელასის" მიმართ კანონმდებლობას ამკაცრებს, საგადასახადო ვალდებულებების ზრდა ელექტროენერგიის ტარიფზეც აისახება,"** — აცხადებს ის.

თბილისის მოსახლეობა სხვა პრობლემის წინაშეც დგას. 1 ივნისიდან "ეი-ი-ეს თელასის" მომსახურების ცენტრები შეღავათებს შეუწყვეტს ომის ვეტერანებს, ინვალიდებს, 9 აპრილს დაზარალებულებსა და სხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ პირებს. ამის შესახებ განკარგულება ჯერ კიდევ 1 მაისს შევიდა ძალაში. "ეი-ი-ეს თელასში" აცხადებენ, რომ გადაწყვეტილების საფუძვლად მთავრობის მიერ შეუსრულებელი ვალდებულება იქცა.

"სოციალურად დაუცველ პირებს შეღავათი ამერიკულმა კომპანიამ კი არა, სახელმწიფომ აღუთქვა. შესაბამისად, თანხა, რომლითაც "ეი-ი-ეს თელასმა" ამ პირებს შეღავათი უნდა გაუწიოს, მთავრობამ უნდა გადაიხადოს, რაც არ სრულდება," – აცხადებენ "ეი-ი-ეს თელასში".

მართლაც, ომის ვეტერანებისათვის ელექტროენერგიის საფასურზე შეღავათის დაწესებას 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიც ითვალისწინებს. კანონის მიხედვით, შეღავათების სუბსიდირებისთვის გამოყოფილ თანხებს სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით შექმნილი კომისია განკარგავს. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს კი ამ მიზნით "ეი-ი-ეს თელასისათვის" თავის დროზე 3 მილიონ 900 ათასი ლარის გადახდა აქვს ნაკისრი, საიდანაც მხოლოდ მილიონ 500 ათასი ლარია გადახდილი.

"ეი-ი-ეს თელასის" მონაცემებით, სახელმწიფომ კომპანიას ომის ვეტერანების, ინვალიდების, დევნილებისა თუ სხვა სოციალურად დაუცველი პირებისათვის შეღავათების გასაწევად ახლა უკვე 5 მილიონი ლარი უნდა გადაუხადოს. გარდა ამისა, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ზამთრის გათბობის პროგრამისთვის გამოყოფილი გრანტის ნაწილი - მილიონ 200 ათასი ლარი, რომელიც თავის დროზე ანგარიშიდან სამი დღით ჩამოაჭრა.

ამერიკული კომპანია ბიუჯეტთან ამ ვალების ურთიერთჩათვლების მექანიზმით გაქვითვაზეც თანახმაა. ამ შემთხვევაში "ეი-ი-ეს თელასის" კომერციული მენეჯერი გააუქმებს ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც, ელექტროენერგიის დისტრიბუტორი ინვალიდებისა და ვეტერანებისთვის შეღავათების გაწევის პროგრამას აჩერებს.

თუმცა, ჯერჯერობით, მთავრობა კომპრომისზე არ მიდის და "ეი-ი-ეს თელასს", სხვა თანხებთან ერთად, სახელმწიფო ფასების ინსპექციის მიერ დარიცხულ 96 მილიონ ლარსაც ედავება. თანხა, რომელიც კომპანიამ პირდაპირი კონტრაქტების გაფორმებითა და პირდაპირი დარიცხვებით მოიგო, სემეკ-მა მას ელექტროენერგიის ტარიფში გამოუქვითა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ფასების ინსპექცია "ეი-ი-ეს თელასს" ამ თანხის ბიუჯეტში გადარიცხვას სთხოვს.

საგზაო ფონდი - გზების აღდგენის საშუალება თუ პრეზიდენტის „გაჭირვების ტალკვესი"

პირველი გვერდიდან

ბოლო ნაბიჯი, რითაც საგზაო დეპარტამენტის უფროსმა ბორის სარალიძემ პრეზიდენტს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ შევარდნაძეს მისი მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს, "მეგზევეთა კავშირის" პრეზენტაცია და ოპერისა და ბალეტის თეატრში სახელისუფლებო ბლოკის მხარდაჭერის ხმამაღალი აღიარება იყო. თუმცა, სარალიძის განმარტებით, "მეგზევეთა კავშირის" შექმნასა და პრეზიდენტთან შეხვედრას პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არა აქვს. მისი თქმით, "უბრალოდ, პროფესიული კავშირი ჩამოყალიბდა."

შევარდნაძისადმი სარალიძის ერთგულების დამტკიცება "მეგზევეთა კავშირის" დაარსებით არ დაწყებულა. პოლიტიკური წრეების შეფასებით, სარალიძე არასდროს ღალატობდა პრეზიდენტს და სახელისუფლებო ბლოკის ინტერესების დასაცავად საჭირო ქმედებებს საჭირო მომენტში ახორციელებდა. შესაბამისად, საგზაო ფონდი ყველა ფორსმაჟორულ სიტუაციაში, განსაკუთრებით კი არჩევნების დროს, სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი მთავარი ფინანსური საყრდენი იყო.

ჩვეულებას საგზაო ფონდის ხელმძღვანელმა არც ამჯერად უღალატა, საარჩევნო თანხების მობილიზების სურვილით "ფუნქციაგახსენებულ" საგადასახადო დეპარტამენტს არ ჩამორჩა და "ურჩი გადამხდელების" დაყადაღება დაიწყო. საგზაოს "პირველი მსხვერპლი" "ეი-ი-ეს თელასი" აღმოჩნდა. ფონდმა კომპანიის ანგარიში 1,7 მილიონი ლარის მოთხოვნით დააყადაღა. თავად სარალიძე "თელასის" დაყადაღების ფაქტს "საგზაო ფონდის შესახებ" კანონის დაცვით ხსნის. მისი თქმით, "თელასს" 2002 წლის მესამე, მეოთხე და მიმდინარე წლის პირველი კვარტლის გადასახადები არ გადაუხდია. "თელასის" წარმომადგენლების განმარტებით კი, საგზაო ფონდის მიერ დასახელებული თანხა ათჯერ მეტია იმაზე, რასაც სახელმწიფოსა და "ეი-ი-ეს თელასს" შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება ითვალისწინებს.

საქართველოს მთავრობასა და "ეი-ი-ეს თელასს" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში საგზაო ფონდის გადასახადი კომპანიაში შემოსული თანხების 0,1 პროცენტითაა განსაზღვრული. საგზაო ფონდის შესახებ კანონით, გზებით საგებლობისათვის გადასახადი ერთი პროცენტია. შესაბამისად, "ეი-ი-ესთან" გაფორმებულ ხელშეკრულებას საგზაო დეპარტამენტის უფროსი შეცდომას უწოდებს. **"ამ დოკუმენტის გაფორმებაში ჩვენ არ ვმონაწილეობდით. მას რამდენიმე მინისტრი კი აწერს ხელს, მაგრამ ჩვენი ხელმოწერა არ არის. დავუშვათ, რომ ხელი მეც მოვაწერე. ასეთ შემთხვევაშიც დოკუმენტი, რომელიც პარლამენტის მიერ რატიფიცირებული არ არის, კანონზე მაღლა არ დგას. მე კი კანონს ვიცავ,"** - აცხადებს სარალიძე და "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურ მენეჯერს იგნასიო ირიბარენს უფლებების დასაცავად სასამართლოსკენ მიუთითებს. **"მე სანქციას გავავრცელებ შენზე, ამ თანხას წამოვიღებ, მერე შენ მიჩივლებ სასამართლოში და თუ მართალი ხარ, დაიბრუნებ თანხას"**, - ასეთია სარალიძის რეცეპტი, რომელზეც "თელასის" ხელმძღვანელი კატეგორიულ უარს აცხადებს.

"საგზაო ფონდი – ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გაუმჭვირვალე სისტემა, სადაც ხარჯები წინასწარ არ იგეგმება. საგზაო დეპარტამენტი გარიგებულია ფინანსთა სამინისტროსთან, მას არ უნდა ჰქონდეს გადასახადების ამკრეფის ფუნქცია და ა.შ." – ეს არის იმ პრეტენზიების მცირე ჩამონათვალი, რომელიც საგზაო უწყების მიმართ მისი შექმნის დღიდან არსებობს.

პრეტენზიების ერთ-ერთი მიზეზი კი ისაა, რომ საგზაო დეპარტამენტის საქმიანობის დასაფინანსებლად შექმნილ უწყებას გადასახადების ამკრეფის ფუნქციაც შეთავსებული აქვს. ამის გამო საგზაო ფონდს ექსპერტები "დამატებით და ზედმეტ საგადასახადო ინსპექციას" უწოდებენ. **"ფონდის ამ სახით არსებობის საკითხი სერიოზულად არის გადასახედი,"** - აცხადებს პარლამენტარი რომან დალაქიშვილი.

საგზაო ფონდის ფუნქციების გადახედვა მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნასაც წარმოადგენს. ფონდისთვის გადასახადების ამკრეფის ფუნქციის გაუქმებას გულისხმობს ახალი საგადასახადო კოდექსიც. დიდია შანსი, რომ ამ კოდექსის მიღებით საგზაო ფონდის დამოუკიდებელი არსებობაც დასრულდეს.

ახალი საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთი ავტორის ნიკო ორველაშვილის განმარტებით, გადასახადების ამკრეფის ფუნქციის ჩამორთმევისას გამოიკვეთება საგზაო ფონდის ძირითადი ფუნქცია, ხოლო საგზაო დეპარტამენტი უფუნქციოდ დარჩება. ორველაშვილი დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაში აუცილებელი გახდება ერთ-ერთის – დეპარტამენტის ან ფონდის გაუქმება; მით უმეტეს, რომ **"ორივე უწყებას სათავეში ერთი ადამიანი უდგას."**

მოსაზრებას, რომ გადასახადების ამკრეფის ფუნქცია ფინანსთა სამინისტრომ უნდა შეითავსოს, საგზაო სამუშაოები კი ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდეს, არ ეთანხმება საგზაო ფონდის ხელმძღვანელობა. სარალიძის თქმით, ამ შემთხვევაში დაუფინანსებელი დარჩება საგზაო სამუშაოები. **"ბიუჯეტმა თავდაცვის სამინისტროს ვერ შეუსრულა გეგმა, ჩვენ რას გვიზამს? ალბათ, მეორმოცე ადგილზე ვიქნებით. ეს იცის პრეზიდენტმა და ამიტომ არ თანხმდება საგზაო ფონდის გაუქმებას. ეს "მეწარმეების" წინადადებაა, თორემ პარლამენტი მაგ მოდელს მხარს არ უჭერს. ბიუჯეტი რომ ბიუჯეტს ჰგავდეს და თავის მოვალეობას ასრულებდეს, მაშინ, რასაკვირველია, რად გვინდა საგზაო ფონდი, ეს ხათაბალაა და მეტი არაფერი,"** - აცხადებს სარალიძე.

საგზაო ფონდის გაუქმებასა და შემოსავლების პირდაპირ ბიუჯეტში მობილიზების შესახებ საუბარი ჯერ კიდევ 2000 წელს დაიწყო. მაშინდელი ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ინიციატივა ითვალისწინებდა საგზაო ფონდისა და საგზაო გადასახადების გაუქმებას, მთელი შემოსავლების ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებას, საგზაო პროექტების დაფინანსებას. **"საგზაო ფონდის ხარჯს დაახლოებით ხუთი-ექვსი მილიონი ლარით ვამცირებდი. დარწმუნებული ვარ, ის მექანიზმი რომ ამოქმედებულიყო, დღეს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა. მინდოდა, შემექმნა მექანიზმი, რომელიც ამ სფეროს გამჭვირვალეს და, რაც მთავარია, ეფექტურს გახდიდა,"** - აცხადებს დღეს ფინანსთა ექსმინისტრი.

თუმცა, ამ ინიციატივის სასტიკი წინააღმდეგი იყო ბორის სარალიძე. საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელი თავის უარს მაშინაც სწორედ ბიუჯეტის "არანორმალურობით" და, აქედან გამომდინარე, საგზაო მეურნეობის დაუფინანსებლობის საფრთხით ხსნიდა. **"ნოღაიდელი როცა მიხვდა, რა იყო საგზაო ფონდი, ორივე ხელი ასწია და თქვა: მე მაგას არ შევეხებიო. იმის მერე სულ ჩემს გვერდით იდგა"**, - იხსენებს სარალიძე.

საგზაო ფონდის გაუქმების ინიციატივის ჩაგდების განსხვავებულ მიზეზებს იხსენებს ფინანსთა ექსმინისტრი. ნოღაიდელის თქმით, ამ ინიციატივის განხორციელებას სხვადასხვა მხარეების ინტერესები გადაეკვეთა. ფინანსთა ექსმინისტრის თქმით, მოწინააღმდეგეთა შორის აღმოჩნდა საგადასახადო შემოსავლების მაშინდელი მინისტრი მიხეილ მაჭავარიანიც. **"მაჭავარიანს სურდა, ეს ყველაფერი ცალცალკე ყოფილიყო, რომ ნაკლები პასუხისმგებლობა ჰქონოდა. ეს აწყობდა სარალიძესაც,"** - იხსენებს ნოღაიდელი. თუმცა, მიხეილ მაჭავარიანი ამას უარყოფს: **"მაშინაც თანახმა ვიყავი, რომ საგზაო ფონდი გაუქმებულიყო და ახლაც თანახმა ვარ. საგზაო ფონდის ასეთი სახით არსებობა მიუღებლად მიმაჩნია. ნოღაიდელის ინიციატივას სარალიძე დაუპირისპირდა. ეს ხომ ბუნებრივია, სარალიძეს თავისი ფულების დაკარგვა არ უნდოდა."**

ახალი საგადასახადო კოდექსის ინიციატორებისა და პარლამენტარების ერთი ჯგუფის მტკიცებით, საგზაო ფონდი მთლიანად თანხების ამოღებაზეა მობილიზებული, რადგან ის ამოღებულ თანხებს "სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებს" და უყურადღებოდ რჩება ძირითადი ფუნქცია – საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვა, შეკეთება, რეკონსტრუქცია და მშენებლობა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და დარგის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დაფინანსება. ამ ბრალდებას სარალიძე ბრალდებითვე პასუხობს: **"სისულელეა. ეს იმ პოლიტიკოსებს ელანდებათ, რომლებიც თვითონ აკეთებენ ასეთ რამეს. არასდროს მიფიქრია ამაზე. სად მაქვს იმის ფული, რომ არჩევნებისთვის ვიხადო."**

ბორის სალარიძე ფინანსთა სამინისტროს ადანაშაულებს.

ვახტანგ ბაბალიანის ფოტო

"საგზაო ფონდის შესახებ" კანონის თანახმად, საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტმა პრესაში ყოველწლიურად უნდა გამოაქვეყნოს საგზაო ფონდის სახსრების ხარჯვის გეგმაც და ანგარიშიც. **"ხარჯები უფრო გამჭვირვალედ უნდა იყოს გაწერილი. უფრო კონკრეტულად უნდა ითქვას - რა როდის გაკეთდება, რომ გარკვეული პერიოდის მერე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს შედეგები. ამ დროს საგზაო ფონდი საკუთარი ბიზნესივითა აქვს სარალიძეს - უნდა ერთს გამოართმევს გადასახადს, მეორეს არ გამოართმევს, ან პირიქით,"** - აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.

საგზაო ფონდის გაუმჭვირვალობაზე საუბრობს მიხეილ მაჭავარიანიც. მისი თქმით, ამ უწყების მიერ ჩატარებული ყველა ტენდერი ფორმალურ ხასიათს ატარებს. სარალიძე კი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მის უწყებაში "ყველაფერი გამჭვირვალეა და არაფერია დამალული". **"ძალიან ძნელია წინასწარ განსაზღვრო რამდენი დასჭირდება ამა თუ იმ გზის მოვლა-შენახვას, მაგრამ, საბოლოოდ, ხარჯების ანგარიში დეტალურია"**, - აცხადებს სარალიძე. მისი თქმით, მწირი ბიუჯეტის გამო საგზაო დეპარტამენტს ხშირად უწევს არჩევანის გაკეთება: მისთვის პრიორიტეტია მთიანი ზონები და ის გზები, სადაც ყველაზე დიდია ავტომანქანების მოძრაობის დღე-ღამური ინტენსივობა. სარალიძის თქმით, უწყებას ხშირად უხდება წლის დასაწყისში დაგეგმილი ხარჯების შემცირებაც. ამის მიზეზი კი, ფინანსთა სამინისტროდან კუთვნილი თანხების მიუღებლობაა. **"ამ ოთხი თვის განმავლობაში საბაჟომ ბენზინის აქციზიდან უკვე ოთხ მილიონამდე ლარი დაგვაკლო. ამიტომ ამ თვის ბოლოს იძულებული ვარ, შევცვალო პროგრამა და ამ თანხის შესაბამისად შევამცირო ჩასატარებელი სამუშაოები,"** - განაცხადა სარალიძემ.

გარდა ამისა, საგზაო დეპარტამენტი ცენტრალურ ბიუჯეტში გადასახადებსაც ვერ იხდის, ვერ სრულდება არასაგადასახადო შემოსავლების გეგმაც, რაშიც სარალიძე დამანაშავედ ფინანსთა სამინისტროს ასახელებს. **"გასულ წელს საბაჟო დეპარტამენტმა გეგმის შესასრულებლად ბენზინის აქციზიდან 4,9 მილიონი ლარი მოგვპარა და ცენტრალურ ბიუჯეტში წაიღო. ეს ყოვლად დაუშვებელი და უკანონოა. ბენზინის აქციზიდან ჩვენ 30 პროცენტი გვეკუთვნის, ფინანსთა სამინისტრო კი რას აკეთებს?! ასივე პროცვენტი მიაქვს და მერე ხან 15 პროცენტს და ხან 20 პროცენტს გვაძლევს,"** - განმარტა სარალიძემ.

მისი თქმით, ამის გამო საგზაო დეპარტამენტი ვერ იხდის 1996 წელს მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი პირველი კრედიტის ძირითად თანხებსა და მომსახურების ხარჯებს. გასულ წელს დაგეგმილი იყო 6 მილიონ 87 ათასი ლარი, საგზაო ფონდმა გადაიხადა მილიონ 141 ათას 583 ლარი, 4 მილიონ 945 ათას 417 ლარი კი დააკლდა. საგზაო ფონდს წელსაც არ გადაუხდია სესხი ცენტრალური ბიუჯეტის მიმართ და არც მომსახურების ხარჯი (6 თვის გეგმით გათვალისწინებული 2,4 მილიონი ლარი) გაუწევია. სარალიძის განმარტებით, თუ ფინანსთა სამინისტრო თავის პოლიტიკას არ შეცვლის, საგზაო ფონდი ათვისებულ კრედიტებზე ძირითადი თანხის დაფარვისა და მომსახურების ხარჯების გადახდას ვერ შეძლებს.

განსხვავებულ სცენარზე საუბრობს ზურაბ ნოღაიდელი. მისი მტკიცებით, საქმე გვაქვს ორმხრივ სარფიან გარიგებასთან - **"საგზაო ფონდის კუთვნილი შემოსავლები ბენზინის აქციზიდან გადაიქაჩება ცენტრალურ ბიუჯეტში. სამაგიეროდ, ცენტრალური ბიუჯეტი აღარ სთხოვს საგზაო ფონდს სესხის მომსახურებასა და დაფარვას,"** - ასეთია საგზაო ფონდისა და ფინანსთა სამინისტროს ურთიერთობის ნოღაიდელისეული ხედვა, რასაც პარლამენტარების ნაწილიც იზიარებს. მათი მტკიცებით, ბენზინის აქციზის საგზაო ფონდის კუთვნილი 30 პროცენტის ცენტრალურ ბიუჯეტში გადაქაჩვა სარფიანია ორივესთვის – საბაჟოსთვისაც და საგზაო ფონდისთვისაც. წინააღმდეგ შემთხვევაში სარალიძე ასეთ წინადადებას არ დათანხმდებოდა. საბაჟოს ინტერესი ისაა, რომ ბიუჯეტის გეგმა შეასრულოს, საგზაო ფონდის დაინტერესებას კი ის ფაქტი განაპირობებს, რომ 30-პროცენტიანი აქციზის სანაცვლოდ ათვისებულ კრედიტებზე ძირითადი ვალისა და სარგებლის ხარჯს აღარ იხდის. სარალიძე ამ ვერსიას უარყოფს და აცხადებს, რომ ასეთი გარიგება მისთვის მომგებიანი ვერ იქნება, რადგან ფინანსთა სამინისტროს მიერ გადაქაჩული თანხები გაცილებით მეტია, ვიდრე საგზაო ფონდის დავალიანება. **"ჩვენ ფინანსთა სამინისტროს 2,5 მილიონი ლარი გვმართებს, მათ კი ჩვენი - 4,9 მილიონი. ამ დავალიანების გამო ფინანსთა სამინისტრომ გვიჩივლა. ახლა ჩვენც ვაპირებთ სასამართლოს მივმართოთ, რომ ამ თანხის ჩათვლა მოხდეს,"** - განაცხადა საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

სარალიძის მტკიცებით, მიმდინარე კრედიტების თანადაფინანსების თანხებს, რომელიც ყოველწლიურად 13 მილიონ ლარს შეადგენს, საგზაო ფონდი კეთილსინდისიერად იხდის. ამჟამად საგზაო ფონდი ორ უცხოურ კრედიტს ითვისებს – კუვეიტის და მსოფლიო ბანკის, რაც, ჯამში, 55 მილიონი დოლარის ოდენობის თანხას შეადგენს. ქართული მხარის ფინანსური ვალდებულება კი ამ პროექტების თანადაფინანსებაში 23 მილიონი დოლარით განისაზღვრება.

ინდონეზია მასშტაბური სისხლისღვრის საფრთხის წინაშე დგას

REUTERS

აჩეში ინდონეზიის სამთავრობო ძალები შევიდნენ.

გუშინ, ინდონეზიის პროვინცია აჩეში მოქმედმა სეპარატისტულმა მოძრაობამ "თავისუფალი აჩე" გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც, ისინი ბრძოლას "სისხლის უკანასკნელ წვეთამდე" გააგრძელებენ. სეპარატისტების გაღიზიანება და გააქტიურება პროვინციაში ინდონეზიის სამთავრობო ძალების შესვლამ გამოიწვია. ამავდროულად, ინდონეზიის შეიარაღებული ძალების სარდალმა ენდრიარტონო სუტარტომ მისდამი დაქვემდებარებულ ოფიცრებს პროვინციის მშვიდობიანი მოსახლეობისათვის უსაფრთხოების უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფა და ტყვეებისათვის ნორმალური პირობების შექმნა უბრძანა. გარდა ამისა, მან თავის დანაყოფებს იმ ამბოხებულების ადგილზევე განადგურების ნება დართო, რომლებიც ინდონეზიის არმიას წინააღმდეგობას გაუწევენ და არ ჩაბარდებიან. ამის მიუხედავად, სეპარატისტები დანებებას არ აპირებენ და საბრძოლო მზადყოფნას გამოთქვამენ.

"ჩვენ ინდონეზიის წინააღმდეგ, უკვე 27 წელია, ვიბრძვით... ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ წინააღმდეგობის წარმატებით გაგრძელებას შევძლებთ," - განაცხადა სააგენტო "როიტერთან" საუბარში ინდონეზიიდან შვედეთში გაძევებულმა მაჰმუდ მალიქმა, რომელიც მოძრაობა "თავისუფალი აჩეს" წარმომადგენელია. **"აჩეს მთელი მოსახლეობა, ქალიან-კაციანად, აპირებს წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესორს,"** - დასძინა მან.

ინდონეზიის შეიარაღებულმა ძალებმა ამბოხებულ პროვინცია აჩეში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია ორშაბათს დაიწყეს. ინდონეზიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ერთხელ და სამუდამოდ გატეხოს წელში სეპარატისტული მოძრაობა და პროვინციაზე ქვეყნის იურისდიქცია გაავრცელოს. ამ მიზნით, ორშაბათს, პროვინციაში ინდონეზიის სამხედრო სარდლობამ 600-კაციანი დესანტი გადასხა. ამის შემდეგ, აჩეში ინდონეზიის რეგულარული არმიის ძირითადი ძალებიც შევიდნენ.

სააგენტო "ბიბისის" შეფასებით, შეიარაღებული სეპარატისტების რაოდენობა 5 ათასს აღწევს. ამის მიუხედავად, ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ, პროვინციაში შესულ 28-ათასიან რეგულარულ არმიას წინააღმდეგობა გაუწიონ.

აშკარაა, რომ ამბოხებულები, ძირითადად, უღრანი ტყეების იმედზე არიან, საიდანაც ისინი ეფექტური პარტიზანული ბრძოლის წარმოებას შეძლებენ. ცხადია, ეს ფაქტორი კარგად აქვს გათვითცნობიერებული ინდონეზიის ხელისუფლებას, რომელმაც ოპერაციის საბოლოო დასრულება არაუადრეს ნახევარ წელიწადზე გათვალა.

ინდონეზიის ხელისუფლება სეპარატისტებს ათობით სკოლის და სამოქალაქო ობიექტების განადგურებაში სდებს ბრალს. თავად ამბოხებულები კი აცხადებენ, რომ ჯერ კიდევ სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე, სამთავრობო ძალებმა პროვინცია აჩეში ორი სოფელი გადაწვეს და დაარბიეს, რასაც მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლიც მოჰყვა.

ინდონეზიაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, შეშფოთება გამოხატა საერთაშორისო თანამეგობრობამ. კერძოდ, აშშ-მ და ავსტრალიამ უკვე მიმართეს ოფიციალურ ჯაკარტას და სეპარატისტებთან სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლება კატეგორიულად მოითხოვეს. ინდონეზიის მთავრობის და "თავისუფალი აჩეს" წარმომადგენლები მოსალაპარაკებლად გასულ კვირას ტოკიოში შეიკრიბნენ, თუმცა ეს შეხვედრა ყოველგვარი შედეგის გარეშე დასრულდა. მხარეებმა თავიანთი პოზიციები არ დათმეს და, შესაბამისად, კომპრომისიც ჩაიშალა.

საერთაშორისო თანამეგობრობის მღელვარებას საკმაოდ რეალური საფუძველი გააჩნია. ჯერჯერობით ლოკალური შეტაკებები ინდონეზიის სამთავრობო ძალებსა და ამბოხებულებს შორის, შესაძლოა, სულ მალე მასშტაბურ სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდოს. გარდა ამისა, არსებობს ინფორმაცია, რომ სეპარატისტების ზოგიერთი შეიარაღებული დაჯგუფება მშვიდობიან მოსახლეობას შეერევა, რაც მათ გაუვნებელყოფას საკმაოდ გაართულებს. ხოლო თუკი სამთავრობო ძალები მათ მოძებნას უკვე მოსახლეობის ფენებში შეეცდებიან, კონფლიქტის მსხვერპლად, შესაძლოა, თავად მშვიდობიანი მოქალაქეებიც იქცნენ.

ჩაჭიკეთში რუსული სამხედრო ბაზა იქმნება

REUTERS

ვლადიმირ პუტინი რუს სამხედროებთან ერთად.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა ყირგიზეთში ახალი სამხედრო-საჰაერო ბაზა გახსნა, იგივეს გაკეთებას ტაჯიკეთშიც აპირებს. ახალი სამხედრო ბაზა ამ ქვეყანაში დისლოცირებული 201-ე მოტოქვეითი დივიზიის საფუძველზე იქმნება. ეს საკითხი ჯერ კიდევ გასულ თვეში, დუშანბეში გამართულ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სამიტის დროს გადაწყდა.

"ნეზავისიმაია გაზეტას" ცნობით, რუსეთი ტაჯიკეთში სამაგალითო ბაზის შექმნას გეგმავს, რომელიც ყველაზე თანამედროვე შეიარაღებით იქნება აღჭურვილი. გარდა ამისა, რუსული სამხედრო შენაერთი ადგილობრივ ძალოვან სტრუქტურებთან მჭიდროდ ითანამშრომლებს. ახალი შეიარაღების მიღების პარალელურად, ძველ იარაღსა და აღჭურვილობას რუსები ტაჯიკეთის არმიას გადასცემენ.

ცენტრალურ აზიაში რუსული სამხედრო ყოფნის მთავარ გამართლებად რუსებიცა და მათი მასპინძლებიც ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხეს ასახელებდნენ, რომელიც ადგილობრივი რადიკალური ძალებისაგან და, განსაკუთრებით, ავღანელი ტალიბებისაგან მოდიოდა.

რუსეთმა ახალი სამხედრო ბაზების შექმნა კი მას შემდეგ დაიწყო, რაც ტალიბანი განადგურდა და ტაჯიკეთის ისლამური მოძრაობა საგრძნობლად დასუსტდა.

ამიტომ, ექსპერტები ფიქრობენ, რომ ახალი ბაზები არა ისლამისტების წინააღმდეგ, არამედ შეერთებული შტატების მზარდი გავლენის შესაკავებლად იქმნება.

რუსეთი დსთ-ს ქვეყნებს მაინც არ ეშვება და მათ თავის ექსკლუზიურ გავლენის სფეროდ მიიჩნევს. მოსკოვმა, როგორც ჩანს, თავისი თავდაცვის ბოლო ზღუდე დსთ-ს საზღვრებზე გაავლო და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ აქ არავინ, მათ შორის, არც აშშ არ გააჭაჭანოს. ეს კი დსთ-ს ქვეყნებს, და მათ შორის, საქართველოსაც კარგს არაფერს უქადის.

ვინ გადასცა საბჭოთა კავშირს ატომური ბომბის საიდუმლო

გასულ კვირას ბრიტანულმა სპეცსამსახურებმა, ხანდაზმულობის გამო, გამოაქვეყნეს დოკუმენტები, რომელიც მი-5-ის (ბრიტანული კონტრდაზვერვა) მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ოპერაციას – საბჭოთა "ატომური აგენტის" კლაუს ფუკსის დაპატიმრებას ეხება. ფუკსმა საბჭოთა კავშირს გადასცა უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, რომელიც მოსკოვს ატომური ბომბის შექმნაში დაეხმარა. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ფუკსი კონტრდაზვერვის აგენტებს ჯაშუშობაში თავად გამოუტყდა.

ინფორმაცია ჰარველის კვლევით ცენტრში საბჭოთა ჯაშუშის მოღვაწეობის შესახებ ბრიტანელ კოლეგებს ამერიკის ფედერალურმა სააგამოძიებო ბიურომ მიაწოდა პროექტ ვენონას ფარგლებში. პროექტი იმდენად საიდუმლო იყო, რომ მის შესახებ ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომაც კი არაფერი იცოდა.

ბრიტანელი აგენტები ოთხი თვის განმავლობაში ფუკსს თვალს არ აცილებდნენ. იგი წარმოშობით გერმანიიდან იყო. ომის დასრულების შემდეგ ამერიკაში, ლოს-ალამოსის ბირთვულ ლაბორატორიაში მუშაობდა, შემდეგ კი ბრიტანეთში გადაბარგდა. არც მეთვალყურეობამ, არც რამდენჯერმე დაკითხვამ შედეგი არ გამოიღო – მტკიცებულებები კვლავინდებურად არ არსებობდა.

მი-5-ის უფროსმა პერსი სილიტოუმ ბრიტანეთის ატომური პროგრამის ხელმძღვანელს წერილით მიმართა და სთხოვა მას, რომ, რაკი ფუკსის დაპატიმრება არ ხერხდებოდა, იგი სამუშაოდან მაინც დაეთხოვათ, რადგან იგი ბრიტანეთის ეროვნულ ინტერესებს საფრთხეს უქმნიდა.

ამ საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ფუკსმა თავად დაურეკა კონტრდაზვერვის აგენტს და იგი საუბარზედ სადილზე დაპატიჟა. სადილის ბოლოს, ფუკსმა მოულოდნელად, თავად აღიარა შპიონაჟი. მან განაცხადა, რომ აღარ შეეძლო ლაბორატორიაში თავისი მეგობრების მოტყუება. ფუკსს 14 წელი მიუსაჯეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, თავის სამეცნიერო-საჯაშუშო ცხოვრებას მან "კონტროლირებადი შიზოფრენია" უწოდა.

როიტერი

მსოფლიო ტერორი - აშშ წინასაგანგაშო მდგომარეობას ავხადებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ოფიციალური ვაშინგტონის განცხადებით, არსებობს საკმაოდ დაზუსტებული და გადამოწმებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საუდის არაბეთის ტერიტორიაზე "ალ-ქაიდას" მებრძოლები და მათი მოკავშირეები ამერიკულ ობიექტებზე თავდასხმას აპირებენ. თუ რა სახის თავდასხმებზეა საუბარი, ჯერჯერობით არ კონკრეტდება.

სააგენტო "ბიბისი" ავრცელებს საერთაშორისო ტერორიზმის ექსპერტების მოსაზრებას. დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ ამ კვირაში "ალ-ქაიდას" მიერ მომზადებული ტერორისტული ოპერაციის განხორციელება დაიწყება.

როგორც ცნობილი გახდა, გასულ კვირას ერ-რიადში ტერორისტული აქტების განხორციელებამდე, საუდის არაბეთის ტერიტორიაზე "ალ-ქაიდას" სამი უჯრედი მოქმედებდა, რომელთაგან ერთი განადგურებულია, მეორეს წევრებმა საზღვრების გადაკვეთა და მიმალვა მოახერხეს, ხოლო მესამე უჯრედი კვლავ განაგრძობს ფუნქციონირებას. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ბინ ლადენის ორგანიზაციამ ახალი აქტი განახორციელოს არა საუდის არაბეთში, სადაც ყველა ელოდება დარტყმას, არამედ სხვა არაბულ სახელმწიფოში. ასეთი სახელმწიფო კი, შესაძლოა, აღმოჩნდეს ეგვიპტე, იორდანია, იემენი და პაკისტანი.

ასეა თუ ისე, შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები შეშფოთებას არ მალავენ და პირდაპირ აცხადებენ, რომ ახლო აღმოსავლეთში აგორებულმა ტერორიზმის ძლიერმა ტალღამ, შესაძლოა, ამჯერად უკვე თავად ამერიკის ტერიტორიაზე გადაინაცვლოს და მის სიღრმეში ჰპოვოს გავრცელება. სწორედ ამიტომ, ამერიკელებმა ტერორიზმის წინააღმდეგ თავინთი მზადყოფნა ხუთბალიანი შკალის მიხედვით მეოთხე პუნქტზე აიყვანეს და "გაანარინჯისფრეს". ეს შკალა სულ ხუთი ფერისგან შედგება და საფრთხის სიძლიერის მიხედვით იცვლის ფერებს. კერძოდ: საფრთხის დაბალი ინტენსივობა - მწვანეა, საშუალო ინტენსივობა – ლურჯი, საფრთხის მომატებული ინტენსივობა – ყვითელია, საფრთხის მაღალი ინტენსივობა - ნარინჯისფერი და საგანგაშო საფრთხე – წითელი.

აშშ-ს შიდა უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელობა იმ მიზეზებს არ აკონკრეტებს, რის საფუძველზედაც, აშშ-ს სპეცსამსახურებმა ქვეყანაში წინასაგანგაშო მდგომარეობა გამოაცხადეს. აშშ-ს ხელისუფლების ინკოგნიტო მაღალჩინოსნის განცხადებით, "ნარინჯისფერი" დონის გამოცხადება მხოლოდ მას შემდგე მოხდა, რაც ქვეყნის ხელისუფლება და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტები სპეცსამსახურების მოხსენებებს გაეცნენ, რის შემდეგაც თეთრ სახლში აშშ-ს ეროვნული უშიშროების საბჭოს თათბირი გაიმართა, რომელზედაც შეიმუშავეს და შემდგომ პრეზიდენტს წარუდგინეს რეკომენდაციები ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელი ღონისძიებების გატარების შესახებ.

უკანასკნელად, აშშ-მ საფრთხის "ნარინჯისფერი" დონე ერაყში ომის დაწყების დღიდან გამოაცხადა, რომელიც ომის დასრულებამდე გაგრძელდა. ერაყში სადამის ძეგლის დამხობიდან დიდი დრო არ არის გასული. ვაშინგტონი კი კვლავ საფრთხის წინაშეა.

როგორც ირკვევა, შეერთებულ შტატებში წინასაგანგაშო მდგომარეობის გამოცხადება არც თუ უსაფუძვლოა. ამაზე მიუთითებს გუშინ მომხდარი ფაქტი, როდესაც საუდის არაბეთში სპეცსამსახურებმა "ალ-ქაიდას" სამი ტერორისტი დააკავეს. ისინი თვითმფრინავის გატაცებას და წითელი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ჯიდაში, ჯერჯერობთ გაურკვეველ შენობაზე შეჯახებას გეგმავდნენ. მართალია, მათ ეს გეგმა ჩაეშალათ, მაგრამ ეს ფაქტი, სულ მცირე, ორ გარემოებას ადასტურებს: პირველი ინფორმაცია მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ მართალი აღმოჩნდა და მეორე – ვერავინ იტყვის, რომ ამით მოსალოდნელი ტერაქტის საფრთხე განეიტრალებულია.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: აშშ საომარ მდგომარეობაში იმყოფება. იქ ჯერჯერობით "ნარინჯისფერი" დონე მოქმედებს. თუმცა, საფრთხის ინტენსივობის "გაწითლებას" ვერავინ გამორიცხავს.

ხელშეკრულება მოწევის წინააღმდეგ

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 192-მა წევრმა სახელმწიფომ ერთხმად დაუჭირა მხარი თამბაქოს კონტროლის კონვენციის მიღებას.

კონვენცია ქვეყნებისაგან 5 წლის განმავლობაში სიგარეტის რეკლამის, მარკეტინგისა და გაყიდვის მკვეთრ შემცირებას მოითხოვს.

ჯანდაცვის აქტივისტებსა და განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლებში ხელშეკრულების მიღებამ ოვაცია გამოიწვია. "ეს ისტორიული მომენტია, ჩვენ მილიონობით სიცოცხლე და მომავალი თაობების ჯანმრთელობა ვიხსენით", - განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გრო ჰარლემ ბრუნტლანდმა.

მისი ორგანიზაციის მონაცემებით, დღეს მსოფლიოში 1 მილიარდ 100 მილიონი მწეველია. თამბაქოსაგან გამოწვეული დაავადებებით წელიწადში 5 მილიონი ადამიანი კვდება. როგორც მწეველთა, ისე თამბაქოს მსხვერპლთა დიდი უმრავლესობა ღარიბ, განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს, სადაც მწეველთა წილი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

ჯანდაცვის ექსპერტები აცხადებენ, რომ თუ თამბაქოს მოხმარება არ შემცირდა, სიგარეტის მსხვერპლთა რაოდენობა წლიურად 10 მილიონამდე გაიზრდება.

რუსეთის ეკლესიის პატრიარქი ალექსეი II საავადმყოფოშია

"მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი" ალექსეი მეორე ისევ საავადმყოფოშია. გასული შემოდგომიდან მოყოლებული, პატრიარქი ხშირად ავადმყოფობს. მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია სინოდის მიერ მკაცრად გასაიდუმლოებულია. საპატრიარქოსთან დაახლოებულ წყაროებზე დაყრდნობით, რადიო "თავისუფლება" იუწყება, რომ ალექსეი მეორეს გულთან და ფილტვებთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს.

74 წლის პატრიარქის ავადმყოფობის შესახებ საზოგადოებაში ხმები მას შემდეგ გავრცელდა, რაც პატრიარქი სააღდგომო წირვას, ტრადიციის საწინააღმდეგოდ, არ დაესწრო.

რუსეთის ინგლისურენოვანი გაზეთის, "მოსკოუ ტაიმსის" ცნობით, წმინდა სინოდში მემკვიდრეობისათვის ბრძოლა უკვე დაიწყო. საპატრიარქოსთან დაკავშირებული წრეების აზრით, ამ ბრძოლაში აშკარა ფავორიტი სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი კირილია.

1988 წლიდან მოყოლებული, მიტროპოლიტი ეკლესიის საგარეო ურთიერთობათა განყოფილებას ხელმძღვანელობს, რომელიც პასუხისმგებელია როგორც უცხოეთის ქვეყნებთან, ისე ქვეყნის ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე. ამ თვის დასაწყისში გამართულ სინოდის სხდომაზე ბევრი საკადრო გადაწყვეტილება მიიღეს, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა კირილის პოზიციები და საგრძნობლად დაასუსტა მისი მთავარი მეტოქე, ვორონეჟის ეპისკოპოსი მეთოდე. მეთოდეს ყველა დაკავებული თანამდებობა ჩამოართვეს და ყაზახეთის ახლადშექმნილი დიოცეზის წინამძღოლად დანიშნეს. ორ მწყემსმთავარს შორის უთანხმოება, დიდი ხანია, არსებობს. დადის ხმები, რომ სწორედ მეთოდე იდგა 90-იანი წლების შუახანებში გავრცელებული პიარ კამპანიის უკან, რომელიც კირილს მილიონობით დოლარის ღირებულების სიგარეტისა და ალკოჰოლის უბაჟო იმპორტში ადანაშაულებდა.

"მოსკოუ ტაიმსის" აზრით, კირილს უამრავ უპირატესობასთან ერთად, ერთი სუსტი მხარეც აქვს: უაღრესად კონსერვატიული რუსული ეკლესია მას ლიბერალად მიიჩნევს.

კირილის სავარაუდო მეტოქეთა შორის მინსკის ეპისკოპოსს, ფილარეტს ასახელებენ. ლუკაშენკოსთან მჭიდრო კავშირების გამო, სინოდში მას ბევრი უყურებს კარგი თვალით.

ამასობაში, რუსეთში რომის პაპის შესაძლო ვიზიტთან დაკავშირებული ეპოპეა გრძელდება. როგორც ცნობილია, პაპს დიდი ხანია სურს, რუსეთს ესტუმროს. ამჯერად, მან გამოთქვა სურვილი, მონღოლეთში მოგზაურობისას ქალაქ ყაზანში რამდენიმე საათით შეჩერდეს. ამავე დროს, იგი რუსეთს ამ ქვეყნის ყველაზე დიდ სიწმინდეს, ყაზანის ღვთისმშობლის ხატს დაუბრუნებს, რომელიც ამჟამად ვატიკანშია.

სრულიად რუსეთის პატრიარქი ლექსეი II

მოსკოვის საპატრიარქომ პაპის ამ თხოვნას უარით უპასუხა და განაცხადა, რომ რუსეთის კულტურის სამინისტროს ექსპერტების დასკვნით, ვატიკანში დაცული ხატი ნამდვილი ყაზანის ღვთისმშობლის ხატის მხოლოდ ასლია და მისი დაბრუნება პაპის ვიზიტს ვერ გაამართლებს.

მოსკოვის საპატრიარქომ ვატიკანის მიერ ყაზახეთში კათოლიკური დიოცეზის რუსეთთან კონსულტირების გარეშე დაარსება სასტიკად დაგმო. რუსული ეკლესიის აზრით, ვატიკანს მისი თანხმობა იმიტომ უნდა ეთხოვა, რომ ყაზახეთის ქრისტიანთა დიდი ნაწილი მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარება. როგორც ჩანს, რუსული ეკლესიის ამგვარი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ უკრაინელებმა პაპი დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს, ალექსეი მეორეს კი თავიანთ ქვეყანაში ფეხი არ დაადგმევინეს.

ერაყში ახალი მთავრობის ფორმირება გადაიდო

ერაყის ამერიკული ადმინისტრაციის ახალმა ხელმძღვანელმა, იან ბრემერმა განაცხადა, რომ ერაყის გარდამავალი მთავრობის ფორმირება, რომელიც თავად ერაყელებით უნდა დაკომპლექტდეს, მინიმუმ, ერთი თვით გადაიდო. ახალი გეგმით, ეს ივლისის შუა რიცხვებში უნდა მოხდეს.

ერაყელებმა ამერიკულ მხარეს მაშინვე ბრალი დასდეს იმაში, რომ იგი შეგნებულად აჭიანურებს მათთვის ხელისუფლების გადაცემას, რაც ძალაუფლების ვაკუუმს ქმნის.

თავის მხრივ, ბრემერი აცხადებს, რომ ხელისუფლებას მაშინვე დასთმობს, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება. ბრემერის განცხადება ექსპერტებმა ბაღდადის ამერიკულ ადმინისტრაციაში შექმნილი პრობლემების ნიშნად მიიჩნიეს. ამ პრობლემებს ერაყის პირველი მმართველი ჯეი გარნერი და მისი გუნდი შეეწირა.

პარალელურად, აშშ თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა, რომ მზადაა ერაყის ბირთვულ ობიექტებში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორები დაუშვას. ეს განცხადება აესს-ის შეფის ელ-ბარადეის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას მოჰყვა, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ერაყის ბირთვული ობიექტებიდან მოპარული მასალები ტერორისტებმა, შესაძლოა, ბინძური ბომბების დასამზადებლად გამოიყენონ.

ოფთალმოლოგები ჩივიან

ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ს/კ ინსტიტუტების შარშანდელი შერწყმის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლებული ოფთალმოლოგების ერთი ნაწილი სამსახურში აღდგენას ითხოვს და სასამართლოში ჩივის. ამასთან დაკავშირებით, გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა.

ლევან ჩალაძე/ფოტო

მოდავე მხარეები მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში.

ზაზა ფაჩუაშვილი

მოსამართლე მილერი ხარებავამ მთავარი სხდომა 18 ივნისს დანიშნა, თუმცა მანამდე, როგორც გაირკვა, მოსარჩელე მხარეს საშუალება ეძლევა, პროცესისთვის მაქსიმალურად მოემზადოს და სასამართლოში თანამოაზრეებთან ერთად მნიშვნელოვანი ძალით წარსდგეს. ასეთი განცხადება გააკეთა ნაციონალური მოძრაობის წევრმა, პარლამენტის ჯანდაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ლადო ჭიპაშვილმა, რომელიც სასამართლოში სწორედ მოსარჩელეთა მხარის საქმოსგოდ მივიდა და საქმეში მესამე პირადაც ჩაერთო.

“ექიმები და თავისუფალი პროფკავშირები მობილიზებულნი არიან და კოლეგებს სოლიდარობას უცხადებენ. ამ მიზნით ისინი სასამართლოშიც მოვლენ”, - განაცხადა მან. ექიმებმა გვიან იმიტომ იჩივლეს, რომ ოპტიმიზაციის შეჩერების ცნობილი მოვლენების შემდეგ საქმის მოგების იმედი გაუჩნდათ.

სხდომის შემდეგ ვესაუბრეთ ყველაზე აქტიურ ექიმს, ლიანა დანგაძეს.

- როგორ გაგათავისუფლეს?

- სრულიად უკანონოდ გაგვათავისუფლეს. ჩაატარეს ფორმალური კონკურსი, რომელზეც გასვლა ყველამ ვერც კი მოასწრო. დაგვისვეს დამცინავი შეკითხვები: ვინ არის ქვეყნის მთავარი ოფთალმოლოგიო; ვინ გინდა, განყოფილების გამგე იყოსო; რა არის მტკიცებითი მედიცინაო და ასე თვითნებურად გამოგვყარეს ექიმები, რომლებმაც სასერტიფიკაციო გამოცდები უმაღლესი ქულებით ჩავაბარეთ.

საქმე ისაა, რომ დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, ბერიძეს და გენერალურ დირექტორს, ომიაძეს თერაპევტები საჭირო ექიმებად არ მიაჩნიათ. სულ კატარაქტა აკერიათ პირზე.

- სხვებმა გასაუბრება რატომ ვერ გაიარეს?

- ოფთალმოლოგებისთვის მხოლოდ ერთი დღით იყო. მერე ომიაძემ გამოგვიცხადა, ზეპირად ვიცი, ვის რა “ბაგაჟი” გაქვთო და 140 თანამშრომელი გაგვათავისუფლეს.

- კომპენსაციები გასცეს?

- კომპენსაციები გასცეს, მაგრამ ჩვენ არ აგვიღია. აიღო იმან, ვისაც საპენსიო ასაკი ჰქონდა და, ვინც შეაშინეს, - თუ არ აიღებთ, კომპენსაციის გარეშე მოგიწევთ პენსიაში გასვლაო.

- ასეთ ვითარებაში, როცა ხელფასები იგვიანებს და არც პაციენტია გადახდისუნარიანი, სამსახურში ტყუილად სიარულს კომპენსაციის აღება არ სჯობია?

- არ სჯობია, იმიტომ, რომ მცირე კომპენსაციებია.

14 დროებითი კომისიის ბედის გარკვევის დროს 75 მოქალაქეს ჭერი ჩამოენგრა

მათი პრობლემის მოგვარება ვიცე-პრემიერ გიორგი კარბელაშვილს დაავალეს

ნანა ქადაგიშვილი

საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე 14 მუდმივმოქმედი კომისიის ბედი უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხა, რადგან ძირითადი დრო ანტიკორუფციული დროებითი კომისიის თავმჯდომარის, ბესო ჯუღელის მოხსენებას დაეთმო.

საკრებულოს 6 მუდმივმოქმედი კომისიის გვერდით, 6 თვის განმავლობაში მოღვაწე 14 დროებით კომისიას ვადა ამოეწურა; თანაც, “აქეთ-იქიდან” ალაპარაკდნენ, არც ერთ მათგანს არაფერი გაუკეთებია, ტყუილად ხელფასს იღებდნენო და საკრებულომაც მათი უფლებამოვალეობის გაგრძელება-შეწყვეტის საკითხი დააყენა. თითოეულის ბედი მათ მიერ გაწეული საქმიანობის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ანტიკორუფციული კომისიის თავმჯდომარის, ბესო ჯუღელის მოხსენებამ კოლეგების და თვით საკრებულოს თავმჯდომარის მოწონება უკვე დაიმსახურა. “საკრებულოს ანტიკორუფციული კომისიის შედეგია, რომ ამიერიდან თბილისში მიწა აღარ გაიყიდება”, - განაცხადა და სააკაშვილმა. ამ კომისიამ ასეთი შეფასება უკანონოდ გაყიდული მიწის ნაკვეთების ფაქტების გამოვლენით დაიმსახურა. “თბილისში 1206 მიწის ნაკვეთიდან, აუქციონის წესით, მხოლოდ 25 გაიყიდა. დანარჩენი ერთი მოქალაქის განცხადების საფუძველზეა გაცემული. ეს იმიტომ, რომ მყიდველები თანამდებობის პირები არიან. მაგალითად, ქალაქის მთავარი არქიტექტორის მოადგილეს, ბადრი ქორიძეს 5 ნაკვეთი აქვს ნაყიდი და სახელმწიფოსთვის 18 ათასი ლარი ჯერ კიდევ არ გადაუხდია. ყოფილი მთავარი არქიტექტორის მეუღლემ 1 700კვ.მ. მიწის ფართი იყიდა და 3 700 ლარი ბიუჯეტის ვალი აქვს. მთავარი კი ის არის, რომ ეს მიწები ძალზე იაფად არის გაყიდული. მაგალითად, ყაზბეგის ქ. №49-ში კვ.მ. 4 ლარად გაიყიდა, ყიფშიძეზე - 10 ლარად, ბაგებში - 3,8 ლარად, ხოლო, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მესამე მასივში - 24 ლარად. 1206 მიწის ნაკვეთიდან ბიუჯეტში მხოლოდ 4,3 მლნ. ლარი შევიდა, როცა საბაზრო ფასებთან მიახლოებითაც რომ გაეყიდათ, შემოსავალი 166 მლნ. უნდა ყოფილიყო. გაყიდულია მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, მანქანის სავალი ნაწილები”, - განაცხადა აღშფოთებულმა ჯუღელმა და კოლეგებს მდგომარეობის გამოსასწორებელი ღონისძიებების ვარიანტებიც წარუდგინა. ისეთი ტერიტორიები, რაც არ უნდა გაყიდულიყო, ძველ მდგომარეობაში დავაბრუნოთ, მათ მფლობელებს კი მერიამ კომპენსაცია გადაუხადოს; საკრებულოს უნებართვოდ მუნიციპალიტეტმა ქალაქში კვადრატული მეტრიც არ გაყიდოს და, რაც მთავარია, მიწების უკანონოდ გამყიდველ თანამდებობის პირებს დანაშაულზე პასუხი ვაგებინოთო, - ურჩია კოლეგებს ჯუღელმა.

ბესო ბელაშვილის ფოტო

გიორგი კარბელაშვილი

მის გამოსვლას ხანგრძლივი დებატები და კითხვა-პასუხი მოჰყვა, ამიტომაც საკრებულომ მხოლოდ არქიტექტურისა და მშენებლობის დროებითი კომისიის თავმჯდომარის გამოსვლაღა მოისმინა და დანარჩენი 12 ვადაამოწურული კომისიის ნაღვაწის განხილვა შემდეგი სხდომებისთვის გადადო. თუმცა, სხდომა უპრობლემოდ მაინც არ დასრულებულა. სანამ საკრებულო ჯუღელის მოსმენით ტკბებოდა, ვაზისუბანში მრავალსართულიანი სახლის 75 მობინადრეს ჭერი ჩამოენგრა და უსახლკაროდ დარჩენილებმა დახმარებისთვის საკრებულოს მიმართეს. საკრებულოს წევრები არ დაბნეულან და მათი პრობლემის მოგვარება ვიცე-პრემიერ გიორგი კარბელაშვილს დაავალეს. “24 საათიც” თვალყურს მიადევნებს, თუ როგორ შეასრულებს ჩინოვნიკი დავალებას.

ნაწილი მაინც მოვეცით!

იხვეწება გაწბილებული მეანაბრე

რედაქციაში მოვიდა პენსიონერი ინვალიდი - რევაზ გაბრიელის ძე თურმანიძე, რომელიც რუსთავში ქირით ცხოვრობს და, როგორც გაწბილებულ მეანაბრეს შეეფერება, უკიდურესად უჭირს. მან რამდენიმე წლის წინათ თბილისში გაყიდა კუთვნილი ბინა, 2500 დოლარი “ოქროს საწმისში” შეიტანა და დივიდენდებით ცხოვრება გადაწყვიტა, მაგრამ 660 დოლარს ვეღარ გასცდა.

“ოქროს საწმისმა” 1998 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა და მისი მეანაბრეთა უბედურებაც დაიწყო. ბატონი რევაზის თქმით, სასამართლო გადაწყვეტილებით, ფირმის მეპატრონეებს დაეკისრათ თითოეულ მეანაბრეზე ძირითადი თანხის და 10 თვის 7- პროცენტიანი დანამატის გადახდა, რაც მის შემთხვევაში 4250 დოლარს შეადგენს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების აღსრულებას საშველი არა და არ დაადგა. შეწუხებული მეანაბრე იმ ზომამდე მივიდა, რომ დივიდენდებზე უარს ამბობს და მხოლოდ თავის დარჩენილ თანხას ითხოვს.

“მძიმე ავადმყოფი ვარ, სიარული მიჭირს, პურის ფული არ მაქვს და დროზე მინდა ჩემი თანხის დაბრუნება. მოგებაზე უარს ვამბობ, ოღონდ ის დამიბრუნონ, თორემ უწამლოდ ვკვდები”, - ბრძანა ბატონმა რევაზმა.

იგი უშვილოა და მარჩენალი არ ჰყავს. ამიტომ, აღნიშნული პრობლემის მოგვარებამდე კეთილი ნების ადამიანებს მიმართავს და 100 დოლარის დახმარებას ითხოვს. სწორედ ამდენი ღირს მისთვის აუცილებელი გულის წამალი. **მისამართი: რუსთავი, თოდრიას II ჩიხი N7, მეორე სართული.**

მოლარე

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს მოლარის თანამდებობის დასაკავებლად.

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

მოლარის ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- ადგილობრივი მომწოდებლებისთვის საბანკო გადარიცხვების განხორციელება დამტკიცებული და აუცილებელი გადახდების ფარგლებში;
- ფულის მიღებების გაფრთხილება ფულის გაცემის დროის შესახებ, ფულადი გადახდების განხორციელება და გადახდის დამტკიცებულ მოთხოვნაზე თანდართული გადახდის ქვითრის მიღება;
- ბანკის ყოველდღიურად გაფრთხილება ფულის კონვერტაციის შესახებ;
- ბუღალტრულ სისტემაში მონაცემების გატარება ნაღდი და უნაღდო ოპერაციების აღრიცხვის მიზნით;
- ყოველდღიურად ფულის განაღრიშების და შესაბამისობის ანგარიშის მომზადება;
- ადგილობრივ ანგარიშებზე ფულის ჩარიცხვის შესახებ მოთხოვნების გაგზავნა ("სითიბანკიდან" გადარიცხვების წარმოება);
- ბუღალტერისთვის ხელფასების უწყისის მომზადება;
- მონაცემთა დაარქივების ზოგადი სისტემის წარმოების ხელშეწყობა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- ბუღალტრული ჩანაწერების ან/და ხელფასის უწყისების წარმოების 1-2-წლიანი გამოცდილება;
- ზოგადი განათლების კარგი დონე, სასურველია ფინანსური დისციპლინის დამთავრების დიპლომი;
- პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები (MS Word, Excel და ა.შ.);
- ინგლისურ/ქართულენოვან ენებზე წერისა და ზეპირმეტყველების კარგი უნარი;
- ურთიერთობის კარგი უნარი და კომუნიკაბელობა;
- კანდიდატი უნდა იყოს საიმედო და ძლიერ მჭიდრო გრაფიკში მუშაობის უნარი.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თქვენთ, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 28 მაისი, ოთხშაბათი, 6.00 სთ. კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისერი

კომპანია "ბიპი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბიპი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისერის თანამდებობის დასაკავებლად.

სამუშაოს აღწერა:

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისერი მთავრობასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის (GPR) ძირითადი წევრი იქნება და პასუხს აგებს "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" მიერ საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ყოველდღიური ურთიერთობის დამყარებასა და შენარჩუნებაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისერის ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნა;

არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო სამუშაო ურთიერთობის დამყარება;

პროექტთან დაკავშირებულ თითოეულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ურთიერთობის მართვა და ამ ორგანიზაციასა და პროექტის წევრებს შორის კავშირების ან/და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის კოორდინირება;

არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ ყოველთვიური ანგარიშის მომზადება;

GPR-ის ჯგუფის დანარჩენ წევრებთან კოორდინირებით სტრატეგიის ფორმულირება;

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მიზნით ქმედითი საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება (სემინარები, შეხვედრები, მრგვალი მაგიდის დისკუსიები და ა.შ.);

პროექტის ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის მიწოდება საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების "ბიპი"-სთან კავშირში მყოფი საქმიანობის შესახებ;

საქართველოს პროექტის პერსონალისთვის, ასევე "ბიპი"-ს ბაქოსა და ლონდონის ოფისებში მომუშავე კოლეგებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;

საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამების და მიწის საკითხების ჯგუფის თანამშრომლებთან ურთიერთობის დამყარება, პროექტის სფეროში შემავალ არასამთავრობო ორგანიზაციებს და მათ უფრო ფართო სპექტრს შორის შეუფერხებელი კავშირის უზრუნველსაყოფად.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

სამუშაოზე აყვანის კანდიდატი ძალიან კარგად უნდა იცნობდეს საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს და სასურველია ამჟამად გააჩნდეს ამ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილება. მას მჭიდრო კონტაქტები უნდა ჰქონდეს დამყარებული საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან. კანდიდატი მოვალეა იმუშაოს ენთუზიაზმით, იყოს თვითმოტივირებული და შეძლოს საკუთარი მოსაზრებებისა და იდეების გაზიარება და განხორციელება მინიმალური ზედამხედველობის პირობებში. მას უნდა გააჩნდეს შემდეგი კვალიფიკაცია:

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი;

საჭიროებიდან გამომდინარე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წერის, ზეპირმეტყველების და პრეზენტაციის შესანიშნავი უნარი;

დიპლომატიურობა;

კომპიუტერთან მუშაობის კარგი უნარ-ჩვევები.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვანოდოთ განაცხადის წერილი და თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 30 მაისი. კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38

ბიზნესმენები საკუთარ ტაძრებს აგებენ, ატენის სიონი კი ინგრევა

ორიოდე კვირის წინათ "24 საათი" უკვე წერდა იმის შესახებ, რომ საქართველოს ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლს, გორის რაიონში მდებარე ატენის სიონს დანგრევის საშიშროება ემუქრება. როგორც საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, კახა ტრაპაიძემ მაშინ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, სასწრაფო გადაუდებელი სამუშაოებისთვის დეპარტამენტს 200 000 ლარი აქვს გათვალისწინებული, საიდანაც ნაწილი, პირველ რიგში, ატენის სიონის გადასარჩენად გამოიყოფა. "თვითონ შენობის მდგომარეობა საგანგაშო არ არის, საგანგაშოა საყრდენი კედლის მდგომარეობა..." - აღნიშნა მაშინ კახა ტრაპაიძემ. მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, შენობის მდგომარეობა საგანგაშო კი არა, კატასტროფულია.

ვასილ გულეური

არქიტექტორები, რესტავრატორები, სასულიერო პირები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები 21 მაისს ატენის სიონს ეწვივნენ, რათა კიდევ ერთხელ ენახათ, რა მდგომარეობაშია ძეგლი. **“მდგომარეობა კატასტროფულია. ფაქტობრივად, შენობა ინგრევა და ფრესკები ნადგურდება,** - განუცხადა "24 საათს" მხატვრობა-რესტავრატორობა თემურ ჯაფარიძემ, **- ბოლო სარესტავრაციო სამუშაოები, დაახლოებით, 20 წლის წინათ ჩატარდა. თუ ვინმეს გული შესტკივა, ყველაფერი მიტოვებული უნდა იყოს და მთელი ქვეყანა გამოვიდეს ატენის სიონის გადასარჩენად. მარტო თანხები არ არის საკმარისი. სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა დადგეს საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენიმე წელიწადში ატენის სიონი აღარ გვექნება. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შენდება ახალი ტაძრები. თითქმის, ყველა ბიზნესმენს საკუთარი ტაძარი აქვს აშენებული, ხოლო ატენის სიონი, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისა და კულტურის ნიმუში, ნადგურდება.”**

ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მიერ დაპირებული თანხა ჯერ არ ჩანს, ხოლო რაც უკვე გამოიყო, იმდენად მცირეა, რომ მოსამზადებელ სამუშაოებსაც არ ეყოფა. როგორც დეპარტამენტის წარმომადგენელმა და საპატრიარქოს ხელოვნების საბჭოს წევრმა, ნიკა ვაჩეიშვილმა გვითხრა, კულტურის სამინისტროს მიერ უკვე გადარიცხულია 6 ათასი ლარი. მაგრამ, სპეციალისტები თვლიან, რომ ძეგლის გადასარჩენად ის 200 000 ლარიც კი არ იქნება საკმარისი, რაც დეპარტამენტს მთლიანად აქვს გათვალისწინებული გადაუდებელი სამუშაოებისთვის. **“ატენის სიონის მდგომარეობა შემაშფოთებელია და მას სჭირდება მრავალმხრივი, სხვადასხვა სპეციალობის ადამიანების მიერ კომპლექსური, დიაგნოსტიკური სამუშაოების ჩატარება. რა თქმა უნდა, ეს თანხა არ იქნება საკმარისი, რაც პირველ ეტაპზეა გამოყოფილი. ამ პროცესის გაგრძელებაზე დაბეჯითებით საუბარი არ შეგვიძლია, მაგრამ ყველა მხარის დაინტერესება იმის იმედს იძლევა, რომ თანხები გამოჩნდება და მუშაობა წარიმართება, პირველ რიგში, დიაგნოსტიკური, შემდეგ კი - ფიზიკური გადარჩენისთვის”,** - იმედს არ კარგავს ნიკა ვაჩეიშვილი.

ადგილობრივი ხელისუფლება თვლის, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები საკმარისი არ იქნება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გორში უკვე აშენდა ერთი ახალი ეკლესია, აღდგა და რესტავრაცია გაუკეთდა ორ ტაძარს. გადაწყდა კიდევ ერთი, ოქონის ეკლესიის აღდგენა. **“უნდა ვთქვა, თუ ეს ამპარტავნობად არ ჩამეთვლება, აღბათ, უნდა დავანებოთ ყველამ ჩვენ ჩვენი ეკლესიების მშენებლობას თავი და თუკი რამე გაგვაჩნია, ატენის სიონს შევეწიოთ. ახალი ტაძრების მშენებლობა, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ჯერ ძველი უნდა შევინახოთ და შემდეგ ვიფიქროთ ახალი ტაძრების აგებაზე”,** - ასე ფიქრობს ქალაქ გორის გამგებელი, პაატა ჩხეიძე.

ჯერჯერობით კი... ტაძრის საყრდენი ბაქნის კედელს ახალი ბზარები გაუჩნდა, იშლება სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე, ბზარები გაუჩნდა ტაძრის კედელსაც, ჩამოიშალა ფრესკები. ატენის სიონი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია არსებული უნიკალური წარწერებით, ინგრევა. მის გადასარჩენად კი არაფერი კეთდება.

ინფორმაცია

თბილისის ბაზრებში დაავადებული ხორცი აღმოაჩინეს

მიმდინარე კვირის განმავლობაში თბილისის ბაზრებზე ტრიქინელოზით დაავადებული ღორის ხორცით ვაჭრობის სამი შემთხვევა აღირიცხა. თბილისის ვეტერინარიული გაერთიანების ცნობით, ცენტრალური სუპერმარკეტის ტერიტორიაზე ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა ტრიქინელოზით ინფიცირებული ორი სული ღორის ხორცი. იგივე განმეორდა ნავთლუღის ბაზარზეც. სამივე შემთხვევაში ხორცი ამოღებულია და შესაბამისი წესით განადგურებულია გლდანის ნაგავსაყრელის სპეციალურ სამარხში. ვეტგაერთიანებისთვის უცნობია, საიდან მოხდა დაავადებული ღორის ხორცის შემოტანა, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ხორცი იმპორტული არ ყოფილა.

მედია-ნიუსი

ხუმარა პოლიტიკოსი

გუშინ, კლუბ “სარდაფში”, “აპოლიტიკური ოთხშაბათის” სტუმარი ირინა სარიშვილი იყო. გუშინდელი საუბარი უაღრესად მხიარულ ნოტაზე წარიმართა. სტუმარმა გვამცნო, რომ “ბაღში ძალიან უწესო და საყვარელი ბავშვი იყო, სკოლაში კი “შატალისტი” და საკლასო ჟურნალების გამანადგურებელი, უზომოდ უყვარდა და უყვარს ჭამა... არ უყვარს ლოგინის ალაგება, ყოველდღე საჭმლის გაკეთება, დღესდღეობით ორი პროფესია ეზიზღება - პოლიტიკა და ჟურნალისტიკა. უყვარს “პრეფერანსის” თამაში, ქართული თეატრი, აღმერთებს ვაჟას, გალაკტიონსა და ტერენტი გრანელს”. სტუმრის პროგნოზი, რა იქნება ერთი წლის შემდეგ, ასეთი იყო: ”თუ სიტუაცია არ აირევა, მდგომარეობა უკეთესობისაკენ წავა. მჯერა, რომ ერთი წლის შემდეგ გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდება”. კლუბის შემდეგი სტუმარი სახალხო პარტიის წევრი ვანო ხუხუნაშვილი იქნება.

”24 საათი”

სამი მკვლელობისთვის ძებნილი მიტოვებულ ქოხში დააკავეს

სოფიკო ჩხაიძე

ორი დღის წინ პოლიციას ხელში ჩაუვარდა საშიში დამნაშავე, არაერთი მძიმე დანაშაულისთვის ძებნილი, 23 წლის დავით მენთეშაშვილი.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, მენთეშაშვილი თბილისში მოქმედი ერთ-ერთი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერია. სამართალდამცველების მტკიცებით წელს მან სამი მკვლელობა ჩაიდინა.

აღსანიშნავია, რომ მენთეშაშვილი რამდენიმე დანაშაულის ჩადენას აღიარებს, თუმცა, უშუალოდ მკვლელობებს თავის თანამოაზრეს მიაწერს.

დავით მენთეშაშვილის დანაშაულებრივი დაჯგუფების ისტორია, პოლიციის განმარტებით, 2002 წლის 23 დეკემბრიდან იწყება. გამომძიებელთა ნაამბობის თანახმად, მაშინ, ღამით, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში, მენთეშაშვილმა, თანამოაზრესთან ერთად, ყაჩაღური თავდასხმა მოაწყო გოგი კანანაშვილის ოჯახზე. ოჯახის უფროსის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის გამო მას ჯერ რამდენჯერმე დანა დაარტყეს, მერე კი ნაგანის ტიპის პისტოლეტიდან ესროლეს. კანანაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. თავდამსხმელებმა კი მისი 14 წლის გოგონას გაუპატიურება სცადეს. თუმცა, აქ ოჯახის დიასახლისის მხრიდან წააწყდნენ წინააღმდეგობას – ხმაურის შეეშინდათ და მიიმალნენ. იმავე ღამით, იქვე, კარდანახში, ვლადიმერ ჩალათაშვილისთვის მანქანის წართმევა სცადეს. მაგრამ სოფელს უკვე ეღვიძა და ბოროტმოქმედებს ალყა შემოარტყეს. კარდანახელებმა მენთეშაშვილი შეიპყრეს კიდეც. როგორ დაუსხლტა ბანდიტი მათ ხელიდან, გამომიებისთვის, ჯერჯერობით, უცნობია.

გიგიშვილის ფოტო

თემურ ტურაბელიძე ოპერაციის დეტალებზე საუბრობს.

მენთეშაშვილისა და მისი ჯგუფის მიერ ჩადენილი მორიგი დანაშაული 2003 წლის 1 იანვრით თარიღდება. ახალ წელს სამარშრუტო ტაქსში მომხდარი მკვლელობა მაშინ საკმაოდ გახმაურდა. ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს უფროსის თემურ ტურაბელიძის თქმით, ღამის 9 საათზე, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, №106 სამარშრუტო ტაქსში მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. ბოროტმოქმედებიც და მსხვერპლიც ნასვამები იყვნენ. გოგი მირიანაშვილს ბანდიტებმა დანით ორი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს და გაიქცნენ. მირიანაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა.

დაბოლოს, მკვლელობა 4 მაისს. მსხვერპლი პოლიციის აკადემიის კურსანტი შალვა წითელაშვილი გახლდათ. იგი მეტრომშენის დასახლებაში, გამთენიისას იპოვეს მკვდარი. წითელაშვილს სხეულზე დანით მიყენებული ჰქონდა 23 ჭრილობა.

"შალვა წითელაშვილი ჩვენს სამართველოში გადიოდა პრაქტიკას, - გვიამბო თემურ ტურაბელიძემ, - **საღამოს შინ წავიდა. მას მერე არავის უნახავს. გამთენიისას კი მისი დაჩეხილი სხეული სახლთან იპოვეს".**

წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, გამომძიებას ამჯერად დანაშაულის თვითმხილველები არ ჰყავდა. შესაბამისად, მკვლელობის გახსნა, ერთი შეხედვით, ძნელი იყო. თუმცა წითელაშვილის ახლობლების დაკითხვისას ორჯერ ნასამართლევი და მძიმე დანაშაულებისთვის ძებნილი მენთეშაშვილის პიროვნების ამოტივტივებამ გამოძიების წარმატება განაპირობა.

"წითელაშვილი ნაქირავებ ბინაში, მეგობრებთან - და-ძმა ბეჟანიშვილებთან ერთად ცხოვრობდა. ნატო ბეჟანიშვილის ქმარი გახლავთ სწორედ დავით მენთეშაშვილი, - ამბობს თემურ ტურაბელიძე, - **ცოლ-ქმარს ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ერთხელაც, მათთან სახლში, მენთეშაშვილის მიერ მოწყობილ სკანდალს წითელაშვილთან ერთად ნატო ბეჟანიშვილის მეგობარი ქალი შესწრებია და ცოლ-ქმრის ჩხუბში ჩარეულა კიდეც. პასუხად მენთეშაშვილს მისთვის ისე დაურტყამს, რომ იატაკზე დაუნარცხებია. ამის შემხედვარე წითელაშვილს მოჩხუბარი მკაცრად გაუფრთხილებია, რომ ამ სახლში აღარ დაბრუნებულიყო. ბოროტმოქმედმაც, როგორც ჩანს, ამის გამო იძია მასზე შური".**

დავით მენთეშაშვილი 19 მაისს, დაახლოებით დღის 4 საათზე დააკავეს. ტურაბელიძის თქმით, **"ვთათბირობდით, როცა მივიღეთ ოპერატიული ინფორმაცია – მენთეშაშვილი და მისი მეგობარი სანაპიროზე, მიტოვებულ ქოხში იმყოფებიანო. მაშინვე გავემართეთ დაკავების ოპერაციის ჩასატარებლად. ბოროტმოქმედებმა შორიდან დაგვინახეს, ამიტომ ერთმა მათგანმა გაქცევა მოახერხა. ვიცით, რომ გაქცეული შეიარაღებულია".**

რაც შეეხება მენთეშაშვილს, იგი გურჯაანის რაიონის პოლიციაში გადაიყვანეს საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა მენთეშაშვილის თანამოაზრის დასაკავებლად.

ატიპური პნევმონიის ძებნაში არალეგალებს წააწყდნენ

ბექა სისაური
ქუთაისიდან

შესაძლოა, იმერელმა სამართალდამცველებმა ატიპური პნევმონიის ვირუსის ძებნაში საქართველოში არალეგალების შემოსვლის მარშრუტი გამოავლინონ.

იმერეთის ჯანდაცვის სამსახურებმა ატიპური პნევმონიის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება ჯერ კიდევ ორი დღის წინ დაიწყეს. ამისათვის მხარეში სპეციალური შტაბია შექმნილი, რომელიც მოსახლეობაში პროფილაქტიკურ ღონისძიებებსა და შესაბამის ახსნა-განმარტებებს აწარმოებს. გუშინ კი, იმერეთში პირველი საგანგებო შემთხვევაც დაფიქსირდა.

იმერეთის უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, ბათუმიდან თბილისისკენ მიმავალ ავტობუსში 15 ჩინელი იმყოფებოდა, გაჩნდა ეჭვი, რომ შესაძლოა, რომელიმე ატიპური პნევმონიით ყოფილიყო დაავადებული.

"უშიშროებიდან შემოვიდა ინფორმაცია, რომ ბათუმიდან მომავალ ტრანსპორტში იმყოფებიან ჩინეთის მოქალაქეები. ჩვენც საჭიროდ ჩავთვალეთ მათი სამედიცინო შემოწმება. ავტობუსი ჯერ ქუთაისის გასასვლელში გააჩერეს, შემდეგ კი იგი თერჯოლის ტერიტორიაზე გადაიყვანეს. ტრანსპორტში იმყოფებოდა 15 ჩინელი, ექვსი ქართველი, ერთი ყირგიზი და ერთი სომეხი. არც ერთ მათგანს ტემპერატურული რეჟიმი დარღვეული არ ჰქონდა. თუმცა დაუდგენელი დარჩა, გასული იყო თუ არა ვირუსის გავრცელების 10-დღიანი საინკუბაციო პერიოდი. ამიტომაც სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, ავტობუსს თბილისამდე უშიშროების წარმომადგენლები გაჰყოლოდნენ. იქ კი მათზე დაკვირვებას მედპერსონალი განახორციელებს",- განაცხადა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა კოტე გვეტაძემ.

ქუთაისის უშიშროების სამსახურში კი განმარტავენ, რომ ჩინელები თურქეთიდან მომავალ ავტობუსში ფოთში ჩასხდნენ. სპეცსამსახურებს ეჭვი აქვთ, რომ უცხოელები საქართველოს ტერიტორიაზე არალეგალურად არიან მოხვედრილები. მათ ასეთი ეჭვის საფუძველს ის ფაქტი აძლევს, რომ ჩინელებს აღმოაჩნდათ დოკუმენტაცია, სადაც საზღვრის გადაკვეთის ადგილად ბათუმიდან საკმაო მანძილით დაშორებული ტერიტორია - სადახლოა მითითებული. უშიშროებაში განმარტავენ, რომ თურქეთიდან ავტობუსს მხოლოდ ერთი ჩინელი მოჰყვებოდა, ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე კი იგი გზაზე მყოფ ჩინელებს გასაუბრებია და მძღოლისთვის მათი გადაყვანა უთხოვია. ამ ეტაპზე უცხოელებში ატიპური პნევმონიის სიმპტომების გამოვლინება არ ფიქსირდება. სპეცსამსახურები კი ჩინელების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის კანონიერებას სწავლობენ.

ამერიკულ პროექტს საფრთხე ემუქრება

ხათუნა ჯანგირაშვილი

იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრში დირექტორსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობა დღითიდღე მწვავდება.

"გთხოვთ, შეამოწმოთ ცენტრის საკადრო, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობა და გვიხსნათ მისი ხელმძღვანელისგან", - ასეთია იმ წერილ-საჩივრის შინაარსი, რომელიც ცოტა ხნის წინ ექსპერტიზის ცენტრის თანამშრომელმა, ექსპერტმა მაცაცო მგელაძემ იუსტიციის მინისტრს ჩააბარა და რის საფუძველზეც შეიქმნა კომისია ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის საქმიანობის შესასწავლად. კომისიას მუშაობა ჯერ არ დაუსრულებია, შესაბამისად, არც დასკვნა გახლავთ მზად (სხვათა შორის, ცენტრი კონტროლის პალატამ სამი თვის წინ დატოვა, ცენტრის შესამოწმებლად შესული იყო საგადასახადოც, თუმცა არანაირი დარღვევა იქ არ აღმოუჩენიათ). ამასობაში კი სიტუაცია ცენტრის დირექტორს მაია ნიკოლეიშვილსა და მის ხელქვეითებს შორის უფრო და უფრო იძაბება.

გუშინ ცენტრის თანამშრომლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მაია ნიკოლეიშვილმა ბალისტიკურ-ტრასეოლოგიური გამოკვლევების განყოფილების თანამშრომლებს კარი დაულუქა და მუშაობის საშუალება არ მისცა.

"ორი წელია, რაც მაია ნიკოლეიშვილი ჩვენი უფროსია. კოლექტივსა და მას შორის ურთიერთობა მისი ამ სამსახურში მოსვლის დღიდან დაიძაბა. კატეგორიულად მოვითხოვთ, მინისტრმა მოგვაშოროს კორუმპირებული, არაპროფესიონალი და თანამდებობისთვის მეტად არაადეკვატური პირი. ჩვენ ვერ ვიმუშავებთ ასეთ პირობებში, ამიტომ ან ის წავა, ან ჩვენ", - ამბობენ ცენტრის თანამშრომლები.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მაია ნიკოლეიშვილი თანამშრომლებს პროვოკაციაში ადანაშაულებს.

ნამდებობისთვის შეუფერებელი უფროსი", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ექსპერტმა მაცაცო მგელაძემ. მისივე განმარტებით, გუშინ, ბალისტიკურ-ტრასეოლოგიური გამოკვლევების განყოფილების თანამშრომლები იუსტიციის სამინისტროში იმ დასკვნის გასაცნობად წავიდნენ, რომელსაც ცენტრის საქმიანობა უნდა შეესწავლა, უკან დაბრუნებულებს კი სამუშაო კაბინეტის კარი დალუქული დახვდათ.

"ნიკოლეიშვილი ცენტრის ერთპიროვნული მმართველია. მას მხოლოდ ფინანსური საქმიანობა აინტერესებს და არა კრიმინალისტიკა, ხელს გვიშლის მუშაობაში, მისი დირექტორობის პერიოდში აქ უამრავ დარღვევას ჰქონდა ადგილი", - ასეთ ბრალდებებს უყენებს საკუთარ დირექტორს მგელაძე.

თავად მაია ნიკოლეიშვილი კი, მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებს და ბრალდებებს იმ საინფორმაციო ბანკის შექმნას უკავშირებს, რომელიც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის დაფინანსებით უნდა ჩამოყალიბდეს. პროექტის თანახმად, სულ ცოტა ხანში ქართველ სამართალდამცველებს დამნაშავეების მოძებნას ამერიკული მეთოდები გაუადვილებთ. საქმე ისაა, რომ აშშ-სა და საქართველოს მთავრობათა შორის შეთანხმების საფუძველზე, პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში, საქართველოში იქმნება თითის ანაბეჭდების საინფორმაციო ბანკი, რომელშიც ექვსმიტანილების, პატიმრების, მსჯავრდებულებისა და საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე სამართალდამცველების თითის ანაბეჭდების კომპიუტერული მონაცემები იქნება შეტანილი. ამერიკული მხარის მოთხოვნით, საინფორმაციო ბანკის ამოქმედებისთვის საჭირო 1000 დაქტილობარათი 23 მაისს, ანუ ორ დღეში უნდა იყოს მზად.

"ეს ყველაფერი ბანკის შექმნის წინააღმდეგ არის ჩაფიქრებული. დღეს ერთ-ერთ კოლონიაში ექსპერტთა ათკაციანი ჯგუფი უნდა გასულიყო პატიმართათვის თითის ანაბეჭდების ასაღებად, რათა ორ დღეში 1000 დაქტილობარათი მზად იყოს. რამდენიმე ექსპერტმა კოლონიაში წასვლაზე და იქ მუშაობაზე გაურკვეველი მიზეზის გამო უარი თქვა. ბალისტიკურ-ტრასეოლოგიური გამოკვლევების განყოფილების თანამშრომლებმა კი განყოფილების კარი საერთოდ დაკეტეს. მხოლოდ ამბავი დაუტოვებიათ, შენობას ვტოვებთო. სად იყვნენ, არაფერი ვიცოდი. ამ განყოფილებაში სისხლის სამართლის უამრავი საქმე ინახება, ამის გამო კარი დავლუქეთ. მათთვის მუშაობაში ხელი არავის შეუშლია. ეს ყველაფერი პროვოკაციაა. მე საერთოდ აღარ ვაპირებ ამ თემებზე საუბარს. ჩვენი ძირითადი პრობლემის შესახებ – ამერიკულ ლაბორატორიასთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციის გამო, პრეზიდენტს უკვე შევხვდი და დახმარების დაპირებაც მივიღე", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ცენტრის ხელმძღვანელმა. მაია ნიკოლეიშვილი, მის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას იმ პერიოდს უკავშირებს, როცა ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრში რეორგანიზაცია მოხდა და 100-მდე თანამშრომელი სამსახურიდან გათავისუფლდა.

აფიორა ნაცვადი ხერხით

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტისა და კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების არაერთგზის დამზადების, გასაღებისა და გამოყენებისათვის, აგრეთვე დიდი ოდენობით გადასახადისაგან თავის არიდების ფაქტზე დააკავეს შპს „777"-ის დირექტორი, თბილისში მცხოვრები, 57 წლის ვალენტინ ოდიშელიძე.

მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 349.751 ლარი.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, თაღლითობაში ეჭვმიტანილი კარგად აპრობირებული ხერხით სარგებლობდა. კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ქვეგანყოფილების უფროსის გია ერმაკოვის თქმით:

"შპს "777" გარდაბნის რაიონშია რეგისტრირებული. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ამ ფირმის ხელმძღვანელმა სამი გაყალბებული ანგარიშფაქტურით გააფორმა 2 მილიონ 205 ათასი ლარის საქონელი. შემდეგ ასევე გაყალბებულ ანგარიშფაქტურებში ამ საქონლის გაყიდვის შესახებ ინფორმაცია შეიტანა და ბიუჯეტიდან ჩათვლის სახით მიიღო 400 ათას ლარამდე თანხა. როგორც ცნობილია, გამყიდველს მის მიერ გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადი უბრუნდება. მაგრამ ამ ადამიანმა არც არაფერი შეიძინა და არც არაფერი გაყიდა. შესაბამისად, გადახდილი არ ჰქონია არც დღგ. გამოდის, რომ ბიუჯეტს გამოსძალა თანხა".

აღსანიშნავია, რომ ანგარიშფაქტურები, რომლებითაც, გამოძიების ინფორმაციით, ოდიშელიძე მანიპულირებდა, ე. წ. მფრინავი ნომრის მატარებელია ანუ იმავე ნომრის მქონე ნაღდი ანგარიშფაქტურები კანონიერად მოქმედ სულ სხვა ფირმაზეა გაცემული.

ერმაკოვის თქმით, ამ საქმის ირგვლივ ჯერ კიდევ საკმაოდ რთული გამოძიებაა ჩასატარებელი. კერძოდ, გამოსავლენია ის ფირმები, რომლებთანაც, ანგარიშფაქტურებში შეტანილი ინფორმაციის თანახმად, ოდიშელიძე ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს აწარმოებდა. გუშინ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ ოდიშელიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

"24 საათი"

მოსკოვის ცენტრში კიდევ ერთი ქართული რესტორანი აფეთქდა

გუშინ, მოსკოვის ცენტრში, კრუტიცკის შესახვევში მდებარე ქართულ რესტორან "ჯორჯია"-ში, დაახლოებით 14.35 საათზე, აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც დაიღუპა 32 წლის ოფიციანტი და სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო რვა ადამიანმა.

როგორც რესტორან "ჯორჯიას" თანამშრომლები აცხადებენ, ამ დროს რესტორანი ნახევრად იყო შევსებული, როგორც წესი, სადილობდნენ ახლომდებარე ფირმების თანამშრომლები.

წინასწარი მონაცემებით, რესტორნის წინ, ღია ცის ქვეშ განლაგებულ კაფეში, თხევადი გაზის ბალონი აფეთქდა. ამ ვარაუდს საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ აფეთქება მოხდა გაზის ბალონის გამოცვლიდან 5 წუთის შემდეგ. თავად რესტორნის თანამშრომლები აფეთქების ამ ვერსიას უარყოფენ.

ბოლო ერთი კვირის მანძილზე მოსკოვის ცენტრში მდებარე უკვე მეორე ქართულ რესტორანში მოხდა აფეთქება. პირველი შემთხვევა 12 მაისს ძველ არბატზე, რესტორან "კინტოში" მოხდა. ამ ინციდენტის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა.

გრიგოლ ხურცილავას მეგობარს ერთ კვირაში გაასამართლებენ

გიორგი სანაის მკვლელობის საქმის ძირითადი მოწმის - მალხაზ ხვედელიანის სასამართლო პროცესი გუშინ დაზარალებულთა გამოუცხადებლობის გამო გადაიდო.

"იმის გამო, რომ სასამართლოსთვის ცნობილი არ არის დაზარალებულების პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზი, განსასჯელისთვის წაყენებიული ხულიგნობის ბრალდება კი, ძირითადად, მათი ჩვენებების მიხედვით არის გამყარებული, პროცესის დაწყება შეუძლებელია", - მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას გუშინ ერთხმად დაეთანხმნენ პროკურორიც და განსასჯელის ადვოკატიც. გუშინდელ პროცესზე რამდენიმე მოწმე გამოცხადდა. თუმცა მოსამართლემ მათი დაკითხვა საჭიროდ არ მიიჩნია და პროცესის განახლება ერთ კვირაში გადაწყვიტა.

ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის კორესპონდენტისა და ოპერატორისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის ბრალდებით დაპატიმრებული მალხაზ ხვედელიანის ადვოკატი გუშინ აცხადებდა, რომ სრულიად მობილიზებულია იმისთვის, რომ გრიგოლ ხურცილავას მეგობრის უდანაშაულობა დაამტკიცოს. მაშინ ხვედელიანის აგრესია კორესპონდენტის იმ კითხვამ გამოიწვია, რომელიც მისგან გრიგოლ ხურცილავას დასმენას შეეხებოდა.

"სასამართლო პროცესზე გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურას კანონის დარღვევაში ვამხელ და დავამტკიცებ, რომ პროკურორი ზეწოლის ქვეშ იმყოფება", - იმუქრება განსასჯელის დამცველი.

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი დიმიტრი ლორთქიფანიძე მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობას სასამართლო პროცესზე ვერ დაამტკიცებს, ხვედელიანს ხუთწლიანი პატიმრობა ემუქრება.

"24 საათი"

დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვარაუდობს

საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი აფხაზეთში საერთაშორისო ტერორისტების ყოფნას არ გამორიცხავს და ვარაუდობს, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქის პასპორტების გაცემის შეჩერება აფხაზეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა სჯულის დამნაშავეთა, მათ შორის - ჩეჩენ ტერორისტთა ყოფნას უკავშირდება. მისი თქმით, "რუსებმა დაინახეს, რომ აფხაზები ყველას აძლევენ რუსეთის მოქალაქეობას და შეწყვიტეს ეს პროცესი".

" აფხაზეთში ვერ ხდება იმის კონტროლი, ვინ შედის და რა გზებით," - ამბობს ავთანდილ იოსელიანი და არ გამორიცხავს, რომ "აფხაზეთში მართლაც იყვნენ საერთაშორისო ტერორისტები. შესაძლოა, ამის შესახებ უფრო სრულ ინფორმაციას ჩვენი ამერიკელი კოლეგები ფლობდნენ".

იოსელიანისვე თქმით, საქართველოს სპეცსამსახურები ფლობდნენ ინფორმაციას აფხაზეთში არსებული "უწესრიგობისა და ათასი სჯულის დამნაშავე ელემენტის ყოფნის" თაობაზე.

დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქის პასპორტების გაცემის შეჩერებას უკავშირებს 2002 წლის ნოემბერში, მოსკოვის თეატრალურ ცენტრ "ნორდ ოსტში" დატრიალებულ ტრაგედიას, რომლის ორგანიზატორ ჩეჩენ "ბოევიკებს" აფხაზეთში გაცემული რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტები აღმოაჩნდათ.

ინტერ-პრესი

ხაბურძანია რუს კოლეგებს ადანაშაულებს

პანკისის ხეობაში 700-მდე ჩეჩენი მებრძოლის ყოფნის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გამო საქართველოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია რუს კოლეგებს ინფორმაციის მიუწოდებლობასა და არაკოორდინირებულ მოქმედებაში ადანაშაულებს.

ხაბურძანიას განცხადებით, მას, როგორც უშიშროების მინისტრს, ყოველდღიური კონტაქტები აქვს რუს კოლეგებთან და მათ "კარგად იციან, რომ პანკისის ხეობაში პრობლემები ნამდვილად აღარ არის".

"ეტყობა, რუსი ძალოვნები, ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით, ერთმანეთთან აქტიურად არ თანამშრომლობენ. ეს კი ქართული მხარის ბრალი არ არის", - აცხადებს საქართველოს უშიშროების მინისტრი რუსული მხარის მიერ უკანასკნელ დღეებში გაკეთებული განცხადებების კომენტირებისას.

მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პანკისში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით პრეტენზიები რუს კოლეგებს ბოლო დროს არც ერთხელ არ გამოუთქვამთ.

ინტერ-პრესი

შესაძლოა, ტრეფიკინგი ამერიკის განაწყენების მიზეზი გახდეს

საპარლამენტო ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი გიორგი ბარამიძე ამერიკის მიერ საქართველოსთვის ყოველგვარი ფინანსური დახმარების შეწყვეტის საფრთხეზე საუბრობს და სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგთან დაკავშირებული ცვლილებების მიღებას სასწრაფოდ მოითხოვს.

როგორც გუშინ ბარამიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ამერიკაში ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და მიღებულია კანონი, რომელიც შესაბამისი კანონმდებლობის არმქონე ქვეყნებისთვის ფინანსურ დახმარებას კრძალავს.

მისივე თქმით, "ამერიკელები ჩვენ გვეხვეწებიან, მივიღოთ კანონი, რომლითაც ჩვენი მოქალაქეებით, განსაკუთრებით - ქალებით ვაჭრობა იქნება აკრძალული". ბარამიძე მოხარულია, რომ გასულ სასესიო კვირას პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ეხება ტრეფიკინგს და ითხოვს საბოლოო მოსმენით დაჩქარდეს მისი მიღება.

ინტერ-პრესი

მოკლედ

თბილისი. საქართველოს შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი სოხუმში მცხოვრები შს სამინისტროს ვეტერანებისთვის პენსიის დანიშვნას არ გამორიცხავს.

"მათ საკითხებს ინდივიდუალურად ვიხილავთ. გვინდა, შევისწავლოთ პენსიის დანიშვნის ყველა სამართლებრივი ასპექტი და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება," – აცხადებს ნარჩემაშვილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. კასპის რაიონის შინაგან საქმეთა და შიდა ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროსა და საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სოფელ იგოეთში დააკავეს გორში მცხოვრები, 36 წლის არჩილ გოდერძიშვილი, რომელსაც ჩამოართვეს პისტოლეტი „ვალტერი" ერთი მჭიდით და ცხრა ვაზნით, აგრეთვე 1,05 გრამი ჰეროინი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დედოფლისწყაროს რაიონის სისხლის სამართლის სამძებროსა და საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ქურდობისათვის ძებნილები - 28 წლის გოგიტა ნადიბაიძე და 22 წლის გიორგი ფალელიშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გორის პოლიციამ დააკავა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევისათვის ძებნილი, 37 წლის იოსებ ტარიელაშვილი, რომელიც 1992 წელს გაიქცა საგარეჯოს კოლონია-დასახლებიდან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ცაგერის რაიონის შს განყოფილებისა და შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს მკვლელობის მცდელობისათვის ძებნილი, 41 წლის ანზორ გურასაშვილი, რომელმაც 2002 წლის 9 ნოემბერს, სოფელ ღაჯაში, ცულით კისერში დაჭრა ლაშა მეგრელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინწინ, გვიან ღამით, რამდენიმე შეიარაღებული ნიღბიანი პირი თავს დაესხა სენაკის კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილის რევაზ ქაჩიბაიას ოჯახს.

თავდამსხმელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ოჯახის წევრებს, რის შემდეგაც ფული, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ქაჩიბაიას კუთვნილი ავტომანქანა გაიტაცეს.

პოლიციის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია, თუმცა, კონკრეტული ეჭვმიტანილები ჯერ არ არსებობენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ზესტაფონის პურკომბინატის საწყობში ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონისა და სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით, სავარაუდოდ, თურქეთის რესპუბლიკიდან უკანონოდ შემოტანილი უცხოური წარმოშობის სხვადასხვა დასახელების საქონელი.

საბაჟო დეპარტამენტის ცნობით, ტვირთის მფლობელის ვინაობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია. იგი საბაჟო ტერმინალშია გადატანილი და მიმდინარეობს მისი აღრიცხვა. პურკომბინატის ეზოში აღმოაჩინეს "ტრაილერის" ტიპის ორი ავტომანქანა თურქეთის რესპუბლიკის სანომრე ნიშნებით. მათ დაზიანებული არ ჰქონდათ "საქართველოს საბაჟოს" ლუქები.

ავტომანქანები, რომლებსაც თურქი მძღოლები მართავდნენ, გადაყვანილია საბაჟო ტერმინალში. საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. **პრაიმ-ნიუსი**

რუსეთის ამნისტია წმინდა წყლის პოლიტიკაა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თუ რატომ არის რუსეთის პარლამენტის ოთხი ცენტრისტული, სახელისუფლებო ფრაქციის მიერ მხარდაჭერილი კანონი ამორალური და დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი, კარგად მეტყველებს ცნობილი რუსი სამართალდამცველის სერგეი კოვალიოვის კომენტარი:

- რატომ წამოსწია ახლა ამნისტიის თემა კრემლმა? ყველაფერი აიხსნება კრემლის სურვილით, ომი უკან, ჩეჩნეთში შეაბრუნოს. პრეზიდენტის კანონი ცინიკურია იმდენად, რამდენადაც ჩეჩენ ხალხს სთავაზობს იარაღის მაგივრად ხელში ნიჩბები, ფიწლები აიღოს და პური მოიყვანოს დანაღმულ ყანა-

სერგეი კოვალიოვი

გენადი ზიუგანოვი

ბორის ნემცოვი

ვლადიმირ ლუკინი

გენადი სელეზნიოვი

ტრაგედიაზე და იმაზე, რომ პრეზიდენტს მათ გადასარჩენად საჭირო მექანიზმები არ გააჩნია."

ვლადიმირ ლუკინი: **"ჩეჩნეთის ამნისტია დღევანდელი გადასახედიდან სხვა არაფერია, თუ არა ფიქცია და კრემლის წინასაარჩევნო პიარი. რაც შეეხება ჩეჩნეთის პოლიტიკურ დარეგულირებას, ამ პროცესამდე ისე შორია, როგორც მასხადოვის ამნისტიამდე, როგორც სპეცსამსახურების ჩეჩნეთიდან გამოსვლამდე. რაც შეეხება ამ უკანასკნელ პუნქტს, რუსეთის პარლამენტის მიერ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მხარდაჭერილი ამნისტიის პრეზიდენტისეული პროექტი გულისხმობს რესპუბლიკაში ფედერალური უშიშროების სამსახურის სპეცოპერაციების შეწყვეტას. პუტინის მდგომარეობაში, რაღა თქმა უნდა, შეიძლება შესვლა, რადგანაც სანკტ-პეტერბურგში პრეზიდენტს ევროპის სახელმწიფოთა ლიდერებთან და ევროპული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა და ქვეყნის დემოკრატიულ ღირებულებებზე მოუწევს საუბარი."**

ბორის ნემცოვი: **"ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ იმისა, რომ ამ სახით ამნისტიამ იმუშაოს, როცა ტერორისტული აქტების გამოძიება ნოლზეა, როცა უდანაშაულო ხალხი იღუპება. რა თქმა უნდა, ხელისუფლება პროპაგანდისტულ ნაბიჯს დგამს, რაც სამშვიდობო პროცესს ვერ დააჩქარებს, პირიქით კი მოხდება. ჩეჩნეთი სულ უფრო და უფრო დახურულია ჟურნალისტებისათვის, ბატონი იასტრჟემბსკის დამსახურებაა, რომ იქ დღეს საერთაშორისო დამკვირვებლები ვერ შედიან, ვერც - ჰუმანიტარული ორგანიზაციები. ეს იმას ნიშნავს, რომ იქნება თუ არა ამნისტია, იგი ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს პერმანენტულ ომზე, რაც ასეთი ხელისუფლების ხელში კიდევ რამდენიმე წელს გაგრძელდება."**

რასაკვირველია, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ხელმძღვანელობა, რომელიც კრემლიდან იმართება, პუტინის ამნისტიას მხარს უჭერს, მაგრამ არგუმენტები მხოლოდ ძერჟავინკულ სულისკვეთებას ემყარება.

გენადი სელეზნიოვი: **"მე სიამოვნებით მიწევს იმის აღნიშვნა, რომ რუსეთის პარლამენტის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ტერორისტებთან შეურიგებლობის ამნისტიას. არავითარი შერიგება მასხადოვთან და მასხადოვისთანებთან, ვისაც ხელები იდაყვებამდე სისხლში აქვს. მათ ისტორია გაასამართლებს. პრეზიდენტის კანონი საშუალებას აძლევს ყველას, ვისაც მშვიდობიანი ცხოვრება სურს, იარაღი პირველ აგვისტომდე დაყაროს და ამით ჩადენილი დანაშაული მოინანიოს. ამ მხრივ, დუმამ პრაგმატული პოზიცია დაიკავა."**

რას ფიქრობენ თავად ჩეჩნები?

ასლანბეკ მაიგოვი, რუსეთის ფედერაციაში პრეზიდენტ მასხადოვის წარმომადგენელი:

- არც ველოდებოდი, რომ პრეზიდენტის ამნისტიის პროექტში მასხადოვის მომავალზე რაიმე მინიშნება იქნებოდა გაკეთებული. ასლან მასხადოვს დღეს ამნისტია არ სჭირდება, იგი ჩეჩენი ხალხის შემეცნებაში იყო და დარჩება საკუთარი ერის თავისუფლებისთვის მებრძოლად. ამორალურია ის ამნისტია, რომელიც ჩეჩენი ხალხის გასაწირად იწერება და სინამდვილეში რესპუბლიკაში ახალი კონფრონტაციისათვისაა ჩაფიქრებული. უბედურებაა, როცა რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მიიჩნევენ, რომ კარგი ჩეჩენი მკვდარი ჩეჩენია; რომელ ამნისტიაზე შეიძლება საუბარი იქ, სადაც გენერალ ბუდანოვს ეროვნულ გმირად ნათლავენ.

რუსეთის პარლამენტში ჩეჩნეთში ამნისტიაზე პრეზიდენტის კანონის განხილვის წინ დეპუტატმა ასლანბეკ ასლახანოვმა პროექტის საკუთარი ვარიანტი განხილვიდან მოხსნა. ასლახანოვის კომენტარით, **"თუ ჩეჩნეთში ამნისტია იმუშავებს, იქიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები გავლენ და დანაშაულების თავიდან აცილებას ადგილობრივი მილიცია მოახერხებს, აქ მართვის სადავეები ხელში მხოლოდ ჩეჩენი ეროვნების ადამიანებს უნდა მიეცეთ. პროექტზე მუშაობის პროცესში, როცა რამდენჯერმე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ვოლოშინის კაბინეტში ვიჯექი, აღმოვაჩინე, რომ არც მას და არც პუტინს ამნისტიის ჩემი ვარიანტი წაკითხულიც კი არ ჰქონდა. მე ეს მწყინს, ისე როგორც მწყინს, რატომ არ ანდობენ ჩეჩნეთის მართვის სადავეებს ჩეჩნებს და რატომ აძლევენ ამ სადავეებს ოლიგარქებს?"**

შეკითხვაზე, თუ რატომ იყო ამნისტიის ასლახანოვისეული ვარიანტი მიუღებელი პარლამენტისთვის, დამოუკიდებელი რუსი ექსპერტები პასუხობენ, რომ ამნისტია ეთნიკური პრინციპით ჩატარდება. ხალხის შეწყნარება ჟურნალისტებისა და საერთაშორისო დამკვირვებლებისათვის დახურულ ტერიტორიაზე სრული უტოპიაა. როცა ამნისტია წმინდა წყლის პოლიტიკაა, იქ პოლიტიკური დარეგულირების იმედი არც ექსპერტებს აღარ რჩებათ.

ოპერის თეატრში ლევან შენგელიას საავტორო კონცერტი გაიმართა B2

„ბასკო„ ჩემპიონობის მოსაპოვებლად პირველ ნაბიჯს დგამს B5

TV პროგრამა B6

www.24hours.ge 24 B

ჯანმრთელ სხეულში - ჯანმრთელი იხვი პეკინურად

ანუ ატიპური პნევმონია და არატიპური რესტორნები

მელორ სტურუა
მოსკოვი

ჰონ-კონგში ატიპური პნევმონიის აფეთქებისთვის ერთი ადამიანიც საკმარისი აღმოჩნდა.

კაცობრიობა ადამისა და ევას ცოდვიდან იღებს სათავეს. ჰონ-კონგში ატიპიური პნევმონიის (აპ) ეპიდემიის აფეთქებისთვის ერთი ადამიანიც საკმარისი აღმოჩნდა (მისი სქესი საიდუმლოდ ინახება). იგივე მოხდა სინგაპურშიც. მაგრამ ვინაიდან ჰონკონგში დემოკრატია იყო, სინგაპურში კი – ნაკლებად, აპრილის ბოლოსთვის იქ აპ-ით დაავადებულ ორივე სქესის ადამიანთა რიცხვი 1510-ს შეადგენდა, სინგაპურში კი – მხოლოდ 189-ს. ამასთან დაკავშირებით ჰონკონგელი დეტექტივების შეფმა, ალან ჩენმა, განგსტერების ნაცვლად აპს მიკრობების მატარებლებს მოჰკიდა ხელი. მისი დევიზია: "ვისთან (გქონდა კონტაქტი – მ.ს.), სად და როდის", ინგლისურად სამი W გამოდის. ბოროტმოქმედთა შესახებ კომპიუტერული ინფორმაციის ბანკი სხვა აპლიკანტებით შეივსო. ქალბატონი რეგინა იპი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ სუსტ სქესს მიეკუთვნება, ჰონ-კონგის უშიშროების დეპარტამენტს უდგას სათავეში, აცხადებს: "აპ-სთან ბრძოლაში ადამიანის უფლებები პრობლემა არ უნდა გახდეს". მისი თქმით, ადამიანები "დრაკონული ღონისძიებების" გატარებას მოითხოვენ. "ჰონ-კონგს არმია რომ ჰყავდეს, ის ახლა ქუჩაში ხალხის დაჭერით იქნებოდა დაკავებული," ამბობს ადგილობრივი პოლიტოლოგი მაიკლ დეგოლიე. პროდემოკრატიულმა პარტიებმაც კი, რომლებიც ქალაქის საკანონმდებლო კრებაში არიან წარმოდგენილი, თავიანთი პროგრესული კანონპროექტები დაივიწყეს და სიხარულით შეხვდნენ ომამდელი "კარანტინის შესახებ კანონის" აღორძინებას, რომელიც პოლიციას ექიმებს უქვემდებარებს, ამ უკანასკნელებს კი ხალხისთვის შინაპატიმრობის მისჯის ნებას რთავს.

მაშასადამე, ჰონ-კონგში პეკინური ცხოვრება დაიწყო. მაგრამ პეკინურ იხვებს რა ვუყოთ? თავისუფლების გარეშე ცხოვრება კიდევ დასაშვებია, მაგრამ უჭმელად – სრულიად შეუძლებელი. ჰონ-კონგის სახელგანთქმულ რესტორნებს ცუდი დრო დაუდგა. ხალხი მათ, როგორც ჭირიანებს, გვერდს უვლის. მაგრამ რესტორნების მესვეურნი ჭკვიანი ხალხია. სამზარეულოს რეკლამიდან ისინი სანიტარიის რეკლამაზე გადაერთნენ. მზარეულები ექიმებად იქცნენ (ერთსაც და მეორესაც მაინც თეთრი ხალათები აცვიათ და თეთრი ქუდები ახურავთ), ოფიციანტები კი – მედდებად, თავიანთ რესტორნულ უნიფორმაზე ცისფერი ჯვრით დამშვენებული გრძელი წინსაფრები მოიხვიეს. ასე, მაგალითად, რესტორან "გრინ ვილოუ ვილიჯის" სტუმრებს კარებში "ჰიგიენის მოციქული" ხვდება. მოციქული კლიენტების ხელებს სადეზინფექციო სითხეს ასხურებს და ანტიბაქტერიულ ხელსახოცებს აწვდის, რომლებიც გამოყენების შემდეგ სამედიცინო სათლში იყრება. რესტორნის კედლებზე პლაკატებია გამოკრული: "აქ შეგიძლიათ მშვიდად ისადილოთ!" შემდეგ იწყება რესტორნის მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სტერილიზაციის საშუალებების ჩამონათვალი.

რაც უფრო მეტად მოგვაგონებს რესტორანი საავადმყოფოს, მით უფრო მეტი შანსი აქვს მას დაშინებული კლიენტურა დაიბრუნოს, კარანტინის ნაჭუჭიდან გამოიტყუოს. თევზის რესტორანი "ტონკიჰი ტონკატცუ" ინგ ჰაუზმა" ჰონ-კონგის ცენტრში პლასტიკის საჭმელი ჯოხების ერთჯერადი ვარიანტით ჩანაცვლება გადაწყვიტა – ისინი ისევეა შეფუთული, როგორც ერთჯერადი შპრიცები. ძვირფას რესტორანში "ფიუჯნი" ვერცხლის დანა-ჩანგალს და პურის კალათებსაც კი ფუთავენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მიწაზე კი არა, ჰაერში იმყოფები, არა ელიტარულ რესტორანში, არამედ თვითმფრინავში – ტურისტული კლასის კაბინაში.

რესტორანი ჩაინატაუნში.

ჯერჯერობით არ არსებობს არანაირი სამეცნიერო მონაცემები, რომლებიც დაამტკიცებდა, რომ ეს და მსგავსი ღონისძიებები აპ-ს გავრცელებასთან ბრძოლას უწყობს ხელს და, მით უმეტეს, მისგან დაცვის გარანტიას იძლევა. მაგრამ რესტორნის ბიზნესზე ეს ყველაფერი, უდავოდ, დადებითად მოქმედებს. ისე, მას შემდეგ, რაც მუდმივ კლიენტებს ელექტრონული ფოსტით წერილები დაუგზავნა და დეტალურად ჩამოთვალა, თუ რა ჰიგიენურ ღონისძიებებს ატარებს, რესტორნების ქსელმა "რუდიმ" ჰონ-კონგში მათი 30 პროცენტი დაიბრუნა. როგორც ჩანს, ამას ისიც უწყობს ხელს, რომ მამაცებს შაბათ-კვირას სპირტიანი სასმელების 50 პროცენტიანი ფასდაკლებით შეძენა შეუძლიათ. ცხადია, არც საჭმლის ხარისხის უგულებელყოფა შეიძლება – როგორც წესი, ჰონკონგსა და სინგაპურში რესტორნებში ჩინებულ საჭმელს ამზადებენ.

აზიელებს გამომგონებლობა ნამდვილად არ აკლიათ. ჰონ-კონგის ცენტრში, პოპულარული დისკოთეკა "კვინსის" კარში უმოკლეს კაბაში "მოწყალების და ბეტსი", თვალისმომჭრელი ქერა ლამაზმანი დგას და ყველა შემომსვლელს სიცხეს უზომავს. ჰონ-კონგის ყველაზე დიდი კარაოკე-ბარის, "V-მიქსის" რეკლამაში ნათქვამია, რომ მიკროფონები ულტრაიისფერი სხივებით დეზინფიცირებულია და ჰიგიენური სითხითაა დამუშავებული. ბარის მთელი კომპიუტერული აღჭურვილობა პლასტიკითაა შეფუთული. იგივე ამბავი ჰონ-კონგში თავის მნახველებს ჰიგიენური სითხით, "დერმა-2000"-ით ბანს ხელებს, შემდეგ კი ცდილობს, ამ სითხის შუშაც მიაჩეჩოს, 13 დოლარად ღირებული. სინგაპურის რესტორან "დრაგონ ფენიქსის" მთავარი მზარეული ბატარეებზე მომუშავე თერმომეტრს ატარებს. მისი მაჩვენებლები მენიუს ამშვენებს და ამ მაჩვენებლის განახლება ყოველ ოთხ საათში ერთხელ ხდება (საავადმყოფოში ლოგინზე მიმაგრებული ავადმყოფობის ისტორიის მსგავსად).

მსოფლიოში სახელგანთქმული ჩინური სამზარეულო.

განსაკუთრებით საგრძნობი დარტყმა აპ-მ ჩინურ საოჯახო რესტორნებს მიაყენა, სადაც ხალხი საერთო ლანგრებიდან მიირთმევს. ზოგიერთმა რესტორანმა კლიენტურის 90 პროცენტიც კი დაკარგა. როგორ უნდა მოიქცნენ? რესტორანმა "დამპლიფტებისა და ბანკომატების პულტებშიც მეორდება, რომლებსაც საათში ერთხელ წმენდენ. ჰონ-კონგის გიგანტური პასაჟის, "ტაიმს-სკვერის" ტერიტორიაზე ცამეტი "ჰიგიენის სახლია" გახსნილი. ისინი მყიდველებს "უფასო ჰიგიენურ შესვენებაზე" ეპატიჟებიან. აქ რიგდება ჰიგიენური ხელსახოცები, სითხეები, ნიღბები, ნახმარი ხელსახოცებისა და ნიღბებისთვის განკუთვნილი პარკები, პატარა პლაკატები, რომლებიც გვირჩევს, ხელის ჩამორთმევისგან თავი შევიკავოთ, და მრავალი სხვა სასარგებლო და უსარგებლო ნივთი, რომლებიც მყიდველის სულიერ სიმშვიდეს ემსახურება. პასაჟის ლიფტების დეზინფიცირება 15 წუთში ერთხელ ხდება, შესასვლელ კარებთან დაფენილი ხალიჩები სპეციალური ანტიბაქტერიული სითხითაა გაჟღენთილი, რომელიც აპ-ს ბაცილებს მოკლავს, თუკი ისინი თქვენი ფეხსაცმლის ლანჩას მიეკრო.

- ზოგჯერ ადამიანები შეშლილებივით იქცევიან ხოლმე. ისინი ხელებს ჰიგიენური ხელსახოცებით იწმენდენ და მერე ზედ კიდევ მსგავს საშუალებებს ისხამენ, - ყვება "პასაჟის ჰიგიენის ელჩი", ფიონ მაკი.

ქალაქში წასახემსებლად მიმავალ ჰონ-კონგის მცხოვრებს შეუძლია წინასწარ მიიღოს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად უსაფრთხოა მის მიერ არჩეული რესტორანი. ამისათვის მას თავის მობილურ ტელეფონზე სამი ციფრის აკრეფა ჰყოფნის: 260 (პასუხი ჩინურად) ან 261 (პასუხი ინგლისურად). კომპანია "სანდი კომიუნიკეიშის ლიმიტედ" უმალვე მოგახსენებთ, რა ხდება თქვენს გარშემო ერთი კილომეტრის რადიუსში, ანუ ყოფილა თუ არა იქ ვინმე აპ-ს მატარებელი. ფანტასტიკაა! ტაქსისტს, რომელსაც ტრაპეზის ადგილას მიჰყავხართ, გულს თერმომეტრის ფორმის ჟეტონი უმშვენებს, რომელზეც მისი ტემპერატურის შესახებ მონაცემების წაკითხვას შეძლებთ – რამდენი აქვს და როდის გაიზომა. სამსახურში გასვლის წინ მძღოლებს სიცხეს სპეციალურად ამ მიზნით გახსნილ თორმეტ პუნქტში უზომავენ ხოლმე.

რაც სულიერ საზრდოს შეეხება, ჰონ-კონგის ეკლესიებში ხალხი რესტორნებზე ნაკლებად დადის. საქმე იქამდე მივიდა, რომ კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მღვდლები მრევლის აღსარების მოსასმენად კარგად განიავებულ ოთახებში გადაეყვანა, რადგან ისინი სხვისი ტიპური ცოდვების გამო ატიპური პნევმონიის აკიდების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. მაგრამ მონსენიორ ლოურენს ლიმ ბრძანა, და მისი სიტყვები ყველა მღვდელმა გაიმეორა: დროებითი ცვლილებები ცოდვის ჩადენის საბაბად ან გამართლებად არ უნდა იქცეს, და იმის შემდეგ, რაც ატიპური პნევმონიის ტალღა გადაივლის, ცოდვილნი ვალდებული არიან, თავიანთ მოძღვრებს დაუბრუნდნენ და ცოდვები მოინანიონ. ცოდვა ადამიანთა პერმანენტული მდგომარეობაა, ატიპური პნევმონია – დროებითი, რომელიც სწორედ ამ გამუდმებული ცოდვიანობისთვის გამოგვიგზავნეს.

ძალიან ტიპური ამბავია.

P.S. ვინაიდან ამ უკანასკნელ დღეებში არც ჰონკონგში, არც სინგაპურში არ ვყოფილვარ – არა სიმამაცის, არამედ ხელის ჭუჭყის ნაკლებობის გამო – მინდა მადლობა მოვახსენო ჩემს კოლეგებს "უოლ-სტრიტ ჯორნელიდან". ვიმედოვნებ, ჰონკონგსა და სინგაპურში ამ გაზეთისთვის მუშაობისას აპ-ს არ აიკიდებენ.

ატიპური პნევმონია არც ისე საშიშია

პნევმონია ვერას დაგვაკლებს

წელს, ოქტომბერში, პარიზში ჩვენება გაიმართება, სადაც ჩინეთის 56 ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელი სამოსი იქნება წარმოდგენილი.

ეს ღონისძიება "საფრანგეთისა და ჩინეთის კულტურის წლის" ფარგლებში ტარდება. ჩინეთის კულტურის სამინისტროს ცნობით, მისი მთავარი სპონსორი ჩინეთის ეთნიკური საკითხების სახელმწიფო კომისია იქნება.

ღონისძიების წარმატების საწინდარი საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მიწვეული სახელგანთქმული დიზაინერები უნდა გახდნენ. როგორც ჩანს, ფრანგ დიზაინერებსაც და რიგით პარიზელებსაც სულ არ ადარდებთ ატიპური პნევმონია, რომლის შიშითაც მთელი მსოფლიო მზადაა, შინ გამოიკეტოს.

ფრანგ დიზაინერებს პნევმონიის არ ეშინიათ.

მოდაშია დამცველი ნიღბები

ავსტრალიური მოდის კვირეული მსოფლიოში ყველაზე ჯანსაღი მოდის კვირეული ყოფილა. ეს ჰონ-კონგელმა მოდელიორმა, დორიან ჰომ დაამტკიცა. მან პოდიუმზე დამცველი ნიღბების კოლექცია წარმოადგინა, რომელიც, ცხადია, სტილითა და შეფერილობით ძირითად სამოსს შეესაბამებოდა.

მოდის მიმდევრები ძალიან განიცდიან, რომ "ქირურგიული" ნიღბები მათ გარეგნობას ზიანს აყენებს. ახლა კი მძივებითა და აბრეშუმის ძაფით მოქარგული ნიღბები მათ ატიპური პნევმონიისგანაც გადაარჩენს და ლამაზიც იქნება. "ნიღბის დიზაინის მრავალი ვარიანტი მაქვს დამუშავებული," განაცხადა ჰომ, "ყოველ სამოსს საკუთარი ნიღაბი ახლავს". დორიან ჰოს ჩვენების ბოლოს ტრადიციული პატარძალიც კი თეთრი მაქმანით გაწყობილ ნიღაბში გამოცხადდა.

ასეთი ნიღბის საშუალო ფასი 40 ამერიკული დოლარია. ჰოს ნაწარმის ფასების გათვალისწინებით, ძალიან იაფიანი სიამოვნება გამოდის. თან ყოველ ნიღაბს სამედიცინო სერტიფიკატი ახლავს და უსაფრთხოების ყველა მოთხოვნასაც აკმაყოფილებს. ცხადია, თავად დიზაინერიც ნიღბით დადის - მოარული რეკლამაა.

კუვეიტის სახელგანთქმულმა "მოდის სოფელმა" ნიღბების შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა. ჯერჯერობით უცნობია, სხვა რომელმა სავაჭრო სახლებმა შეუკვეთეს ჰოს ეს შესანიშნავი ნიღბები.

ერთი რამ კი დანამდვილებით ცნობილია: ავსტრალიის მოდის კვირეულზე ჰომ უზარმაზარი წარმატებით ისარგებლა. თვით ნიკოლ კიდმანი დაჰპირდა, შენი არაოფიციალური სახე ვიქნებიო. ისე, ნიღაბაფარებულ კიდმანის სახეს მაინც ვერავინ დავინახავთ, მაგრამ მაინც...

ყველაზე ამერიკული ქართული მუსიკა

ოპერის თეატრში ლევან შენგელიას საავტორო კონცერტი გაიმართა

მადი სერებრიაკოვა

New World Age Music ასეთი ახალი სათაური მოუძებნა ამერიკელმა პროდიუსერმა, კომპანია Mach Investment-ის წარმომადგენელმა მიგელ ჩიბრასმა გუშინ თბილისის საოპერო თეატრში შესრულებულ ლევან შენგელიას მუსიკას, რომელსაც მანამდე მხოლოდ New Age-ს მიაკუთვნებდნენ. მიგელ ჩიბრასი თბილისში სპეციალურად შენგელიას კონცერტის მოსასმენად ჩამოვიდა. მისი კომპანია შენგელიასა და მის ამერიკულ ჯგუფს უწევს პროდიუსირებას. დღევანდელი კონცერტი, რომელიც მთლიანად ქართული ძალებით გაკეთდა ახალი პროექტის დასაწყისი იქნება. ჩიბრასის ხელმძღვანელობით შენგელია შემდეგ კონცერტს უკვე ამერიკულ ჯგუფთან ერთად გამართავს თბილისში. ეს კი, თავის მხრივ, ქართველი კომპოზიტორისა და პიანისტის მსოფლიო ტურნეს დასაწყისი იქნება.

ლევან შენგელიას გუშინდელი კონცერტი პიანისტისა და კომპოზიტორისათვის თბილისში, ფაქტობრივად, პირველი მნიშვნელოვანი გამოსვლა იყო. 11 წლის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებული მუსიკოსი კარიერას, ძირითადად, შტატებში წარმართავს. იქვე გამოვიდა მისი 3 ალბომი, რომელთაგან უკანასკნელი In the Presence of love (2002) მაღალი ტირაჟით გავრცელდა. კონცერტში ქართველი მუსიკოსების საკმაოდ სოლიდური შემადგენლობა მონაწილეობდა: თბილისის მუნიციპალიტეტის ორკესტრი გივი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით, ხალხური მუსიკის ანსამბლი "სოინარი", ქუთაისში თავად შენგელიას მიერ შექმნილი ჯგუფი "ნეო-კლასი" და ორი სოლისტი ვოკალისტი: ხალხური მუსიკის შემსრულებელი მამუკა ჭიჭინაძე და პოპმომღერალი თაკო გაჩეჩილაძე.

"შენგელიასთან დაკავშირებით დიდი გეგმები გვაქვს, – აღნიშნავს მიგელ ჩიბრასი – **ამ კონცერტმა გვაჩვენა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ."** გუშინდელ კონცერტს, მართლაც, შეიძლება წარმატებული ვუწოდოთ. ნაცნობი სახეებით შევსებული დარბაზი აპლოდისმენტებს არ იშურებდა შენგელიას მისამართით. ამ უკანასკნელმაც პირნათლად შეასრულა მოვალეობა. გარდა უკვე ცნობილი ნაწარმოებებისა, სახელდახელოდ ამ კონცერტისთვის რამოდენიმე ახალი კომპოზიციაც შექმნა. განსაკუთრებული წარმატება ბოლო ნომერს ხვდა წილად. **"ეს კომპოზიცია სულ ორი დღის წინ დავწერე** – გამოტყდა კონცერტის შემდეგ შენგელია - **სათაურის დარქმევაც კი ვერ მოვასწარი, პირობითად "კლასიკს" ვეძახით"**. პირობითად "კლასიკი" რამოდენიმე მუსიკოსისა და ანსამბლის კოლაბორაციულ კომპოზიციას წარმოადგენდა. სოლისტმა მომღერლებმა, კონცერტში მონაწილე ანსამბლებმა და, რაღა თქმა უნდა, თავად შენგელიამ საინტერესო სინთეზი წარმოადგინეს. ქართული ხალხური სიმღერის მელოდიური ხვეულები, დუდუკები, მრავალხმიანობა ეფექტურად შეერწყა მსუბუქ საფორტეპიანო იმპროვიზაციას.

მსმენელმა თბილად მიიღო ლევან შენგელიას ბოლო ალბომის რამოდენიმე ნაწარმოებიც. In the Presence of love-სა და Beatrice-ის დასასრული აპლოდისმენტებში ჩაიკარგა. ამ უკანასკნელს კომპოზიტორმა საინტერესო ისტორიაც წაუმძღვარა. Beatrice თურმა ამ სახელის ქალბატონს ეძღვნებოდა, რომელმაც ლევან შენგელიას ამერიკაში, ბუშის საარჩევნო მარათონში მიაღებინა მონაწილეობა. მაშინ, ქართველმა პიანისტმა ჯორჯ ბუშს 72 კონცერტი გაუმართა. **"ეს ქალბატონი ძალიან მიყვარდა –** აღნიშნა სიმღერის ადრესატის შესახებ შენგელიამ – **ახლა არ მძულს, მაგრამ თავად განსაჯეთ რა დამოკიდებულებაც მაქვს"**. სიძულვილის კომპოზიციას არაფერი ეტყობოდა, ქუთაისური იუმორი კი შენგელიას რატომღაც ამერიკელმა მსმენელებმა უფრო დაუფასეს და ლამის ცეკვა წამოიწყეს ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის პარტერში.

კონცერტს გარკვეული ხარვეზებიც ჰქონდა. სამწუხაროდ, გახმოვანება საქართველოში დღემდე გადაუჭრელი პრობლემაა და ნებისმიერი რანგისა და ხარისხის კონცერტზე ჟღერადობა სამარცხვინოდ უხარისხოა. გამონაკლისი არც შენგელიას კონცერტი გამოდგა: მიკროფონების წუილი, დაუბალანსებელი ანსამბლები ბევრს აკლებდა მუსიკის ხარისხს. ორგანიზატორებმა, ალბათ, დარბაზიც ვერ შეარჩიეს სწორად. შენგელიას მუსიკის მსუბუქი განწყობილება, საცეკვაო რითმები ოპერის აკადემიურ სივრცეს ნაკლებად მოუხდა და მსმენელმაც ბევრი დაკარგა უფრო თავისუფალ ატმოსფეროში ცეკვისა და მოლხენის საშუალება რომ მოაკლდა. იმედია, შემდეგ კონცერტებზე აღნიშნული ხარვეზები მოგვარდება. მით უმეტეს, რომ მომავალი გეგმები უკვე ამერიკულ ბენდს უკავშირდება, რომელიც ქართული გახმოვანების ტრადიციებს ძნელად თუ შეეგუება.

ქართულ-ამერიკული მუსიკა ლევან შენგელიას შესრულებით.

ილიკო ლეონიძის ფოტო

მოსალოდნელი გარდასახვა

ნინო ქათამაძის ვოკალი "ინსაითის", კომპიუტერისა და ოთხი ჩელოსათვის

ნინო ახალი პროგრამისთვის მზადაა.

ვერა ნეფარიძე

ნინო ქათამაძე კიდევ მოექცა ჩვენი ყურადღების ცენტრში. ამჯერად უფრო სასიამოვნო მიზეზით, ვიდრე ეს ორიოდე კვირის წინათ იყო, როდესაც მომღერალი ერთ-ერთ მსხვილ მუსიკალურ ფირმას დაუპირისპირდა. თუმცა, ახლა ამის გახსენება არ ღირს, მითუმეტეს, რომ სკანდალს გაგრძელება არ მოჰყოლია და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. "ბედნიერი ვარ, რომ დღესდღეობით ხელს აღარავინ მიშლის ჩემი გეგმების განხორციელებაში", - ამბობს ნინოს პროდიუსერი ირაკლი ნადარეიშვილი. ატეხილი ხმაურის შემდეგ, მომღერლის პირველი ალბომი მაინც გამოვა და რაც მთავარია, მალე. მანამდე კი ნინო ქათამაძე გვაჩვენებს, იმიჯის შეცვლის გარდა, რითი იყო იგი დაკავებული ბოლო დროს.

პარასკევს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ნინო ქათამაძე, "ინსაითთან", გოგი ძოძუაშვილთან და ოთხ ჩელისტთან ერთად ახალ საკლუბო პროგრამას წარმოადგენს. კონცერტის მონაწილე-ორგანიზატორებმა გუშინ, საღამოს ერთ-ერთ საიმიჯო მხარდამჭერ კომპანია "მაკა ასათიანის" კაფეში პრესკონფერენცია გამართეს. ისინი ძირითადად, კონცერტის არაორდინარულ მუსიკალურ ფორმაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მომღერლის პროდიუსერის თხოვნის მიუხედავად, რომ ჟურნალისტებს მეტი ყურადღება კონცერტის მუსიკალური მხარისთვის მიექციათ და არა ნინოს ახალი იმიჯისთვის, პრესკონფერენციაზე ძირითადი ინტერესი მაინც ნინოს გარეგნულ სახეცვლილებაზე შეიმჩნეოდა. ისე მასმედიის წარმომადგენლებსაც ვერ გაამტყუნებ, მითუმეტეს მათ, ვინც ამ კაფეში ხშირად დადის სხვადასხვა პრესკონფერენციებზე – აქ ხომ თითქმის ყველაფერზე საუბრობენ შემოქმედებითი მხარის გარდა. გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე ამ ცუდი ტრადიციის დარღვევა სცადეს, რაც ნაწილობრივ გამოუვიდათ კიდეც.

23 მაისის კონცერტის უჩვეულობაზე ჯერ მარტო მასში მონაწილე შემსრულებელთა შემადგენლობაც მეტყველებს. ახალ საკლუბო პროგრამას დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში ამზადებდნენ: საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ელექტრონული მუსიკის მცოდნე, გოგი ძოძუაშვილი, ასევე ერთ-ერთი საუკეთესო ცოცხალი ჯგუფი "ინსაითი" და განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემებით დაჯილდოებული ნინო ქათამაძე. პროექტში ჩართულია კიდევ ოთხი ჩელისტი, რომელთა შესახებაც სამწუხაროდ ჯერჯერობით, კონცერტამდე ვერაფერს გეტყვით. როგორც გვპირდებიან, კონცერტზე ნინოს რამდენიმე ჰიტის მხოლოდ ახლებური ინტერპრეტაციები შესრულდება, ძირითადი ნაწილი კი დაეთმობა რეპერტუარს, რომელიც ჯერ აბსოლუტურად უცნობია ჩვენი მსმენელისთვის.

"23 მაისი ახალი დღე იქნება ჩემს ცხოვრებაში. ჩვენი საკლუბო პროგრამა სიახლე იქნება მსმენელისთვის. აქ სხვა ემოციური წყობა და ფორმაა, რაც შემოქმედებითმა ძიებამ მოიტანა", - ნინო ქათამაძე მსმენელს წინასწარ აფრთხილებს მოსალოდნელი არაორდინარული საღამოს შესახებ. "კონცერტზე ელექტრონული მუსიკაც სპონტანურად გაკეთდება. აქ ისე არ იქნება, რომ პულტზე თითს დააჭერენ და ფონს შეუქმნიან ბენდს, ამაზე გოგი ცოცხლად იმუშავებს", - ამატებს ირაკლი ნადარეიშვილი. რაც შეეხება თავად გოგი ძოძუაშვილს, ის აღიარებს, რომ კონცერტზე იგი ახალ ამპლუაში იქნება და ამდენად, მისთვის ეს კონცერტი არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება. "ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მუშაობა მომიწევს ცოცხალ ინსტრუმენტებთან", - ამბობს ძოძუაშვილი.

ბოლო დროს ხშირად საუბრობენ ნინო ქათამაძის მოულოდნელ იმიჯზე – საღამოს კაბებზე, ახალ ვარცხნილობაზე, სევდიან, სასიყვარულო სიმღერებზე და ა.შ. ვიღაცეებმა ისიც ივარაუდეს, მომღერალმა საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი "პაპსავიკებთან" ქართულ საესტრადო სცენაზეო და ვინ იცის, რას აღარ ამტკიცებდნენ. მომღერალს გუშინაც ჰკითხეს, ხომ არ გეშინია ამდენი სიახლით მსმენელი დაკარგოო, რაზეც მომღერალმა საკმაოდ თავდაჯერებულად და არცთუ ურიგოდ უპასუხა. "მე კიდევ ვიპოვე ჩემი თავი და იმის მოწოდებაც მინდა. მე კიდევ მაინტერესებს სხვა ფორმები. ჩემი აზრით, თუ სიახლე არ არის, მოძველდება ის სიყვარული, რაც მანამდე მუსიკოსსა და მსმენელს შორის არსებობდა. უფრო მნიშვნელოვანი მუსიკოსისთვის სიახლის წყურვილი უნდა იყოს, ვიდრე იმის შიში, ვაიდა არ გამიმართლოს და არ მომისმინონო". კონკრეტულად, რას იფიქრებს მსმენელი ნინო ქათამაძეზე ახალი საკლუბო პროგრამის მიხედვით, ამას კონცერტის შემდეგ გავიგებთ. პირადად მე კი ამ კონცერტს დიდი ინტერესით ველოდები, თუნდაც იმიტომ, რომ ვიღაც-ვიღაცეების ვარაუდი არ გამართლდეს.

რეალური კონფლიქტი ვირტუალურ სივრცეში

თამარ სუხიშვილი

"უცნაური სახელი მქვია, მამაჩემი ინდოელი მუსულმანი იყო, სწავლობდა გერმანიაში და მეც გერმანიაში გავიზარდე. ამიტომ უფრო გერმანელი ვარ,.." - ასე გვეცნობა დოკუმენტალისტი, პროდიუსერი და რეჟისორი ჰარუნ ფაროკი, ძალიან საინტერესო კონცეპტუალისტი ხელოვანი და, ამავდროულად, სასიამოვნო მოსაუბრეც. თბილისში უკვე კარგად ცნობილი საერთაშორისო პროექტის - Appendix-ის სტუმარი ჰარუნ ფაროკი ხელოვნების სხვადასხვა (თეორიული თუ პრაქტიკული) საკითხებითაა დაინტერესებული, მუშაობს ინსტალაციებზე, შრომის საკითხზე (როგორ შეიცვალა შრომა ბოლო 30 წლის განმავლობაში, ე.წ. კლასიკური ინდუსტრიალიზმიდან მოყოლებული დღემდე), მედიის პრობლემებზე და ა.შ. ჰარუნ ფაროკის ორ ეკრანზე პროეცირებულ ვიდეოინსტალაცია თითქმის ორი კვირაა თბილისში, ქარვასლაშია განთავსებული.

"ტექნიკური პროგრესი ხელოვნების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს: იზრდება ტემპი, მატულობს რაციონალიზმი, იცვლება კონცეპტუალური ასპექტი... დღეს ხელოვნება აღარ მოიაზრება როგორც ქმნადობის პროცესი, რადგან, ფაქტობრივად, ყველა მხატვრული სახე უკვე შექმნილია, ჩვენ მხოლოდ ვიმეორებთ, ვეძიებთ ცოდნის ახალ წყაროებს, ვაგროვებთ ინფორმაციას, ვეძებთ სტრუქტურას, ფორმას, მეთოდებს. თუმცა გამეორება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ რაიმე ახალის შექმნა შეუძლებელია," – მიიჩნევს ფაროკი და თუ ახალს არა, ორიგინალურ იდეებს გვთავაზობს.

გუშინდელი ჩვენება-სემინარის

გემანელი ხელოვანი ჰარუნ ფაროკი ომისა და ხელოვნების პრობლემებზე საუბრობს

ლევან ბერიტაშვილის ფოტო

მასპინძელი გოეთეს ინსტიტუტი იყო, და სემინარიც ჩვენთვის მიუღებელი (და ზოგჯერ გამაღიზიანებელი) გერმანული პუნქტუალობით დაიწყო. ინსტიტუტის დარბაზში კვლავ მიმდინარეობს ფოტოგამოფენა - ქართული საფლავის ქვები. ფაროკის ლექციაც სიკვდილის თემის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა. ჰარუნ ფაროკი თავის ლექციაში ომის პრობლემებს გამოეხმაურა.

ბრეხტის ნათქვამია: ომი ყოველთვის პოულობს გამოსავალს, ეს ფრაზა კი ყოველთვის მართლდება, - ამბობს Appendix-ის სტუმარი, რომლის ლექციაც სწორედ ომის თემატიკას, ომის ფენომენის ტექნოლოგიურ და თეორიულ ასპექტებს მიეძღვნა. ლექცია უხვად იყო ილუსტრირებული ვიდეომასალით: დაკვირვების ობიექტების მუშაობის მექანიზმები, მათ მიერ გამოვლენილი ფოტო თუ ვიდეოსურათები, საომარი ოპერაციების დროს წარმატებით გამოყენებული რაკეტა-სიმულატორების მიერ დაფიქსირებული ობიექტები, ე.წ. ზუსტი იარაღის მოძრაობის ტრაექტორიის ამსახველი კადრები...

გუშინ ჩვენ ვნახეთ ბევრი ისეთი კადრი, რაც თავის დროზე გაუმჟღავნებელი იყო, მაგალითად, 1942 წელს გერმანელთა თვითმფრინავებიდან გადაღებული მასალები, ამერიკა-ერაყის 1991 წლის ომში დაფიქსირებული დოკუმენტური კადრები. საქართველოში ჩამოსულმა გერმანელმა დოკუმენტალისტმა ყურადღება ერთ ფაქტორზე გაამახვილა, ერაყის ომში გადაღებული ფოტოები თითქმის აბსტრაქციამდე მისული ფოტოებია, აბსტრაქციამდე იმიტომ, რომ აქ ადამიანი არ ჩანს. ჰარუნ ფაროკი ამ ფაქტს ასეთ ახსნას უძებნის: ადამიანის იგნორირება შეგნებულად ხდებოდა, რათა ეჩვენებინათ, რომ ეს არის ომი ადამიანების გარეშე. არადა, ამ ომში უამრავი ადამიანი იღუპებოდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ომის მართვა და ომის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ერთი ადამიანის ხელში იყო. წლევანდელ ომში ბევრი რამ შეიცვალა, ტექნოლოგიურადაც, თვისობრივადაც. და ჰარუნ ფაროკიმაც საინტერესო აღმოჩენა გააკეთა: მუშაობის დროს მივხვდი, რომ ეს აბსურდული ომია, რომელიც თითქოს ამ სივრცის მიღმა მიმდინარეობსო.

დაბოლოს, ჰარუნ ფაროკის თუ დავუჯერებთ, ე.წ. ომის სურათებსაც შეიძლება თავისი ესთეტიკა ჰქონდეს. რაც უფრო ხშირად ვიმეორებთ, რომ აქ არავითარი ესთეტიკა არ არის, მით უფრო ესთეტური ხდება ეს სურათი ჩემთვის, - გვეუბნება გერმანელი ხელოვანი, რომლის ლექციაც გუშინ რიტორიკული კითხვებით დასრულდა: შეიძლება თუ არა, რომ მომავალში რაკეტებმა თავად აწარმოონ ბრძოლა ადამიანების გარეშე? შეიძლება თუ არა კონფლიქტი ვირტუალურ სივრცეში მოგვარდეს?

ძნელი სათქმელია...

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნოგოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, სპეციალური კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავია?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქმოვინა "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ინფორმაცია

კრივი. უკრაინელი ვიტალი კლიჩკოსა და ამერიკელი სედრიკ ბოსველის 21 ივნისისთვის დანიშნული ბრძოლა სატიტულო არ იქნება. ამის შესახებ თავად უკრაინელმა მოკრივემ განაცხადა. აქედან გამომდინარე, კლიჩკოს არ მოუწევს თავისი ტიტულის – ინტერკონტინენტალის ჩემპიონის (WBA ვერსიით) დაცვა.

ჩოგბურთი. ცნობილ ავსტრალიელ მწვრთნელს, გევინ ჰოპერს, რომელსაც თავის დროზე მონიკა სელეშთან, მარკ ფილიპუსისთან და ამანდა კეტცერთან უმუშავია, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. მწვრთნელს ბრალად ედება 15 წლის გოგონას მიმართ სექსუალური ძალადობა. სასამართლო პროცესი მელბურნში 6 აგვისტოს გაიმართება.

რაგბი. გუშინწინ ცნობილი გახდა ექვსი ერის მომავალი გათამაშების კალენდარი. თამაშების განრიგი ტურნირის ორგანიზატორებმა ორშაბათს გამართულ შეხვედრაზე დაამტკიცეს. შვიდკვირიან ტურნირს საფრანგეთისა და ირლანდიის ნაკრებთა მატჩი გახსნის, დასრულებით კი უკვე ფინალად შერაცხული, საფრანგეთ-ინგლისის დაპირისპირება დაასრულებს.

რაგბი. ავსტრალიელ ბენ თიუნს მომავალ კვირას მუხლზე გასაკეთებელი ოპერაციის გამო მსოფლიო თასის გამოტოვება მოუწევს. ფეხის ტკივილი მორაგბეს დიდი ხანია აწუხებს, თუმცა, ოპერაციისგან ბოლო დრომდე თავს იკავებდა. “ეს ძალიან ძნელი გადასაწყვეტი იყო. ნებისმიერი მორაგბის ოცნებაა მსოფლიო თასზე თამაში და ძალიან მწყინს, რომ ამას ვერ შევძლებ, თუმცა, სხვანაირად მოქცევაც არ შემიძლია”, - განაცხადა მორაგბემ, რომელსაც ნაკრებში 46 მატჩი აქვს ნათამაშები.

რაგბი. ირლანდიის ნაკრების კაპიტანს, ბრაიან ოდრისკოლს ტრავმის გამო ირლანდიელთა სამხრეთული ტურნეს გამოტოვება მოუხდება. მორაგბემ ჰაინეკენის თასის ნახევარფინალურ მატჩში მიიღო ტრავმა. კელტები მომავალ თვეში ჯერ ავსტრალიას, შემდეგ კი ტონგას და სამოას შეხვდებიან.

დელ ბოსკეს ცეცხლი შეუნთეს

შევერცხლილი თმა, დიდი, მრგვალი სათვალე, კეთილი ღიმილი, მსხვილი სიგარა, მშვიდი ჟესტები... ეს კაცი ტურინში ყველას უყვარს. მან სასწაული მოახდინა. ჩემპიონთა ლიგიდან გამოაგდო ის კლუბი, რომელსაც ევროპაში დაუძლეველს ეძახდნენ. ახლა კი მარჩელო ლიპის შანსი აქვს, თავად გახდეს იმ გუნდის მთავარი მწვრთნელი, რომელსაც ასე მოულოდნელად გადაუკეტა გზა ჩემპიონთა ლიგის ფინალისკენ.

სამშაბათს ესპანურმა გაზეთმა “მარკამ” საჯაროდ განაცხადა ის, რაზეც უკვე მთელი ესპანეთი ჯერ კიდევ გაუბედავად მსჯელობდა: ვინსენტე დელ ბოსკე უნდა გადადგეს, სუპერკლუბად მიჩნეულ “რეალს” სუპერმწვრთნელი სჭირდება! ასეთად ესპანეთში ესახებათ ორი ცნობილი პიროვნება - ტურინის “იუვენტუსის” ხელმძღვანელი მარჩელო ლიპი და ლონდონის “არსენალის” თავკაცი არსენ ვენგერი. იტალიელი ან ფრანგი “რეალის” სათავეში! კაცმა რომ თქვას, რატომაც არა? მერე რა, რომ საკუთარ გუნდთან კონტრაქტი ჯერ არც ერთს არ ეწურება? ამისთანა ტრანსფერები “გაუწარხავს” ფლორენტინო პერესს? მთავარი ხომ მადრიდელთა პრეზიდენტის მონდომებაა? საქმეც სწორედ ეს არის. “სამეფო კლუბის” ხელმძღვანელობა რატომღაც არ ჩქარობს დელ ბოსკესთვის გუდა-ნაბადის აკვრას, მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავებით სავსე “რეალი” დელ ბოსკეს ხელში ლამის საერთოდ უტიტულოდ დარჩეს. პერესი და ვალდანო შეთქმულებივით გაიძახიან, დელ ბოსკეს ხელს არ ვახლებთო. მაინც რითი მოხიბლა ამ ულვაშამ “რეალის” ბოსები?

დაბრუნება წარსულში

სეზონის ბოლოს, შესაძლოა, ის მოხდეს, რასაც რომსა და ვალენსიაში უკვე დიდი ხანია ვარაუდობენ. “ლაციოს” არგენტინელი ფორვარდი კლაუდიო ლოპესი არ მალავს, რომ აღარ სურს მანჩინის გუნდში თამაში და დიდი სიამოვნებით დაბრუნდებოდა თავის ყოფილ კლუბში. “ლაციოში” ლოპესმა სამი სეზონი გაატარა და იმის მიუხედავად, რომ, ბოლოს და ბოლოს, თითქოს კრიზისი დაძლია და რომაულ კლუბში დამკვიდრდა, მაინც “ვალენსიასკენ” მიუწევს გული. არც არის გასაკვირი, ესპანეთში არგენტინელი თავდამსხმელი ბევრად უფრო შთამბეჭდავად თამაშობდა, ვიდრე რომში.

ლოპესის აგენტი ფერნანდო იდალგო წარმატებით აწარმოებს მოლაპარაკებას “ვალენსიასთან” ლოპესის დაბრუნების თაობაზე. ესპანელები თანახმა არიან, თავიანთ ყოფილ ფორვარდს წელიწადში ორი მილიონი ევრო გადაუხადონ. ახლა მთავარი “ლაციოს” დაყოლიებაა.

ხავი მორენოს საბანკო პრობლემები

ორშაბათს მადრიდის “ატლეტიკოს” ფორვარდი ხავი მორენო მოულოდნელად მილანში გამოჩნდა. რაკი ესპანელი ფეხბურთელი ჯერ ისევ “მილანის” საკუთრებაა და გალიანის კლუბს მადრიდში მხოლოდ იჯარით ჰყავს გაშვებული, სპორტულმა ჟურნალისტებმა ჩათვალეს, რომ მას თავისი მომავალის შესახებ სურდა საუბარი “მილანის” ბოსებთან, მაგრამ, როგორც გაირკვა, ფეხბურთელს სულ სხვა გასაჭირი ჰქონია.

“მილანთან” მოლაპარაკება არაფერ შუაშია. მე “ატლეტიკოს” წევრი ვარ და მომავალ სეზონშიც მადრიდში ვითამაშებ. მილანში იმიტომ ჩავედი, რომ ჩემს საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული გაუგებრობები გამერკვია. მაქვს იტალიური ბარათი, საიდანაც ვიღაცა რეგულარულად მპარავს ფულს. მინდოდა, ბოლოს და ბოლოს, გამეგო, რაშია საქმე. ამიტომაც აღმოვჩნდი მილანში”, - თქვა ხავი მორენომ.

მილანურ-მადრიდული ბარტერი?

ამ ბოლო დროს აქტიურად ჭორაობენ იმ გაცვლების თაობაზე, რომელიც, შესაძლოა, განხორციელდეს მადრიდის “რეალსა” და მილანის “ინტერს” შორის. გუშინ იტალიელები ირწმუნებოდნენ, “ინტერს” რონალდოს უკან დაბრუნება უნდა და მზად არის, “რეალს” კრისტიან ვიერი შესთავაზოსო. ამის გამგონე რონალდომ მტკიცედ განაცხადა, მადრიდში დიდხანს მსურს დარჩენა და “ინტერში” ნამდვილად არ წავალო, ვიერიმ კი საერთოდ კომენტარის გაკეთებაც არ ჩათვალა საჭიროდ. ამის შემდეგ ესპანელმა ჟურნალისტებმა კიდევ ერთი უცნაურობა თქვეს: “რეალი” მაკელელეს უთმობს “ინტერს” და სანაცვლოდ კოლუმბიელი ივან რამირო კორდობა მიჰყავსო. კუპერს, შესაძლოა, მართლაც, უნდოდეს რამდენიმე ახალი ფეხბურთელი, მათ შორის, კინშასაში დაბადებული მაკელელე. აი, “რეალი” რაში გამოიყენებს კორდობას, ეს არის გასარკვევი. ფლორენტინო პერესი ხომ ყველას არწმუნებს, ფერნანდო იეროს კლუბიდან არ გავუშვებო...

TV-სპორტი

ხუთშაბათი. 22 მაისი

НТВ + ФУТБОЛ
5.35 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
13.00 თავისუფალი დარტყმა
13.15 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი
15.00 ფეხბურთი ა-დან წ-მდე
15.30 იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
16.30 საფეხბურთო-იუმორისტული გადაცემა. "დარტყმა გოლის მიმართულებით"
16.45 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი "მილანი" - "ინტერი"
18.30 "ფუტბოლ მუნდიალი"
19.00 თავისუფალი დარტყმა
19.15 უიქ-ენდის მატჩების ანონსი
19.20 გასული კვირის ჰიტ-პარადი
21.05 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი
22.50 თავისუფალი დარტყმა
23.10 საფეხბურთო სამზარეულო
23.40 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "ინტერი" - "მილანი"
1.25 რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა

НТВ + СПОРТ
11.00, 13.45, 20.00, 22.00 პრეს-ცენტრი
11.15, 22.15 "ოლიმპის შვილები"
11.20, 14.00 აერობიკა
11.45 "Power week - NHL-ის კვირა"
12.15 სპიდვეი. პოლონეთის გრანპრი
14.30 მსოფლიო ჩემპიონატი რუსულ ბილიარდში. პირველი ნაწილი
16.00 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. შესვენებაზე (17.00) პრეს-ცენტრი
17.50 NHL-პლუსი
18.00 ბრძოლა წესების გარეშე. გუნდური შეხვედრა. რუსეთი - აშშ. მოსკოვი
20.15 ტელეჟურნალი "სიჩქარის სამყარო"
20.45 NBA-ის მიმოხილვა
21.30 საჩოგბურთო მიმოხილვა
22.30 "ტანჟერის ფერის მონადირეები"
23.30 მსოფლიო ჩემპიონატი რუსულ ბილიარდში. მეორე ნაწილი
1.00 "ნოვოსტი"
1.15 NHL-პლუსი
1.25 NBA-ის მიმოხილვა
1.55 ტელეჟურნალი "სიჩქარის სამყარო"
2.25 საჩოგბურთო მიმოხილვა

EUROSPORT
11.30 გადაცემა აშშ-დან
12.30 ტრიალ. მსოფლიო ჩემპიონატი დახურულ შენობებში
13.30 ENTERTAINMENT TAPES-არ ვიცი, ეს რა არის
14.30 ფეხბურთი. ევროპული ჩემპიონატების ლეგენდები. დანია 1992
15.30 ოლიმპიური ჟურნალი
16.00 კრივი
17.30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
18.30 ველოსპორტი. "ჯირო დ`იტალია" მე-12 ეტაპი. პირდაპირი ტრანსლაცია
20.30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
23.30 კრივი. ბრძოლები მძიმე წონაში
2.15 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალი

ფეხბურთი

"პორტუ" უეფას თასის მფლობელია

ПЕРВЫЙ ГВЕРДИЗДАН

"სელტიკმა" 1967 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში მილანის "ინტერი" დაამარცხა - 2:1 და სევილიაში მივიწყებული დიდების აღსადგენად ჩავიდა. თუმცა, ტრავმირებული ჯონ ჰართსონის გარეშე მოუხდა თამაში. ეს "სელტიკისთვის" მნიშვნელოვანი დანაკლისი იყო. დაახლოებით იგივე მდგომარეობა შეექმნა "პორტუსაც", რომელმაც 1987 წელს ვენაში ჩემპიონთა თასი მიუხნენის "ბაიერნს" გამოსტაცა ხელიდან - 2:1. პორტუგალიელებს დისკვალიფიკაციის გამო ელდერ პოშტიგა დააკლდათ. სამაგიეროდ ტრავმის შემდეგ მწყობრში ჩადგნენ კოშტინია და ნუნუ ვალენტე. "პორტუს" მწვრთნელის ჟოზე მაურინიუს თქმით, უეფას თასის აღება პორტუგალიური კლუბის მომავალი აღიარების დასაბამი უნდა გამხდარიყო. "დღეს გამარჯვება ჩვენთვის ღირსების საქმეა. ვიმედოვნებთ, ეს მოგება ხელს შეუწყობს ევროპულ გრანდებში ჩვენს დაბრუნებას," - განაცხადა მაურინიუმ.

"პორტუ" და "სელტიკი" ევროპულ ტურნირებში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 2000/2001 წლების სეზონში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, გლაზგოში "სელტიკმა" მოიგო - 1:0, ხოლო პორტუში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო - 3:0 "პორტუს" სასარგებლოდ. "პორტუმ" მაშინ უაღრესად ტექნიკური ფეხბურთი ითამაშა, რომლის წინაშეც ჩვენ არგუმენტები არ აღმოგვაჩნდა," - იხსენებს მარტინ ო`ნილი. შოტლანდიელთათვის სამწუხაროდ "სელტიკს" არც ამჯერად აღმოაჩნდა პორტუგალიელთა წინაშე არგუმენტი. შეტევის წინა ხაზში დეკოს, ალენიჩევისა და დერლეის აქტიურ თამაშს ო`ნილის გუნდმა ვერაფერი დაუპირისპირა. "სელტიკის" კარში გატანილ სამივე გოლში სწორედ ამ ფეხბურთელებმა მიიღეს უშუალო მონაწილეობა. დეკოს გადაცემით ჯერ დერლეიმ გახსნა ანგარიში, შემდეგ იმავე დეკოს გამჭოლ პასს ალენიჩევის გოლი მოჰყვა, ხოლო დამატებით დროში კვლავ დერლეიმ გამოამჟღავნა თავისი მაღალი კლასი და კაცნაკლულ შოტლანდიელებს გამარჯვების გოლი აგემა.

ვერც ბალდემ, ვერც ვალგაერენმა და ვერც მიალბიუმ პორტუგალიელთა აგრესიული ტრიოს შეჩერება ვერ მოახერხეს. საფრთხე მარტინ ო`ნილმაც იგრძნო და მატჩის მიწურულს ვალგაერენი ლაურსენით შეცვალა. ამ ცვლილებით "სელტიკის" სათამაშო სქემა 3-5-2-დან 4-4-2-ზე გადაეწყო. დაცვაში "სელტიკის" თამაში მნიშვნელოვნად გამოსწორდა. პორტუგალიელთა შეტევები აღარ იყო ისეთი აგრესიული, როგორც შეხვედრის დებიუტში. ჰენრიკ ლარსონის დუბლმა "სკოტები" ძირითად დროში დამარცხებას გადაარჩინა. თითქოს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, მაგრამ უხეში თამაშისთვის ბალდეს გაძევებამ საბოლოოდ მოშალა გლაზგოური კლუბის დაცვითი სისტემა, რასაც დერლეის ლოგიკური გოლი მოჰყვა. 3:2 - პორტუგალიელთა სასარგებლოდ. "პორტუ" უეფას თასის მფლობელია.

"პორტუს" გულშემატკივრებმა ზეიმი სტადიონიდან დაიწყეს.

გოლები: 0:1 - დერლეი (45), 1:1 - ლარსონი (47), 1:2 - ალენიჩევი (54), 2:2 - ლარსონი (57), 2:3 - დერლეი (117)
გაფრთხილება: ვალგაერენი (8), ლენონი (59), ვალენტე (63), ბალდე (80), მანიშე (120), ფერეირა (120), ვალენტე (120)
გაძევება: ბალდე, ვალენტე;
მსაჯი: ლიუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

ლოკომოტივი - დინამო: დიდი მატჩის წინ

მიხეილ აბაიშვილი

დღეს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ცენტრალური ტურია: “ლოკომოტივი” მასპინძლობს “დინამოს”, ხოლო “ვიტ ჯორჯია” – “ტორპედოს”. ვითარებაში მეტი სიცხადის შესატანად იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის ფინიშს სულ ორი ტური უკლია და პირველ პოზიციაზე მყოფი “დინამო” მდევრებს, “ვიტ ჯორჯიასა” და “ტორპედოს” 2, ხოლო “ლოკომოტივს” 4 ქულით უსწრებს. თუ “დინამო”, მეორე ეტაპზე და თასის გათამაშებაში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, დღესაც შეძლებს გამარჯვებას, ჩემპიონატის გამარჯვებულის ვინაობა, პრაქტიკულად, გაირკვევა, რადგან ეს გუნდი ბოლო ტურში უმოტივაციო და სტუმრად საკმაოდ არადამაჯერებლად მოასპარეზე “სიონს” მასპინძლობს. იმ შემთხვევაში, თუ პირიქით მოხდა და “ლოკომოტივმა” ნავსი გატეხა, ამ ორ გუნდს შორის ქულათა სხვაობა ერთამდე შემცირდება, ხოლო, პარალელური მატჩის შედეგის გათვალისწინებით, სატურნირო ვითარება უკიდურესად დაიძაბება. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვიტყვი, რომ ჩემპიონატის დასრულების ბევრი ვარიანტი არსებობს. დაწინაურებულ ოთხეულში ნებისმიერ გუნდს, პირველიდან მეოთხემდე, ნებისმიერი ადგილი შეიძლება ერგოს. ამიტომ, მარჩიელობას თავს დავანებებ და ამ ცენტრალური ტურის უდავოდ ცენტრალური მატჩის, “ლოკომოტივი” – “დინამოს” მთავარი მწვრთნელების შეხვედრისწინა კომენტარებს შემოგთავაზებთ.

ლუის ცაკარიასი (“ლოკომოტივის” მთავარი მწვრთნელი): “ნებისმიერი ქვეყნის ჩემპიონატში ერთი ქალაქის გუნდების დაპირისპირებას, ანუ “დერბის”, ყოველთვის დიდი დაძაბულობა ახლავს თან. არც ეს მატჩი იქნება გამონაკლისი. მით უმეტეს, რომ თამაშის შედეგს როგორც ერთი, ისე მეორე გუნდისთვის ოქროს ფასი ადევს. ჩვენთვის ეს შეხვედრა კიდევ იმით არის გამორჩეული, რომ “დინამოსთან” ზედიზედ ბოლო სამ მატჩში დავმარცხდით და რევანში გვაქვს ასაღები, რაც გულშემატკივრებისა და ქართული საფეხბურთო საზოგადოებრიობის თვალში რეაბილიტაციის, იმიჯის აღდგენის საშუალებას მოგვცემს. პრაქტიკული თვალსაზრისით კი, მოგების გარდა სხვა ნებისმიერი შედეგი უეფას თასზე გამოსვლის საშუალებას მოგვისპობს, რაც ჩვენს გეგმებში არ შედის.

გუნდი ფსიქოლოგიურად მზად არის ისეთ სერიოზულ მეტოქესთან დასაპირისპირებლად, როგორიცაა “დინამო”. ფეხბურთელები ტრავმებს არ უჩივიან. მხოლოდ გივი კვარაცხელიას თამაშია სათუო, თუმცა, თუ ექიმებმა ნება დართეს, მასაც იხილავთ მოედანზე. არც შემადგენლობის, არც ტაქტიკის თვალსაზრისით, სერიოზულ ცვლილებებს არ ვგეგმავ. არც მეტოქისგან მოველით სიურპრიზებს. ვიცით, რომ “დინამო” გამარჯვების მოპოვებას შეეცდება. ჩემი აზრით, გუნდებს თანაბარი შანსები აქვთ.”

ივო შუშაკი (“დინამოს” მთავარი მწვრთნელი): “ზედმეტია იმის აღნიშვნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება “ლოკომოტივთან” მატჩს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ “ლოკომოტივთან” მატჩებში როგორი ბალანსი გვაქვს და ზედიზედ სამი თამაში მოვიგეთ თუ არა. ეს მაღალი კლასის გუნდია, რომელსაც ამ ჩემპიონატში თავისი მიზნები აქვს და ამ მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლია. დარწმუნებული ვარ, სერიოზულ მეტოქეობას გაგვიწევს და შეეცდება, არაფერი დაგვითმოს. უკან დასახევი გზა არც ჩვენ გვაქვს. გუნდს ამ სეზონში ჩემპიონობა აქვს მიზნად დასახული და ამისთვის მოგება გვჭირდება. ჩვენი ტაქტიკაც და შემადგენლობაც ამ ამოცანას მოემსახურება. გუნდების შანსებზე კომენტარს არ გავაკეთებ, თუმცა, დარწმუნებული ვარ: გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც უფრო მეტი თავდადებით, მონდომებით და საფეხბურთო ფანატიზმით ითამაშებს.”

რონალდო: „მინდა, ყველამ იხილოს საუკეთესო რონალდო“

“იუვენტუსთან” განცდილი მარცხი წარსულს ჩაბარდა, “რეალი” უკვე ესპანეთის ჩემპიონატზე გადაერთო და უკანასკნელ ტურში “მალაგა” გაანადგურა (5:1). ამ მატჩში არ უთამაშია რონალდოს, რომელიც ტრავმირებული იყო. ბრაზილიელ თავდამსხმელს “რეალის” მომავალ შეხვედრაში “ვალენსიას” წინააღმდეგ თამაშის იმედი აქვს.

რონალდო

- რა აზრის ხარ “მალაგასთან” მატჩზე?

- “ბერნაბეუზე” გულშემატკივრის რანგში ვიყავი. სტადიონზე ყოფნით დიდი სიამოვნება მივიღე, ტრიბუნაზე ბევრად უფრო ნერვიულობ და ღელავ. ეს იყო გართობისა და კარგი ფეხბურთის საღამო. ერთ მატჩში ხუთი გოლის გატანა ძალიან ძნელია, ჩვენ კი ეს მოვახერხეთ. საუკეთესო თვისება, რაც ჩვენ გუნდს აქვს, ის არის, რომ მას ძალიან სწრაფად შეუძლია აღდგეს. ის, რაც ტურინში მოხდა, უკვე წარსულს ჩაბარდა.

- რას იტყვი მორიენტესის თამაშზე?

- მორიენტესი ჩინებული იყო. არ მიკვირს, რომ ორი გოლი გაიტანა. ვარჯიშზე მას ყოველდღე ვხედავ და იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან ძლიერი თავდამსხმელია. მორიენტესი მრავალი წლის მანძილზე ამტკიცებს, რომ ნამდვილი ბომბარდირია. მისი წარმატება ძალიან მახარებს და ვულოცავ ფერნანდოს. ასევე გამახარა რაულის ორმა გოლმა.

- “ვალენსიასთან” სათამაშოდ მზად ხარ?

- ვნახოთ. ვფიქრობ, რომ მზად ვიქნები. “მალაგასთან” არ ვითამაშე, რომ “ვალენსიას” წინააღმდეგ თამაში შევძლო. ეს ჩემი მიზანია.

- რას ფიქრობ ესპანეთის ჩემპიონატზე? ვინ მიგაჩნია ძირითად კონკურენტად?

- ვფიქრობ, რომ საქმე იოლად არ არის. ეროვნული ჩემპიონატი ჩვენი უპირველესი საზრუნავია. “სოსიედადს” და “დეპორტივოს” არანაკლებ რთული გზა აქვთ გასავლელი. ვნახოთ, ვინ უფრო კარგად გაუძლებს ზეწოლას, ვის აღმოაჩნდება მეტი ძალა. ახლა არ არის კითხვების დასმის დრო, ახლა ჩვენ ქულების მაქსიმუმი უნდა ავიღოთ, ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი კონკურენტები წაიფორხილებენ.

- და თუ ვერ გახდებით ჩემპიონი, ეს ტრაგედია იქნება?

- არა. სპორტში ხან იმარჯვებ და ხან მარცხდები. მხოლოდ ეს ორი ვარიანტი არსებობს. თუ გუნდი გამუდმებით იგებს, ეს მოსაწყენი ხდება. თუ წლევანდელ სეზონს გადავხედავთ, გავგახსენდება, რომ ჩვენ მოვიგეთ ევროპის სუპერ-თასი, საკონტინენტთაშორისო თასი, გავედით ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში და ვაგრძელებთ ბრძოლას ესპანეთის ჩემპიონობისთვის. არ არსებობს არც ერთი სხვა გუნდი, რომელმაც ამდენი მატჩი მოიგო და არ არსებობს გუნდი, რომელმაც ჩვენზე მეტი მატჩი ითამაშა.

- მადრიდში გადასვლიდან პირველ სეზონში შენ ვერ მოიგე ჩემპიონთა ლიგა. იმედები ხომ არ გაგიცრუვდა?

- ეს ჯერაც ვერ აღვიქვი. მაგრამ ეს გვერდი უნდა გადავფურცლოთ და მომავალზე ვიფიქროთ. ნამდვილად ვიცი, რომ, სანამ ჩემპიონთა ლიგას არ მოვიგებ, “რეალიდან” არ წავალ. ეს ჩემი ოცნებაა და ვიცი, რომ ამ კლუბში მისი განხორციელება შემიძლია. ფინალს ერთი ნაბიჯი გვაშორებდა, თუმცა... ჩვენ ნახევარფინალში დავმარცხდით, ასეთ სიმაღლემდე ბევრი გუნდი არ ასულა. ჩვენ ევროპის ოთხ უძლიერეს გუნდს შორის მოვხვდით, ამიტომაც ამას კრახს ვერ ვუწოდებთ. ბუნებრივია, ჩვენს გულშემატკივარს სურს, “რეალი” ფინალში იხილოს. მადრიდის “რეალი” ყველაფრის მოგებას უნდა შეეცადოს. ჩვენს წარუმატებლობას ყველაზე მეტად ფეხბურთელები განვიცდით. ფინალში გასასვლელად ყველაფერი გავაკეთეთ, თუმცა, წარმატებას ვერ მივაღწიეთ.

- შენი აზრით, უსამართლობაა, ფინალში “რეალი” რომ არ ითამაშებს?

- ვფიქრობ, რომ ფინალში თამაშს ვიმსახურებდით, რადგან “რეალი” ევროპაში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს. დარწმუნებული ვარ, სხვადასხვა ქვეყნის გულშემატკივართა უმრავლესობა იგივეს გეტყოდათ. მაგრამ ტურინში ცუდი დღე გვქონდა და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტურნირს გამოვთიშულიყავით. ჩვენ არ გაგვიმართლა. “იუვესთან” მატჩში არ გვყავდა მაკელელე, ბოლომდე ჯანმრთელად არც მე ვიყავი, ვერ გავიტანეთ პენალტი... ამიტომაც ვბრაზობ – მე არ ვიყავი მზად, რომ გუნდს დავხმარებოდი.

- შენ თქვი, რომ ტურინში ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ცუდი დღე გქონდა...

- დიახ. ძალიან მინდოდა “ოლდ ტრაფორდზე” თამაში და თასის მოგება. მაგრამ ეს უკვე წარსულია. ახლა მე სხვა, ძალიან მნიშვნელოვან რამეზე - ესპანეთის ჩემპიონატზე ვფიქრობ.

- ახლა, როდესაც სეზონი დასასრულს უახლოვდება და დასკვნების გაკეთებაც შეიძლება, იქნებ გვითხრა, რა აღმოჩენა გააკეთე მადრიდში?

- მე კვლავ ბედნიერი ვარ. ამ გუნდში, ამ კლუბში, ამ ქალაქში ძალიან ბედნიერი ვარ... მე კვლავ დამიბრუნდა ის სიხარული, რომელიც აქამდე მაკლდა და ფეხბურთის თამაშით ისევ დიდ სიამოვნებას ვიღებ. შესაძლოა, ეს აკლიმატიზაციის სეზონი იყო. დარწმუნებული ვარ, ამ კლუბისთვის ბევრად მეტის გაკეთება შემიძლია. მინდა, რომ შემდეგ სეზონში ყველამ იხილოს საუკეთესო რონალდო. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გუნდში მოსვლისას, თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, სეზონისწინა მზადებას გავდიოდი, მაშინ, როდესაც ჩემი თანაგუნდელები მზადების სხვა ეტაპზე იყვნენ. მე დიდი ბრძოლა და ბევრი სიძნელის გადალახვა მომიხდა. ახლა კმაყოფილი ვარ საკუთარი თავით, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომთხოვნი ვარ.

- რას ფიქრობ ექტორ კუპერის სიტყვებზე, როდესაც ის ამბობს, რომ არასოდეს გეპყრობოდა ცუდად და შენი დაბრუნება სურს?

- მე ეს მსიამოვნებს, თუმცა, წარმოდგენა არა მაქვს, რატომ ამბობს ასეთ რაღაცებს.

კალათბურთი

ამას უნდა ჩემპიონობა?

"ბასკო" ჩემპიონობის მოსაპოვებლად პირველ ნაბიჯს დგამს

ჰაატა თოთაძე

უნდა, რატომაც არა. მაგრამ როგორ? ეს, ალბათ, მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა უნდა იცოდნენ, როგორ და რა ხერხებით მოიპოვება ჩემპიონობა. "დინამოს" გუშინ ამის ცოდნისა არაფერი ეტყობოდა.

"ქვეყნის უძლიერეს გუნდად თბილისის "დინამოს" მივიჩნევ. ჩემპიონატის მოგების უპირველესი ფავორიტებიც ჩვენ ვართ", - ცოტა ხნის წინ ბრაიკოვიჩი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ "დინამო" ასე შერცხვებოდა. განა მარტო ბრაიკოვიჩი? ამას მატჩზე დამსწრეთაგან ვერავინ წარმოიდგენდა.

"ასეთ შედეგს მართლა არ ველოდი. მოგების იმედი მქონდა, მაგრამ ასეთი ანგარიშით? ჩვენ განსაკუთრებულად ვემზადებოდით დღევანდელი მატჩისთვის. მთელი სეზონის განმავლობაში მეტოქეებმა "ბასკოს" ყველაზე ნაკლები ქულა ჩაუგდეს. მთლი სეზონის განმავლობაში დაცვაში სხვაზე უკეთ ვთამაშობდით. ეს ფინალურმა მატჩმაც დაადასტურა. დღეს სწორედ დაცვაში კარგი თამაშით მოვიპოვეთ წარმატება", - მატჩის შემდგომ განაცხადა ბათუმელთა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა.

სტუმართა უპირატესობა პირველივე მეოთხედში გამოიკვეთა. აქ არსებითი მნიშვნელობა აქვს არა იმ შვიდ ქულას, რომლითაც "ბასკომ" მეოთხედი მოიგო, არამედ ბათუმელთა სათამაშო უპირატესობას. სტუმრები მასპინძლებს დაცვაშიც ჯობდნენ და შეტევაშიც. მეორე მეოთხედში და შემდგომ ეს უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დინამოელები მთელი მატჩის განმავლობაში წარმოუდგენლად უზუსტოდ ესროდნენ.

მესამე მეოთხედის დასაწყისში ვითარება თითქოს შეიცვალა, "დინამომ" შეძლო და 16-ქულიანი სხვაობა 10 ქულამდე დაიყვანა, მაგრამ ეს იყო და ეს. კანდელაკის მიერ აღებულმა ტაიმ-აუტმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა და მეოთხედიც "ბასკომ" 43:67 მოიგო.

დინამო შეტევაზეა.

ბესიკის ფოტო

დასკვნით მეოთხედში "დინამომ" მხოლოდ საწყის სამ წუთში სცადა ვითარების გამოსწორება, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე. დარჩენილი წუთებიც მოთამაშეებმა მხოლოდ იმიტომ გაატარეს მოედანზე, რომ სხვა გზა არ იყო. ბათუმელებიც ცოტა მოეშვნენ, რამაც თბილისელებს "სოლიდური" ანგარიშით დამარცხების შანსი მისცა.

"მართალია, დღევანდელი მატჩი მოვიგეთ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა. ძალიან მინდა, ყველაფერი სამ მატჩში გადაწყდეს, მაგრამ, ვეჭვობ, ასე მოხდეს. დარწმუნებული ვარ, "დინამო" თავის სიტყვას იტყვის", - აღნიშნა ნუგზარ კანდელაკმა.

"დინამოს" ხელმძღვანელობიდან მარცხის მიზეზებზე ბრაიკოვიჩის თანაშემწემ, ზურაბ ტომარაძემ ისაუბრა: "ბევრი რამ გვაქვს გასარჩევ-გასარკვევი. დღეს გუნდი თავის თავს არ ჰგავდა. ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდით. მეტოქემ აბსოლუტურად ყველა კომპონენტში გვაჯობა. ვფიქრობ, ბიჭებზე დაღლილობამ და ფსიქოლოგიურმა წნეხმა იმოქმედა. სამწუხაროდ, მოთამაშეებისთვის ამ ფსიქოლოგიური წნეხის მოხსნა ვერ შევძელით. ალბათ, შემადგენლობაშიც მოხდება რამდენიმე ცვლილება. იმედი მაქვს, ხვალისთვის ყველაფერი რიგზე იქნება".

მართლაც, ბევრი რამ ექნებათ დინამოელებს გასარჩევი. რაც უნდა ითქვას, "დინამო" ნამდვილად არაა ის გუნდი, "ბასკოსთან" უპირობოდ აგებდეს და ამის დამტკიცებას დღეს, ფინალის მეორე მატჩში შეეცდება. ბრაიკოვიჩსაც ხომ ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი ქართველთათვის. აბა, ჩემპიონობა ეგრე ადვილი რომ იყოს...

დინამო 75:93 ბასკო
11:18, 15:24, 17:25, 32:26

დინამო: *აბრამიძე (4), ხოშტარია (14), ბეჟანიშვილი (2), თორთლაძე (10), ნაცვლიშვილი (5), მარკოიშვილი (4), ვენსკუნასი (10), ჩუბინიძე (5), მუპე (1), ჩხეიძე (4), სიროვინა (1), მინაშვილი (8)*
ბასკო: *ბაბიაშვილი (21), წოწელია (5), ნიკოლაძე (9), ცინცაძე (20), კეშელავა (7), ქარაბაკი (6), კეიდია (12), შენგელია (13)*

შეტევა დაცვის წინააღმდეგ

დეტროიტი 86:88 ნიუ-ჯერსი
(სერიის ანგარიში 0:2)

ცოტა უცნაურია, მაგრამ აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში რადიკალურად განსხვავებული სტილის გუნდების თამაშის ხილვა გვიწევს. შეტევა დაცვის წინააღმდეგ - ასე შეიძლება დავარქვათ დეტროიტისა და ნიუ-ჯერსის ან სან-ანტონიოსა და დალასის დაპირისპირებას. დეტროიტი ბენ უოლასის თავკაცობით, აღმოსავლეთში საუკეთესო დაცვას თამაშობს. მას შეუძლია, წამში ჩაშალოს მეტოქის იერიშები. აი, თავდასხმაში კი პრობლემები აქვს.

"ნიუ-ჯერსი ნეთსი", რეალტიული ჯეისონ კიდის ძალისხმევით, პირიქით, შეტევაში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. განსაკუთრებით მაშინ, როცა სწრაფი კონტრშეტევის დროს მეტოქის ფარისკენ ორი ან სამი კალათბურთელი მიიჩქარის. ამ დროს კიდს, უბრალოდ, უკეთეს პოზიციაში მყოფი თანაგუნდელის მოძებნა უწევს და ორი ქულა მოპოვებულია.

ჯერ არავის შეუცვლია NBA-ში არსებული ორი წესი: "დაცვა იგებს ჩემპიონატს" და "მოხსნების გარეშე ვერ გაიმარჯვებ". "ნიუ-ჯერსი ნეთსსა" და "დალას მავერიქსს" წილად ხვდათ პატივი, დაამტკიცონ, რომ ეს ორი პოსტულატი შეიძლება შეცდომა იყოს. ჯერ-ჯერობით ამ ვარაუდს ორივე გუნდი ადასტურებს. დალასი ამარცხებს სან-ანტონიოს, ხოლო დეტროიტისა და ნიუ-ჯერსის შეხვედრაში ანგარიშია 2:0 "ნიუ-ჯერსი ნეთსის" სასარგებლოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ NBA-ის პლეი-ოფში პოსტულატებისა და დოგმებისთვის ადგილი არ არის.

ნიუ კერსელი კენიონ მარტინი მეჰმედ ოკიურის წინააღმდეგ.

REUTERS

ფინალური სერიის მეორე შეხვედრაში ნიუ-ჯერსის შეტევამ აშკარად აჯობა დეტროიტის დაცვას და ეს მაშინ მოახერხა, როცა სტუმრები ვა-ბანკზე წავიდნენ. "ნეთსმა", წინა მატჩის მსგავსად, ამჯერადაც ორი ქულით მოიგო. უკანასკნელი, მეოთხე მეოთხედის დასაწყისში, "ნიუ-ჯერსი ნეთსი" 11 ქულას აგებდა, მაგრამ დაცვაში თამაში გამოასწორა და ინიციატივა მოიპოვა. შეტევაში კი თავისი სიტყვა თქვა კენიონ მარტინმა (25), რომელმაც თამაშის ბოლო მონაკვეთში 14 ქულა მოაგროვა. მატჩის საბოლოო შედეგი, თამაშის დამთავრებამდე 48 წამით ადრე, საჯარიმოს ნიშნულიდან რიჩარდ ჯეფერსონმა დააფიქსირა. ანგარიშის გასათანაბრებლად "პისტონსს" უამრავი დრო ჰქონდა, მაგრამ არასტაბილური შეტევითი პოტენციალის გამო ეს ვერ მოახერხა.

ჯეისონ კიდმა თავის გუნდს 20 ქულა შესძინა. ბენ უოლასმა 7 ქულა, 19 მოხსნა და 4 დაფარება გაახერხა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, მარტოოდენ საკუთარ ფარქვეშ უშეცდომო თამაში გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. "ორივე მატჩის მოგება შეგვეძლო, მაგრამ ბედმა გვიმტყუნა. ვერაფრით ამიხსნია, როგორ მოვახერხეთ 11-ქულიანი უპირატესობის გაფლანგვა", - ამბობს უოლასი. ჯეისონ კიდის თქმით, მისი გუნდი ძალიან ახლოს არის მთავარ ფინალთან. "მიხარია, რომ დეტროიტში ჩვენი სტუმრობა ასეთი იღბლიანი აღმოჩნდა. ახლა მიზნის მისაღწევად საკუთარ მოედანზე მოგებაც საკმარისი იქნება", - თქვა "ნიუ-ჯერსი ნეთსის" ლიდერმა.

Giro d'Italia

სახელგან შენგან ნინოგან

ირაკლი ბერიაშვილი

კურტ არვესენი გამარჯვებას ზეიმობს.

REUTERS

ტექნიკური შედეგები

X ეტაპი. მონტეკატინი - ფაენცა. 211 კმ.

1. კურტ არვესენი ("ფაკტა-პატა", ნორვეგია)	5 სთ. 34 წთ. 23 წმ.
2. პაოლო ტირალონგო ("ჩერამიკე პანარია", იტალია)	+1 წმ.
3. ჯილბერტო სიმონი ("საეკო", იტალია)	+1 წმ.

საერთო ჩათვლა

1. ჯილბერტო სიმონი	46 სთ. 25 წთ. 55 წმ.
2. სტეფანო გარძელი ("ვინი კალდიროლა", იტალია)	+2 წმ.
3. ანდრეა ნოე ("ალესიო", იტალია)	+56 წმ.
4. ფრანკო პელიცოტი ("ალესიო", იტალია)	+1 წ. 38 წმ.
5. პაველ ტონკოვი ("CCC პოლსტი", რუსეთი)	+1 წთ. 52 წმ.
6. იაროსლავ პოპოვიჩი ("კოლნაგო", უკრაინა)	+1 წთ. 58 წმ.

საუკეთესო მთიელი

1. ფრედი გონზალესი ("კოლომბია", კოლუმბია)	35 ქულა.
2. კონსტანტინო გუტიერესი ("კელმე", ესპანეთი)	26
3. სტეფანო გარძელი ("კალდიროლა", იტალია)	16

სადღაც კვირის ან ორი კვირის თავზე ჯიროს უკვე აქვს გამარჯვების კანდიდატთა სრული სია. ეს კანდიდატები და მათი გუნდები დროდადრო თვალს ხუჭავენ პატარა ანცობებზე – ავანტიურისტებს პელოტონიდან გაქცევისა და ზოგჯერ ეტაპის მოგების საშუალებასაც აძლევენ. ცხადია, ერთი პირობით – მოიერიშეთა შორის მხოლოდ უსაშველოდ ჩამორჩენილები უნდა იყვნენ. ისეთები, რომლებიც, ბუნებრივია, გაიუმჯობესებენ სატურნირო მდგომარეობას, მაგრამ ვერაფრით ვერ შეუქმნიან საფრთხეს ლიდერებს.

აი, ასე გულუბრყვილოდ და უვნებლად გამოიყურებოდა თხუთმეტკაციანი ჯგუფის შეტევა მთიან მეათე ეტაპზე და ასეთადაც დარჩებოდა, რომ არა გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის ჯილბერტო სიმონის სამი თანაგუნდელი, რომლებსაც თავიდან რატომღაც არავინ მიაქცია ყურადღება.

სიმონი მეათე ეტაპის წინ სულ რაღაც ნახევარი წუთით ჩამორჩებოდა ლიდერს სტეფანო გარძელის. ვარდისფერი მაისურა კი, მოგეხსენებათ, ისეთი რამაა, თუ საშუალება არის, არ შეიძლება, კაცს ხელი არ წაგიცდეს.

ახლა ორიოდე სიტყვით საგზატკეცილო რბოლებში ერთობ გავრცელებულ ტაქტიკაზე, მერე კი მივყვეთ პელოტონს.

ავანტიურისტთა ჯგუფში, რომელიც, როგორც ზევით ვთქვით, არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, შეგზავნიან ხოლმე რამდენიმე მრბოლს. ამას აკეთებს ის გუნდი, ვის ლიდერსაც ეტაპის დასკვნით მონაკვეთზე კონკურენტების ჩამოტოვება აქვს განზრახული. მთაზე ამის გაკეთება ძნელი არ არის, მაგრამ ვაკეზე დამხმარეების გარეშე რამდენიმე კილომეტრის გავლაც კი წარმოუდგენელია. მდევრები, როცა ამ ჯგუფს ეწევიან, ცდილობენ, ერთი მხრივ, ლიდერის ფავორიტებს ხელი შეუშალონ, მეორე მხრივ კი, ეცადონ, ავანტიურისტებს ხელი არ მოაცალონ. ამ ორ ცეცხლს შორის მოქცეული ჯგუფი ხშირად ვერ ახერხებს ორივე ამოცანის შესრულებას და ან ერთ-ერთ ფრონტზე მარცხდება, ან ორივეზე.

ეტაპის ფინიშის მახლობლად ავანტიურისტებს ხელი ეშლებათ ხოლმე ერთმანეთში. ეს ხდება მაშინ, როცა ჯგუფის ლიდერი ცდილობს, ეტაპის გამარჯვებით ლიდერის მაისური მოიპოვოს, ხოლო მისი თანაგუნდელები ამ ეტაპის მოგებას ცდილობენ. ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, რომ ლიდერი ეტაპს ვერ იგებს, მაგრამ ლიდერის მაისურს ინარჩუნებს.

ეტაპის ფინიშამდე დარჩენილ გზაზე ისინი დაეხმარებიან.

რა თქმა უნდა, კომბინაციების აწყობა მარტო ქაღალდზეა იოლი, რეალურ ცხოვრებაში კი, მართალი გითხრათ, საკმაოდ ძნელია და, სხვათა შორის, საკმაოდ იშვიათიც. იშვიათი იმიტომ, რომ ეს ყველაფერი დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ჯერ კონკურენტებისგან თავის დაღწევას სჭირდება დიდი ენერგია, მერე კი, თუ, ღმერთმა ნუ ქნას და, გეგმები ჩაიშალა, ეს ჩვენი ლიდერი მარტო აღმოჩნდება გზატკეცილთან და წინ დარჩენილ კილომეტრებთან. ყველა შემთხვევაში ბოლო ერთი იქნება – მდევრები დაეწევიან და მთელი ეს ნაშრომ-ნაჯაფიც წყალში ჩაიყრება.

"საეკოსა" და მის ლიდერს ჯილბერტო სიმონის ან მაინცდამაინც მეათე ეტაპზე გაახსენდათ, ანდა საერთოდაც მოსწონთ რისკთან და შამპანურთან დაკავშირებული მოსაზრებები.

ისე, გეგმით ხდება თუ უგეგმოდ, მართლა სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ კაცს შემშველებელი, დამხმარე გეგულება. სულ ერთია, ახლოს იქნება თუ შორს, სპორტი იქნება თუ ჟურნალისტიკა.

ასეთი ჩვენთვის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც, ზოგისთვის ვირტუალური, ზოგისთვის კი სავსებით რეალური იტალიელი ქალბატონი ნინო პრიმაა. დაგვიანებულ ბოდიშს ვუხდი ჩვენი გაზეთის მკითხველს, სახელის გამო აქამდე, ალბათ, კაცი რომ ეგონა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც, მერწმუნეთ, ყველაფერი თავის ადგილზე აქვს.

ნინო პრიმა

მეათე ეტაპზე პელოტონი ტოსკანის მთებს ტოვებს და რომანიის მხარეში გადადის. ეს გადასვლა არც ისე უმტკივნეულოა, ტოსკანა-რომანიის საზღვარი აპენინის მთებზე გადის და სპორტსმენებს იქ ასასვლელად გვარიანად ოფლის დაღვრა უხდებათ. ბორგო სან ლორენცოს უკან ჩამოტოვების შემდეგ გაუთავებელი აღმართ-დაღმართები იწყება და ასე გრძელდება მანამ, სანამ პელოტონი რავენას პროვინციას არ მიაღწევს. სწორედ აქ არის ველოსპორტის ერთ-ერთი ცენტრი მონტე ტრებიო.

ეტაპის ფინიში ფაენცაშია, პიაცა დელ პოპოლოზე. აქ ყოველ წელიწადს ეწყობა ცხენოსანთა ერთობ ორიგინალური შეჯიბრება, რაღაც საშუალო დოღსა და კორიდას შორის. ფაენცაშია დაბადებული ევანჯელისტა ტორიჩელი – ბარომეტრის გამომგონებელი.

ირაკლი

ჯილბერტო სიმონიმ შეტევა სულ ბოლო მთაზე წამოიწყო. უღელტეხილიდან ფინიშამდე ოდნავ დახრილი ოცდახუთკილომეტრიანი გზა რჩებოდა. სავარაუდოდ, სიმონი წინ წასულ ჯგუფს აღმართის ბოლოში უნდა დასწეოდა, იქიდან კი მათთან ერთად გააგრძელებდა გზას.

ყველაფერი კარგად დაიწყო. მეტოქეებმა ხუმრობად ჩათვალეს ლიდერის ეულად გაქცევა და საშუალება მისცეს, დანინაურებულიყო. პირველი გონს მოეგო ფრანჩესკო კასაგრანდე, რამდენიმე მოხალისეც აიყოლია და სიმონის გაეკიდა. ცოტა ხანში, როგორც ჩანს, ჯიროს ლიდერმა, "ვარდისფერმა" სტეფანო გარძელიმაც მიიღო ბრძანება მწვრთნელთა შტაბიდან და ისიც დაიძრა. ამ დროისთვის სხვაობა გაქცეულსა და მდევრებს შორის თითქმის წუთამდე გაიზარდა.

შვიდპროცენტიანი ტრებიო არც ისე იოლი ასავლელი გამოდგა. ავანტიურისტთა თხუთმეტკაციანი ჯგუფი, როცა მას ჯილბერტო სიმონი დაეწია და როცა უღელტეხილსაც უწიეს, ოთხამდე შემცირდა. წინ იყო ოცდახუთი კილომეტრი, ერთადერთი თანაგუნდელი და ორი უცხო ველომრბოლი – იტალიელი პაოლო ტირალონგო და ნორვეგიელი კურტ არვესენი. მდევრები გამოცოცხლდნენ, ჯილბერტოს კი მხოლოდ თანაგუნდელი ლეონარდო ბერტანოლის იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა.

კარგა ხანს ასეც გრძელდებოდა, მაგრამ როცა ბერტანოლიმ ბოლომდე ამოწურა თავისი შესაძლებლობები და მდევარიც ლამის ბორბალზე დააჯდა გაქცეულებს, დანარჩენმა ორმაც იკადრა და, როგორც იქნა, ხელი გამოიღო. მიზეზი მარტივი იყო – თითოეულ მათგანს ეტაპის მოგების ერთობ რეალური შანსი გაუჩნდა. საერთოდ, მრავალდღიანებში ასეთი დაუწერელი კანონი არსებობს: როცა ვინმე გეხმარება საერთო ჩათვლაში ლიდერობის მოსაპოვებლად თუ შესანარჩუნებლად, ფინიშზე ვალდებული ხარ, ეტაპზე გამარჯვება თანამზრახველებს დაუთმო. თუ არ ვცდები, ეს რაინდული წესი, ამ ბოლო ათი წლის მანძილზე მაინც ჯიროს, ტურისა და ვუელტას არც ერთ ტურნირზე არ დარღვეულა. "საეკოს" წევრები სიმონი და ბერტანოლი ფინიშის სწორზე მორიდებით გადგნენ განზე და ტირალონგოსა და არვესენს საშუალება მისცეს, პირველობის ბედი დუელში გადაეწყვიტათ. ჯიროს ლიდერი სტეფანო გარძელი პელოტონის დიდ ნაწილთან ერთად ოცდახუთი წამის შემდეგ მივიდა ფინიშთან, ამას ბონიფიკაციით მიღებული რვა წამიც დაემატა და იტალიაში აგრერიგად პოპულარულ ვარდისფერსაც სიმონის სახით ახალი პატრონი გამოუჩნდა.

ყოჩყოჩი

ნინო I

"მარადი დანიშნულების" ისტორია

ტურინში და, ალბათ, არა მარტო იქ, ამ უცნაურ წყვილს ყველა იცნობს. უკვე საუკუნეა, ისინი ერთად დადიან, ყოველ წელიწადს აპირებენ დაქორწინებას, ჟურნალისტებს უმტკიცებენ, ერთმანეთი სიგიჟემდე გვიყვარს და მალე ქორწილში დაგპატიჟებთო, არც ჩხუბობენ და არც ერთმანეთს ებუტებიან, მაგრამ ვერა და ვერ დააყენეს საშველი ახალი ცხოვრების დაწყებას. თითქოს მოჯადოებულ წრეში არიან მოქცეული - მათ საქორწინო ცერემონიალს მთელი იტალია მოუთმენლად ელის, ისინი კი ვერაფრით ვერ ახერხებენ საკურთხეველთან მისვლას. ამდენი ყოყმანისა და ქორწინების თარიღის წლიდან წლამდე გადაწევის შემდეგ ალექს დელ პიეროსა და მის სონიას იტალიელებმა უკვე "მარადი დანიშნულები" შეარქვეს და მათი გაუბედაობა სასაცილოდ გაიხადეს. "პინტურიკიოს" კი მაინც არაფერი ეშველა - გრაფა "ოჯახური მდგომარეობა" ისევ ცარიელია მის ბიოგრაფიაში...

დელ პიერო და სონია.

როგორ იქცა კონკია პრინცესად

ფრანჩესკო ტოტის საცოლე სახელგანთქმული ტელებალერინაა, ფილიპო ინძაგის სატრფო - მსახიობი, კრისტიან ვიერის მეგობარი ქალი – მოდელი. დანარჩენ ფეხბურთელებსაც მეტ-ნაკლებად ცნობილ ქალებთან აქვთ ურთიერთობა: ვინ "რაის" წამყვანია და ვინ მომხიბვლელი "შოუგერლი". ასეთი ქალების უმრავლესობამ კარიერა სილამაზის კონკურსებში მონაწილეობით დაიწყო და ტელევიზიაში ან პოდიუმზე მოღვაწეობით გააგრძელა. მათ თავად გაითქვეს სახელი მანამ, სანამ ფეხბურთელებს შეხვდებოდნენ. როცა ალესია მარკუცი სიმონე ინძაგის დაუახლოვდა, "ლაციოს" ფორვარდი მთელმა იტალიამ გაიცნო. თუ ილარი ბლაზი ტოტის დაშორდება, მის კარიერას ამით არაფერი დააკლდება, იგი ისედაც ყველასთვის ცნობილია. აი, ალექს დელ პიეროს სატრფოს შესახებ კი არავის არაფერი ეცოდინებოდა, "პინტურიკიო" რომ არ დაინტერესებულიყო მისით.

არ გაინტერესებთ, რას აკეთებდა სონია ამორუზო დელ პიეროსთან დაახლოებამდე? არც მოდელი იყო და არც შოუგერლი, უბრალო გამყიდველი გახლდათ. არა, ამაში საგანგაშო ნამდვილად არაფერია. აბა, ვინ იყო თავად დელ პიერო, სანამ ტურინის "იუვენტუსში" გადავიდოდა? ერთი ჩვეულებრივი, ვენეტოს მხარის სოფელში დაბადებული პროვინციელი ფეხბურთელი, რომელიც სერია B-ს კლუბ "პადოვაში" თამაშობდა. გამყიდველი გოგონა მისთვის მაშინ, ალბათ, ყველაზე შესაფერისი პარტნიორი იყო. თუმცა, მაშინ და არა ახლა. ამჟამად ხომ ალექს დელ პიერო მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავია. მის გვერდით კი ისევ ის გამყიდველი გოგონაა, რომელიც უკვე დიდი ხანია, პრინცესად იქცა. "პინტურიკიომ" საცოლეს მოდური ბუტიკი აჩუქა და ახლა სონია თავად კი აღარ დგას დახლთან, არამედ მაღაზიის მფლობელი ქალბატონი გახლავთ. ბუტიკის არჩევისას დელ პიეროს გემოვნება ნამდვილად არ უღალატებდა - ტყუილად ხომ არ მეგობრობდა დონატელა ვერსაჩესთან. ბოროტი ხმები ამტკიცებდნენ, ალექსს ეს პლატინისფერთმიანი სახელგანთქმული დიზაინერი შავთმიან სონიას ურჩევნიაო, მაგრამ "იუვეს" კაპიტანი სკანდალს მოერიდა და კვლავაც სონიას საქმროდ დარჩა. დონატელა ვერსაჩესთან ურთიერთობას კი, უბრალოდ, მეგობრობა დაარქვა.

დელ პიეროს, როგორც ჩანს, არ უნდა, ისეთი საცოლე ჰყავდეს, რომელიც მუდამ კარიერაზე ფიქრობს და "სექს ბომბას" იმიჯით სარგებლობს. სონია მეტად მოკრძალებული და წყნარი ადამიანია. არავის ახსოვს რაიმე სკანდალი მისი მონაწილეობით, მისგან ინტერვიუს აღება მეტად რთული ამოცანაა. ფოტორეპორტიორების აბეზარ კამერებსაც მოხერხებულად ემალება. დელ პიეროს არც ალექსს ეძახის და არც "პინტურიკიოს". "ტატინო" შეარქვა და სულ არ აინტერესებს, როგორ უყურებს საზოგადოება მის ბავშვურ გატაცებებს. ძალიან სიამოვნებს საქმროსთან ერთად ტურინის ქუჩებში სეირნობა, "იუვეს" მატჩებსაც ხშირად ესწრება. შარშანდელ მუნდიალზე კი იაპონიაში ჩააკითხა დელ პიეროს. ტოტის ილარისა და მონტელას რიტასთან ერთად ამხნევებდა ფეხბურთელებს და, ილარის მსგავსად, მასაც სჯეროდა, რომ ჩემპიონატის შემდეგ ის და ალექსი, ბოლოს და ბოლოს, დაქორწინდებოდნენ, მაგრამ მათი ქორწილის თარიღი ჯერაც დაუდგენელია. თუმცა, ალექსმა უკვე ისიც კი უთხრა ჟურნალისტებს, რომ დიდი, პომპეზური ზეიმის მოწყობას არ აპირებდა. ჩვენ, ვენეტოელებს, ზედმეტი ხმაური არ გვიყვარსო. ჯერჯერობით არაფერი ჩანს - არც ხმაურიანი და არც უხმაურო. ალექსმა უკვე ზედიზედ ორჯერ მოიგო "სკუდეტო" და გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში. მეტი რაღა სტიმული უნდა? თუ მაინცდამაინც ლიგის თასის მფლობელის ამპლუაში უნდა დადგეს საკურთხეველთან? კაცმა არ იცის...

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- ალრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი “კოსმოსი”-ს შენობა) ყოველდღე 9^{00}-დან 20^{00}-მდე.
“ქართული ლიგა” (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

აფიშა

თეატრები

- **ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
  თანამედროვე ქორეოგრაფიის საღამო
  დას: 18:00 სთ
- **თეატრალური სარდაფი**
  ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
  დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **თეატრალური სარდაფი ვაკეში**
  "ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
  დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი
- **თავისუფალი თეატრი**
  "სამი პიესა" რეჟ. ლელა ჭინჭარაული
  დას: 19:00 სთ; ფასი 3,5 ლარი

საგამოფენო დარბაზები

- **ეროვნული გალერეა**
  ედმუნდ კალანდაძის პერსონალური გამოფენა
- **„არტ-ორიენტი“**
  "აბრეშუმის გზა"
- **გალერეა** New Art
  New Art-ისა და "კოდაკის" ფოტოსკოლის კურსდამთავრებულთა გამოფენა
- **თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
  80-იანელთა ნამუშევრების გამოფენა
- **„ქარვასლა“**
- **საერთაშორისო გამოფენა** Appendix
  ნატ მიულერი, ფოამ-ის პრეზენტაცია
  ჯგუფური გამოფენის ავტორები: ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოლოშვილი, მარიცა გოევიჩი, სტეფან ფოშტეტლერი, ორხან ჰუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მაწაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მატიას ვენერი, გელა კინწურაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოკა
- **აბრეშუმის ფაბრიკა**
  Schweizer Int.
- **დიმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი**
  გურამ წიბახაშვილის, მარიცა გოევიჩისა და ნიკო ლომაშვილის ნამუშევრები
- **„კლუბი 22“**
  იოჰან გრიმონპრე
- **9 აპრილის სახელობის პარკი:**
  ატელიე ვან ლისპუტის "ციხე"
- **გალერეა „არტ-სინთეზი“**
  სტივენ ბლუმი
- **საზოგადოებრივ ადგილებში**
  წარმოდგენილი იქნება ფილიპ მესტის ნამუშევრები

კინოთეატრები

- **„ამირანი“**
  "მატრიცა 2"
  დას: 11:00; 14:00; 19:00; 22:00 სთ; ფასი 5,6,8,9,10 ლარი
  "გემი მოჩვენება"
  დას: 17:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
- **„ელისო“**
  "ახალდაქორწინებულები"
  დას: 15:00, 19:00 ფასი 5 ლარი
  "ცისფერი კრუიზი"
  დას: 17:00, 21:00 ფასი 7 ლარი
- **„რუსთაველი“**
  "ცისფერი კრუიზი"
  დას: 15:00, 19:00, ფასი 5 ლარი
  "ახალდაქორწინებულები"
  დას: 17:00, 21:30 ფასი 7 ლარი

ბინები

იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის 25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი ბაღით ბაგებში. ფასი 30 000. 23 59 18

იყიდება 110 კვ.მ. 2-ოთახიანი მიშენებით, ავტოფარეხით და სარდაფით ბახტრიონზე. ფასი შეთანხმებით. 96 91 93

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

ქირავდება 220 კვ.მ. 5-ოთახიანი ბინა მერიასთან, შ. დადიანზე, III სართულზე. გამოდგება საოფისედაც. 99 86 87

მიწის ნაკვეთი

იყიდება ნაკვეთი დიდი დიღმის შესასვლელთან. 51 61 05

მანქანები

იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866

იყიდება ახალი "გოლფ-4", 1999 წლის. ფასი შეთანხმებით. 93 34 27

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

სხვადასხვა

ვარემონტებთ და შევისყიდით გერმანული წარმოების ავტომობილებს. ავტოცენტრი "არბატი", სანდრო ეულის 7, ნუცუბიძის ბოლოში, ბანკთან. 8(99) 54 23 18, 8(99) 50 27 30

იყიდება საუკეთესო ტელევიზორი. 36 41 05

სილამაზის სალონი „ბარბი“ აცხადებს 30%-იან ფასდაკლებას ყველანაირი მომსახურებით. ჩაწერა წინასწარ. ტაბიძის 15, მერიასთან. 93 37 17

სილამაზის სალონი „ბარბი“ აცხადებს მოსწავლეების მიღებას მოსამზადებელ კურსებზე. ტაბიძის 15, მერიასთან. 93 37 17

სწრაფად და ხარისხიანად ვამზადებ ლამინატისგან ნებისმიერი სირთულის სამზარეულოს, საძინებელს, ლოჯიის კარადებს (კატალოგის მიხედვით). ფასი შეთანხმებით. 30 30 46 ზურაბი (საღამოს საათებში)

ბეჭდვა „შოლკოგრაფიით“ თქვენთვის ხელსაყრელ ფასებში. ხარისხის გარანტიით. 67 92 58, 8(99) 98 54 31 ზაური

გთავაზობთ დასაქმებას მზარდი შემოსავლის პერსპექტივით. ბიზნესის სწავლება უფასოა. 68 61 60, 61 05 76

გვესაჭიროება ლიცენზირებული ნოტარიუსი სათანამშრომლოდ. 73 22 34, 8(99) 29 08 18

ვიქირავებ ფართს სასუსრსათო მაღაზიისთვის, ქალაქის ცენტრალურ უბანში.
ტელ: 95-21-46 დღისით
79-44-03 საღამოს ირაკლი.

შევიძენ "ლაი-ლაის" სიმ ბარათს.
ტელ: 893 319288

კომპიუტერული ცენტრი „TOPOS“ გთავაზობთ
უახლესი კომპიუტერული პროგრამების შესწავლას, საწყისი პროგრამების ფასი 10 ლარი. მსენელები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი ლიტერატურით. გაიცემა სერთიფიკატი.
მის.: „კოლმეურნეობის მოედანი“, პირიმზის შენობა, VI სართული. ტელ: 93-52-24, 899 186686.

TV პროგრამა 22 მაისი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაფიოზები“
08.00 დილა მფვიდობისა
09.40 სერიალი „ძალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „მეოცე საუკუნე“
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 ჩემპიონთა ლიგა
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაფიოზები“
18.50 სერიალი „მაფიოზები“
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „პრეტენდენტი“ მთ. რ-ში: გერი ოლდმენი
02.30 კლასიკა

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა“
10.10 მხ. ფილმი „შეთქმულება თეთრ სახლში“.
11.45 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები“
12.00, 15.00, 20.00 მოამგე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 ნაშუადღევს
14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.25 „ალიტრა“
15.15 მხ. ფილმი „ოთხეული“
16.55 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“
17.10 რამპა
17.15 ტელესერიალი „ძილის წინ“
17.30 ჯანმრთელობა
18.00 კალათბურთში საქ. ჩემპიონატი. „ლოკომოტივი“-“დინამო“ თბილისი. შესვენებისას „ვესტნიკი“.
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
22.10 საქართველო არის ესე
22.40 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „რა ხდება ?!“
23.55 მხ. ფილმი „მეფის ასული და მეომარი“

ПЯТЬ პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 გაზმ. ქართ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „გოლო ფანტაზია“. მულტფილმი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 გრავო „ნაკლი“ მთ. რ-ში მეთიუ მაკონახი.
02.00 ღამურა „სენსაცია“ მთ. რ-ში ჯეისონ პრისტლი.
03.45 პაუზის გარეშე

2x2 მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამგე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა“
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 მხ. ფილმი „დანაშაულის გენეალოგია“

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „მორჩენება“
15.00 მხ.ფილმი „მეხუთე ელემენტი“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „კუზიანი ნოტრდამიდან“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „განკიცხულნი“

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „გორნის იდენტიფიკაცია“
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
15.15 მხ. ფილმი „კისრისტეხით“
17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.45 მუსიკა
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.40 მხ. ფილმი „უცხოელი“
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმ.)
22.00 დიალოგი
00.05 მხ.ფ. „წითელი სირენა“
01.55 მუსიკა

მესხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.45, 19.50, 21.55, 01.55 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.25 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი“
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 მხ. სერიალი „სირინოზები“
12.40 მხ. ფილმი „მაწანწალა“
14.20 „ტელემეტრი“
14.45 „ევროპის სტადიონებზე“
15.05 მხ. ფილმი „ლარა კროფტი-აკლდამების მძარცველი“
16.35 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
17.45 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები“.
18.00 მხ.სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
18.25 მულტსერიალი „ვიზიონერები“ 1-ლი ს.
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
20.00 „ქართული ფეხბურთი“
21.00 მხ. სერიალი „სირინოზები“
22.00 გადაცემა „ყვითელი კვადრატი“.
22.25 მხ. ფილმი „ჩიჩა“
00.20 მხ. ფილმი „მხედველობის მიღმა“.

იმედი

08.55, 11.55, 13.55, 15.55, 17.55 ახალი ამბების დაიჯესტი
09.00, 13.15, 17.20, 23.35 იმედის მელოდიები
09.30 სერიალი „იუდას ძალი“
10.30 არტ-გულვარი
11.00 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“
12.00 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
14.00 სერიალი „ეარ ამერიკა“
15.15 ფანების კინოკლუბი „ანდარმი ნიუიორკში“
17.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“
18.00 სერიალი „იუდას ძალი“
19.30 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
20.30 სპ. პრომგრამა „ესტაფეტა“
20.55, 01.50 ახალი ამბების დაიჯესტი
21.00 სერიალი „ეარ ამერიკა“
22.45 სერიალი „გაიხსენე ყველაფერი“
00.05 კინოპარასკევსათა ღამე „ხალხი, რომელსაც მე ვიცნობ“

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „დაუმარცხებელი ველური“
10.55, 14.20, 22.40, 01.00 მუსიკა
11.15 დოკუმენტური ფილმი
12.10 ისტორიული ფილმი „მეფე ჰენრი“
14.30 კომედია „მეექვსე ელემენტი“
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“
16.20 მულტფილმი „ჰერკულესი“
17.50 კომედია „დიდი ტურნე“
19.30 „პირისპირ“ (ავტორი ვ.კვარაცხელია)
20.20 კომედია „უფრთხილდი ავტომგზილს“
21.50 „ბალერეა“
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
23.00, 05.05 დოკუმენტური ფილმი
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.15 ვესპერნი „რაზმი“
03.20 კომედია „ვირთხების რგოლა“

VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა“
09.45 მოგზაურები
10.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით
11.00 მელოდია -
11.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.50 „ბიორითმი“ - .
12.10 აუდიო-ვიდეო-ტელე
12.50 დისნეი და მისი მეგობრები
13.10 კომპიუტერული თამაშები
13.30 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა“
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.30 კომპიუტერული თამაშები
20.35 ღამის კაპარიზი“ - თემა: „ „.
21.25 მოგზაურები
22.15 „კინოკლუბი „ - „მწვანე მილი“ -მე-2 ნაწილი.
23.40 აუდიო-ვიდეო-ტელე
00.30 „ბიორითმი“ -
.

ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.05 Худ.фильм „Под Полярной звездой“, 3 с.
12.05, 17ю.30, 00.55 „Фабрика звезд 2“
12.35 Дисней-клуб: „Базз и его команда“
13.15 Военная эпопея „Блокада“, ч. 2. „Ленинградский метроном“
15.10 „Непутевые заметки“
15.30 „Неизвестная планета“. „Мистика Бали“
16.15 Худ.фильм „Досье детектива Дубровского“
18.00 „Большая стирка“
19.25 „Сами с усами“
21.00 Ток-шоу „Основной инстинкт“
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „Под Полярной звездой“
23.45 „Человек и закон“
01.10 „Крылья“
01.40 „Гении и злодеи“
02.10 „Апология“
03.10 Сериал „Пришелец“

PTP

06.45 „Доброе утро, Россия!“
09.45, 21.55 Сериал „Идиот“
10.45, 22.55 Сериал „Люди и тени 2“
12.00,15.00, 18.00, 21.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание“
13.20 Сериал „Пираты“
14.15, 17.45 „Экспертиза“
14.30 „Вся Россия“
14.45 Вести - Москва
15.20 Ток-шоу „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Трое против всех 2“
17.15, 05.25 „Агентство одиноких сердец“
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 03.45 „Дорожный патруль“
19.05, 00.30 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 „Спокойной ночи, малыши!“
00.00 Ток-шоу „Вести +“
00.40 Худ.фильм „Век невинности“
03.20 „Синемания“
04.05 Сериал „Твин Пикс“

НТВ

07.00 Утро на НТВ
09.50 Сериал „Ребята из нашего города“
11.00 „Сегодня“ утром
11.25 „Чистосердечное признание“
12.00 „Квартирный вопрос“. „Романтический интерьер“
13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.45 „Сегодня“
13.35 Комедия „Цветок кактуса“
15.45 „Криминал“
16.35 „Принцип домино“. „Что такое боль и как с ней бороться?“
18.30 Сериал „Скорая помощь“
19.25 „Очная ставка“. „Дьявол в ряске“
20.40 Сериал „Ребята из нашего города“
21.45 Детектив „На углу, у Патриарших 3“, 8 с.
23.00 „Страна и мир“
23.40 Сериал „Секс в большом городе“
00.25 Проект Л.Парфенова „Российская империя: Александр-II“, ч. 2
02.05 „Гордон“
02.55 „Кома“
03.25 „Ночь“

პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფორზავრის" წებართვით

მებაღეების მაღალი მოდა

ქალთევზა ჩელსის ბაღებში ნებივრობს.

გამოფენას რინგო სტარიც ეწვია.

მოდელი ჯოდი კიდი შეიხის ბაღს ალამაზებს.

REUTERS

თამარ ბაბუაძე

ეგ არაფერი, თუ რეალურად "მწვანეთა პარტიას" არ ეკუთვნით. მთავარია, ისე გიყვარდეთ ბუნება და მცენარეები. მშვენიერ და პატარა ჩელსიში ყოველწლიურად სწორედ მოწოდებით "მწვანეები" იკრიბებიან. მათი მასპინძელი საგანგებოდ ყვავილების დღესასწაულისთვის მოწყობილი სხვადასხვა სტილისა და ზომის ბაღებია, რომლებიც ისედაც მწვანეში ჩაფლულ ქალაქს მეტ ხიბლს ანიჭებს.

თბილისი ყოველთვის მწვანე ქალაქად ითვლებოდა, მაგრამ ბოლო დროს ჰაერი ისე დაბინძურდა, რომ ქუჩებში თითქმის აღარ ისუნთქება. მეტიც, თბილისია, ალბათ, ევროპის ის იშვიათი გამონაკლისი, სადაც არ არსებობს მწვანე სკვერები, ბაღებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასე რომ, არა აქვს მნიშვნელობა "მწვანე" გუშინდელ დღეს, ფაქტია, რომ აწმყოში, ძველი "თბილისელი" ხეები ამდენ გამონაბოლქვს ვეღარ უმკლავდებიან და ჰაერისაც ძველებურად ვეღარ წმენდენ. ამასობაში კი, ჩელსი ყოველწლიური ბაღებისა და ყვავილების შოუს მასპინძლობს (წარმოიდგინეთ, რა სუფთა ჰაერი იქნება იქ). ამიტომ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა ჩვენი დაბინძურებული ქალაქიდან ამ პატარა ინგლისურ ქალაქში ცოტა ხნით, ვირტუალურად მაინც გადავსახლდეთ, ნახშირორჟანგისგან თავისუფალი ჰაერი ჩავისუნთქოთ და ულამაზესი მცენარეებითაც დავტკბეთ. ასე რომ, დავიწყოთ:

ჩელსის ყვავილების შოუ მსოფლიოში სახელგანთქმული დღესასწაულია, რომელიც აღიარებს, რომ მებაღეობა ხელოვნებაა, რომ ეს არის დარგი, რომელსაც, მაღალი მოდის მსგავსად, საკუთარი დიზაინერები ჰყავს. ჩელსიში ამ დღეებში სწორედ მებაღეობის Haute Couture-ს შემქმნელები იკრიბებიან. წელს ფესტივალი 20-23 მაისს ტარდება. ღონისძიება ხვალ დაიხურება და ხვალვე გახდება ცნობილი გამარჯვებული ბაღებისა და ყვავილების ნუსხა.

"24 საათი" ჩელსიდან ცნობებს შარშან ზაფხულშიც განვდიდათ. მაშინ მოდაში ზღაპრული და ფოლკლორული თემატიკა იყო გამეფებული და დიზაინერებიც სიამოვნებით წარმოადგენდნენ იგივე კურდღელი პიტერისთვის გაშენებულ ბაღს, თავისი მყუდრო, ხის ქოხითურთ. წელს სიტუაცია ოდნავ შეიცვალა. ექსპერტების თქმით, 2003 წლის შოუ შარშანდელზე გაცილებით უფრო დიდი და მრავალფეროვანია. წარმოდგენილია უამრავი სტილი, მცენარე და მასალა, რაც მოდური ტენდენციების გამოკვეთას ხელს უშლის. თუმცა, უკვე შემჩნეულია წამყვანი თემებიც.

წელს მებაღეობა ზღაპრიდან და ფოლკლორიდან საკმაოდ დაშორებულ სფეროში – გეომეტრიაში შეიჭრა. შარშანდელისგან განსხვავებით, ჩელსიში წარმოდგენილ ბაღებში ჭარბობს გეომეტრიული ფიგურები, სიმეტრიული და ნათელი ფორმები. მაგალითად, ფირმა Spinneywell-ის მიერ დასპონსორებულ ბაღს ექვსკუთხედის ფორმა აქვს, "მერილ ლინჩის" წალკოტი კი ოქროს შუალედის ანტიკური გეომეტრიული პრინციპითაა გაშენებული. მეორე გამოკვეთილი თემაა ბიოლოგიური მრავალფეროვნება. მებაღეები ცდილობენ, ყოველდღიურ თანამედროვე ცხოვრებაში ველურ ბუნებას მეტი ადგილი დაუთმონ. თუმცა, ეს არ ნიშნავს ზღაპრულ წარმოსახვებზე ბოლომდე უარის თქმას. სუპერთანამედროვე ბაღებთან ერთად, რომლებიც ხშირად გამჭვირვალე, მინის ბურთებითაა სავსე, ჩელსი მასპინძლობს ე.წ. "ოქროს თევზის ბაღსაც". აქ დაგებულია ქვის ოთხკუთხა ფილები, რომლებიც ეგზოტიკურ პალმებსა და კერამიკის გიგანტურ ქოთნებს ჰარმონიულად ენაცვლება. ბაღის მთავარი ღირსება კი გაშლილი ყვავილის ფორმის, ყვითელი აუზია, რომელშიც ოქროს თევზები დაცურავენ. ნაპირზე, ხის მესერთან კი ხისავე მერხი დგას, გარშემო კერამიკის დოქებით დამშვენებული.

მოდაშია ყველაფერი "ეკოს" სტილისაც. დიზაინერები ბაღების გასაშენებლად ბუნებრივ მასალას იყენებენ და ასე ცდილობენ, ისედაც დაბინძურებული გარემო მავნე ზემოქმედებისგან დაიცვან. მაგალითად, სულ უფრო ხშირად აშენებენ ბაღებს შენობების სახურავებზე. გარდა იმისა, რომ ისინი ცაში გამოკიდულის ეფექტს ქმნიან, სახურავზე დარგული მცენარეები წმენდენ ჰაერსაც და იკავებენ ქუჩის ხმაურს. ასეთ ბაღებს ჩელსის ერთერთ ყველაზე თვალწარმტაც გამოფენაზეც წააწყდებით, რომელსაც Sun Flower Street (მზესუმზირას ქუჩა) ჰქვია და გაზეთი "სანის" დასპონსორებულია. სხვათა შორის, თავისი ბაღი აქვს მოწყობილი გაზეთ "დეილი ტელეგრაფსაც".

ბრიტანელები არ ღალატობენ არც თავიანთ ნაციონალურ ფესვებს და რაც არ უნდა გეომეტრიაში გადავარდნენ, პატივს ინგლისურ სოფლურ ტრადიციებსაც მიაგებენ. ასეთია იორკშირული ბაღი, რომელიც ისეთი მცენარეებითაა სავსე და ისეთი მასალითაა დამზადებული, რომ სრულად გადმოსცემს ადგილობრივ ტრადიციებს.

ჩელსის გამოფენა-ფესტივალს მეტ ხიბლს მატებს ისიც, რომ აქ წარმოდგენილი ექსპონატები რამდენიმე კატეგორიად არის დაყოფილი: ბაღი-შოუ, პატარა ბაღი, შიდა ეზოში მოწყობილი ბაღი, ქალაქის ბაღი, ყვავილების პავილიონი, ყვავილებით დამზადებული ხელოვნების ნიმუშები. ერთი სიტყვით, სახეზეა ყველა ის იდეა და სტილი, რაც თანამედროვე მებაღეობაში დომინირებს.

თუმცა, გასაკვირია ის ფაქტი, რომ სპეციალისტები წელს გულგრილად ხვდებიან აზიურ ტრადიციებს (არადა, ერაყული ომის შემდეგ ზოგადად ხელოვნებაში ხომ ინტერესი ყოველგვარი აღმოსავლურისადმი საოცრად გაიზარდა). ასეა თუ ისე, ჩელსიში მისი უდიდებულესობა შეიხ ზეიედისთვის მოწყობილი ბაღიც კი საოცრად მოდერნისტულად გამოიყურება. აქ ვერ შეხვდებით ვერც აზიურ მსუყე ტონებსა და ფერებს. ყველაფერი დასავლურ სტილშია გადაწყვეტილი. ანუ, სახეზეა აბუ დაბის უდაბნოს მოდერნისტული ინტერპრეტაცია – აქაა უდაბნოს ქვიშაც და პაპირუსის ხეებიც, ხის ჭოკებით შეკრულ იატაკზე მიმოფანტული ბალიშებიც, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც საოცრად სადად გამოიყურება.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ფესტივალის დასკვნითი ეტაპი ხვალ გაიმართება. თუმცა, განსაკუთრებით საინტერესო ის ფაქტია, რომ ყველაფერი ამით ნამდვილად არ დამთავრდება. პირიქით, ევროპაში, სადაც ჩვენგან განსხვავებით, ბოლო ხანს განსაკუთრებით უფრთხილდებიან ბუნებასა და ჰაერს, ყვავილების დღესასწაული სწორედ ახლა დაიწყება – ჩელსიში დაფიქსირებულ მოდურ ტენდენციებს მებაღე ევროპელები საკუთარ ქვეყნებში გაავრცელებენ.

გუშინ კანი ცრემლად იღვრებოდა

ვინსენტ გალო და ქლო სევინი სიყვარულზე ჰყვებიან.

REUTERS

როდესაც რეჟისურის სწავლაზე მიდგება საქმე, ვინ ინატრებს უკეთეს მასწავლებელს, ვიდრე ოლივერ სტოუნია. ცხადია, უკეთესის ნატვრის სურვილი არც კანში ჩასულ სტუდენტებს გასჩენიათ. გუშინ მათ საკუთარ გამოცდილებას ფილმების "ოცეულის", "უოლ სტრიტის", "დორსის", "მკვლელებად დაბადებულის"... ავტორი უზიარებდა. ოლივერ სტოუნს გამოცდილი პროფესორის იმიჯს სათვალე უქმნიდა და ისიც შეგირდებს, ნამდვილი პედაგოგივით, კინოს ხელოვნებას აზიარებდა.

არანაკლებ კინემატოგრაფიული განწყობა სუფევდა აუდიტორიის გარეთაც. გუშინ საღამოს ხომ კანში მეორე ცნობილი ნიუ იორკელის, ვინსენტ გალოს ფილმის ჩვენება გაიმართა. "ყავისფერი კურდღელი" რეჟისორი გალოს მეოთხე ფილმია. 1986 წელს გამოვიდა მისი ერთბაშად ორი ნამუშევარი "იარაღის მოყვარული" და "თუ თავს ბაყაყივით გრძნობ, გადახტი". შემდეგ ვინსენტი მხოლოდ თამაშს არჩევდა, და რეჟისორის პულტს 1998 წელს დაუბრუნდა. სწორედ ამ წელს გამოვიდა ფილმი, რომლითაც, ბოლოს და ბოლოს, მან კრიტიკოსების ყურადღება მიიქცია. საუბარია "ბუფალო`66"-ზე, რომელშიც ვინსენტ გალოსთან ერთად კრისტინა რიჩი, მიკი რურკი და ბელზე ძალიან იმოქმედა.

დენის არკანდი კანის საკონკურსო პროგრამაში მეორედ მოხვდა. 1989 წელს მისმა ფილმმა "იესო მონრეალიდან" ჟიურის გრან-პრი დაიმსახურა. "ბარბაროსული შემოსევა" კი 17 წლის წინ გადაღებული "ამერიკული იმპერიის დაცემის" ერთგვარი გაგრძელება გახლავთ (1986 წელს ეს ფილმი "ოსკარზეც" იყო ნომინირებული). უფრო ზუსტად, ახალ ფილმში რეჟისორი "დაცემაში" დაკავებულ მსახიობებს ათამაშებს (სოფი ლორენის ჩათვლით) და ქმნის შედევრს – როგორც ამას კანის ვებგვერდზე გამოტანილ ანოტაციაში ამტკიცებენ. არკანდი, როგორც ძველ, ასევე ახალ სურათში საუბრობს უნივერსალურ თემებზე – სიყვარულზე, რწმენაზე, ოჯახურ ფასეულობებსა და სიკვდილზე. ფილმი ინტელექტუალური, სხარტი, ცინიკური და ოპტიმისტურია – და, ალბათ, გულგრილს არც ჟიურის წევრებს დატოვებს. თავად რეჟისორი კი დასძენს: "გადავწყვიტე, ახალი ფილმის ასაგებად "დაცემაში" დაკავებული მსახიობთა დასისთვის მიმემართა. მათი იუმორის გრძნობა, ცინიზმი და სხარტი აზროვნების უნარი სულ მომწონდა და მივხვდი, რომ ეს სახეები ახალ სურათს სიმსუბუქესა და სინათლეს შესძენდა".

...იმედია, კანში ცრემლის ღვრა არკანდისა და გალოს სევდიანი დუეტით დასრულდება. დღეს ფესტივალზე საკონკურსო პროგრამით კლოდ მილერის "პატარა ლილისა" და იე ლოუს "იისფერ პეპელას" აჩვენებენ. კონკურსგარე პროგრამაში კი – ჩარლი ჩაპლინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ფილმსა და მიხაილ კალატოზოვის სურათს "მე კუბა ვარ". კვირამდე, ფესტივალის დახურვამდე კი სულ უფრო ცოტა დრო რჩება. მზიან და ლამაზ კანშიც კინემატოგრაფიული დაძაბულობა თანდათან პიკს აღწევს. ვნახოთ, ვის ერგება "პალმის რტო".

რესპოდენტია ბობ დილანი

ბობ დილანისგან ინტერვიუს რეჟისორი მარტინ სკორსეზე აიღებს. უფრო ზუსტად, სკორსეზე დილანთან ინტერვიუზე დაყრდნობით გადაიღებს დოკუმენტურ ფილმს, მუსიკოსის კარიერის საწყისი ეტაპის შესახებ. ამ პროექტის განხორციელებისთვის, რომელსაც მხარს "ბი ბი სი" უჭერს, სკორსეზეს შანსი ექნება ბობ დილანის ცხოვრებას ახლოდან დააკვირდეს. ამის უფლებას ხომ დილანი ჟურნალისტებს არასდროს აძლევდა.

სკორსეზე კი დაგვაბრუნებს 60-იან წლებში, როდესაც ბობი ჰიტების Blowin' in the Wind-ისა და The Times They Are A-Changin'-ის წყალობით მსოფლიოს იპყრობდა. როგორც ხედავთ, პროექტი, მართლაც, ძალიან საინტერესო იქნება. გარდა იმისა, რომ ავტორის ამპლუაში ისეთი დიდი რეჟისორი გვევლინება, როგორიც მარტინ სკორსეზეა, ფილმი აღნიშნის ღირსია სხვა მიზეზის გამოც: დილანის ასეთი ამომწურავი ინტერვიუ 1985 წლის შემდეგ აღარ გამოსულა. მაშინაც მუსიკოსი თავისი კარიერის ადრეულ ხანას დიდად არ შეხებია.

სკორსეზე საკუთარ თავს დილანის სიმღერების "სტაჟიან" ფანად აღიარებს. თუმცა, ეს მათი პირველი თანამშრომლობა არ იქნება. ბობი ხომ რეჟისორის 1978 წელს როკზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში "უკანასკნელი ვალსი" ცოცხლად მღეროდა. "ეს ბოლო პროექტი მომცემს შანს, "შევისწავლო" ბოლო 50 წლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხელოვანი, რომელიც თაობების კერპია", - დასძენს სკორსეზე.

ბობ დილანი

REUTERS

დოკუმენტური ფილმი დამთავრდება 1966 წლით, როდესაც მოტოციკლეტზე ამხედრებული დილანი ავარიაში მოჰყვა და ჩრდილში გადაინაცვლა. ფილმის პროდიუსერის ნაიჯელ სინქლერის ცნობით, გამოყენებული იქნება მრავალი დოკუმენტური კადრი, მათ შორის დილანის ელექტრო-გიტარით შესრულებული პირველი კომპოზიციის ჩანაწერიც.

სკორსეზეს ფილმის გარდა, დილანის შესახებ ბიოგრაფიულ სურათს რეჟისორი ტოდ ჰაინსიც იღებს. მუსიკოსს მისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე შვიდი მსახიობი განასახიერებს. რეჟისორი შეეცდება, ბობის 50-წლიანი კარიერა სრულად მოიცვას.

ნაწნავიანი ბექჰემი

დევიდ ბექჰემი ახალი ვარცხნილობით.

REUTERS

"მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი დევიდ ბექჰემი თავისი მეუღლის წყალობით უკვე დიდი ხანია, გასცდა ფეხბურთის საზღვრებს და ახალ სტილს მოდაშიც ისეთივე წარმატებით ამკვიდრებს, როგორც სტადიონზე. ორიგინალური ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და თმის ვარცხნილობა – ეს ის თემებია, რომლებიც ბექჰემს ფეხბურთზე არანაკლებ ესმის. გასულ ზაფხულს, მსოფლიო ჩემპიონატზე განსჯის ერთ-ერთი მთავარი თემა ხომ სწორედ ბექჰემის "მოჰიკანის" სტილის თმის ვარცხნილობა იყო. ახლა მოდის მეორე ზაფხული და დევიდი თაყვანისმცემლებს უკვე ახალ მოდურ მაგალითს აძლევს – ის თმას წვრილ ნაწნავებად იწნის და კეფაზე იკრავს. ამ ვარცხნილობას აქამდე შავკანიანი მამაკაცები ატარებდნენ, მაგრამ ახლა ბექჰემის წყალობით ის თეთრკანიანებშიც ძალზე პოპულარული გახდება. მანჩესტერელი პარიკმახერი, ქეთრინ მორისიც აცხადებს: "როდესაც დევიდი "მოჰიკანს" ატარებდა, ყველა ჩემს კლიენტს, ხუთი წლის ბიჭუნებსაც კი, ამ ვარცხნილობის გაკეთება სურდა. ახლა, ალბათ, შემოტევა წვრილ-წვრილ ნაწნავებზე იქნება".

ამასობაში, ნაწნავებიანი ბექჰემი ბრიტანელი დიზაინერების კრიტიკის ცენტრში ხვდება. მას ჯორჯო არმანთან ახლო ურთიერთობაში "ადანაშაულებენ". საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისელ მოდელიერებს სურთ, თავიანთი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების წევრები თავად შემოსონ. დიზაინერი კელვინ რეი, რომელიც პრემიერ ტონი ბლერს უკერავს კოსტუმებს, აცხადებს: "ინგლისელ ფეხბურთელს ტანსაცმელს იტალიელი დიზაინერი რომ უმზადებდეს, ოდნავ უხერხულია. რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებ, რომ ჯორჯო არმანი ცუდ პიჯაკებს კერავს, მაგრამ ჩვენც ხომ არაჩვეულებრივი დიზაინერები გვყავს. ესეც რომ არა, წარმოიდგინეთ, ინგლისი-იტალიის თამაშის დროს, ვის მხარეს იქნება ჯორჯო არმანი, თქვენი აზრით?". ერთი სიტყვით, ბრიტანელები სამამულო წარმოების ადვოკატებად გვევლინებიან და ამტკიცებენ, რომ ინგლისის ნაკრებში არმანის "შეჭრა" ბექჰემმა უზრუნველყო. ისინი ხომ, მართლაც, ძალიან ახლო მეგობრები არიან. თუმცა, თავად ფეხბურთელი ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ იმ კოსტუმებს იყიდის, რომელიც გაეხარდება.

ბუნების შეცდომა - ჩიკატილო



მალკოლმ მაკდაუელი

ბრიტანული გაზეთი "გარდიანი" იუწყება, რომ მსახიობი მალკოლმ მაკდაუელი მანიაკი მკვლელის, ანდრეი ჩიკატილოს როლს შეასრულებს.

ფილმს "ევილენკო" ჰქვია (ინგლისური სიტყვა evil - "ბოროტებისგან" წარმოებული უკრაინული გვარი) და მისი დამდგმელი რეჟისორი დევიდ გრიეკო იქნება, რომელმაც თავის დროზე ჩიკატილოს შესახებ წიგნი დაწერა.

ანდრეი ჩიკატილო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მანიაკია – 12 წლის განმავლობაში მან 52 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ახლომხედველი სკოლის მასწავლებლის მსხვერპლი ქალები, ბავშვები და მაწანწალები იყვნენ. არადა, მეორეს მხრივ, ჩიკატილო მშვიდ ოჯახურ ცხოვრებას ეწეოდა.

კიევის Ведомости-სთვის მიცემულ ინტერვიუში მაკდაუელმა განაცხადა, რომ ჩიკატილოს სახის შექმნისას ადამიანის სისასტიკის გამოხატვის გამოცდილება – "მექანიკურ ფორთოხალსა" და "კალიგულაში" შექმნილი სახეები – არ გამოადგა. "ეს ავადმყოფი ადამიანია. ბავშვობაში ცუდად ექცეოდნენ, რაც მის დანაშაულებს, რასაკვირველია, არ ამართლებს. არც მის თანაგრძნობას ვაპირებ და არც რომანტიული გმირის შექმნას. ისაა, რაც არის".

მსახიობის თქმით, ჩიკატილოს როლი მისთვის გამოწვევად იქცა. "პირველად მომიწია ისეთი ხასიათის გარკვევა, რომლის მიმართაც არანაირ დადებით ემოციებს არ განვიცდი. და ვინაიდან ამ როლზე მუშაობისას ჩემს პირად თვისებებს ვერაფერში ვიყენებ, ყველაფრის გამოგონება მიხდება".

ჩიკატილოს ხელში ჩავარდნილი ადამიანები სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდებოდნენ, შემდეგ მანიაკი მათ ასახიჩრებდა და კლავდა. არადა, მანიაკი სამჯერ იყო დაპატიმრებული. პირველად ეს 1978 წელს მოხდა, როცა პირველი მკვლელობა ჩაიდინა, შემდეგ – 1984-ში, ავტობუსში დააკავეს, რადგან საეჭვოდ იქცეოდა. მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრების დროს ჩიკატილოს ჩანთაში თოკი, გრძელი მავთული და დანა იპოვნეს, მილიციამ ის მაინც გაათავისუფლა, რადგან მისი სისხლის ჯგუფი სავარაუდო მკვლელის სისხლის ჯგუფისგან განსხვავდებოდა. ჩიკატილოს ნაცვლად მის მიერ ჩადენილი მკვლელობისთვის სხვა ადამიანს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი.

ბოლოს და ბოლოს, ჩიკატილო დააპატიმრეს. ის ტყიდან გამოდიოდა და თითიდან და ყურიდან სისხლი სდიოდა. იქვე მისი მორიგი მსხვერპლის სხეულიც იყო ნაპოვნი.

ფსიქიატრები თვლიდნენ, რომ ჩიკატილოს ფსიქოპატური რისხვა ბავშვობის დროინდელი განცდებით იყო განპირობებული: სუსტი ყოფილა და თანატოლები დასცინოდნენ ხოლმე. თან ჩიკატილო თავად მოჰყვა, რომ 30-იან წლებში, როცა უკრაინაში შიმშილი მძვინვარებდა, მან თავად ნახა, როგორ შეჭამეს მისი ძმა მეზობლებმა. "როცა დანას ვხმარობდი, ეს შვებას მგვრიდა. მაგრამ ვიცი, რომ მოსასპობი ვარ. ეს კარგად მესმის. მე ბუნების შეცდომა ვარ".

მილიონები უსახლკაროთათვის



დევიდ გილმორი

"პინკ ფლოიდის" გიტარისტმა, დევიდ გილმორმა, 3,6 მილიონი გირვანქა სტერლინგი ლონდონში უსახლკაროთა სასარგებლოდ გადარიცხა.

გილმორის თქმით, ამ ფულით ლონდონის ცენტრში მიწას შეისყიდიან და სახლს ააშენებენ, რომელშიც 400 ადამიანს მიეცემა თავშესაფარი. უსახლკაროებთან ერთად ამ ურბანულ სოფელში ავადმყოფების მომვლელები და მასწავლებლებიც მიიღებენ ბინას – ჩვეულებრივ, მათ მაღალი ბინის ქირის გადახდის საშუალება არა აქვთ და ლონდონის დატოვება უწევთ ხოლმე.

გილმორის თქმით, ამ გადაწყვეტილებისკენ მას ნიუ იორკში განხორციელებულმა ანალოგიურმა პროექტმა უბიძგა. "ვნახე, რას მიაღწიეს ნიუ იორკში, და ამიტომ ლონდონური პროექტისთვის თავდადებით ვიმუშავებ".

დევიდ გილმორი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ბრიტანელი ვარსკვლავია. მისი ქონება 105 მილიონ ევროს შეადგენს.

სტელა ლონდონში

ლონდონში, გეორგიანულ სტილში აშენებულ ოთხსართულიან სახლში, სადაც მანამდე სამხატვრო გალერეა იყო განლაგებული, სტელა მაკარტნიმ თავისი პირველი ლონდონური მაღაზია გახსნა.

მაღაზიის ინტერიერში ორიგინალური დეტალებისა და საცხოვრებელი სახლის ატმოსფეროს შენარჩუნებას ეცადნენ. გარდა ამისა, დიზაინერებმა ოთახები XVIII საუკუნის სტილის და არტ- დეკოს ავეჯითაც შეავსეს.

მაღაზიის გახსნას მაკარტნის სახელგანთქმული მეგობრები დაესწრნენ: მადონა, ვალენტინო, სეიდი ფროსტი, ლია ვუდი, მარიო ტესტინო და სხვანი.

ჯერჯერობით მაღაზიაში მხოლოდ მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარები იქნება გასაყიდად გამოტანილი. რამდენიმე თვეში ასორტიმენტი თეთრეულითა და მაკარტნის ახალი სურნელით შეივსება.

"ლონდონში საკუთარი მაღაზიის გახსნა – ეს უკვე ოცნების ახდენაა," თქვა მაკარტნიმ, რომლის პირველი მაღაზიაც შარშან, სექტემბერში, მანჰეტენზე გაიხსნა. "ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს სახლი ყველაფერს მოიცავს, რაც ჩემთვის შთაგონების წყაროს წარმოადგენს; მისი ყოველი დეტალი სიყვარულითაა შერჩეული. არ მინდა, რომ აქაურმა ატმოსფერომ ვინმეში უსიამოვნო განცდები გამოიწვიოს".

მაღაზიის გახსნის აღსანიშნავად გამართულ წვეულებაზე უსიამოვნო ამბავი მოხდა: ყინულისგან დამზადებულმა ცხენის უზარმაზარმა ქანდაკებამ დნობა დაიწყო, და ძვირფასი საქონლის დაზველებისგან გადასარჩენად ოფიციანტები ლანგრებით ხელში დასდევდნენ წვეთებს.

სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გვთავაზობს ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კავშირი მჭიდრო პარტნიორობას ლონდონ ბრონქთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ცირკულაციაშია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 7 აგვისტო.

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT
ინტერნაციონალი კომპანია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950
სანგრძლივობა 1წ.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნონა შესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

ქროსვორდი



წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს საელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.